

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

**არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტის**

81-ე

სამეცნიერო სესია

მ ა ს ა ლ ე ბ ი

2022 წლის 20-22 დეკემბერი

თბილისი
2022

სამეცნიერო სესია გაიმართება არნ. ჩიქოზავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში
(ინგოროყვას ქუჩა № 8, მეორე სართული)

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მომხსენებელს – 10 წუთი
მსჯელობაში მონაწილეს – 3 წუთი

რედაქტორი – **ნანა მაჭავარიანი**

© თსუ არნ. ჩიქოზავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN

მუშაობის გეგმა

20 დეკემბერი, 11 საათი

თავმჯდომარე – ნანა მაჭავარიანი

ავთანდილ არაბული – ლექსიკოლოგიის განყოფილების 30 წელი

ნოდარ არდოტელი – ნათესაობის გამომხატველი კომპოზიციები ქართველურსა და ნახურ-დალესტნურ ენებში (ეთნოლინგვისტური ანალიზის ცდა)

ნარგიზ ახვლედიანი, მარინე ფუთურიძე – უძველესი კოლხური ძეგლების ინტერდისციპლინური კვლევის ცდა და მისი პირველი შედეგები

ამირან ბასილაშვილი – გასუბსტანტივება უდიურ ენაში და მასუბსტანტივებელი -ო სუფიქსის ეტიმოლოგიისათვის (პარალელები კავკასიური ენებიდან)

თეა ბურჭულაძე – ერთი სახის წინადადების აგებულებისათვის

თეიმურაზ გვანცელაძე – ონომასტიკონი და დასავლეთ საქართველოს უძველესი მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის პრობლემა

გიორგი გოგოლაშვილი – მწერალ ბასილ მელიქიშვილის სტილის ერთი თავისებურების შესახებ

ქეთევან დათუკიშვილი – თანხმომავან ბგერათა გახმომავანების საკითხი ქართულ აბრევიატურებში

თამარ ვაშაკიძე – ერთი სახის დანართი რამდენიმე საზღვრულთან – მართლწერის რეკომენდაციები

მაკა ლაბარტყავა – მანანა ჩიტიშვილის მხატვრული სამყაროსათვის

რომან ლოლუა – თილბისისა (თილბიდა) და ტელაიბას (ტელება) ლოკალიზაციისთვის

21 დეკემბერი, 11 საათი

თავმჯდომარე – მედეა ლლონტი

გვანცა გვანცელაძე – ცნებათა და ენობრივ ნიშანთა მიმართება ქართულ და აფხაზურ ნათესაობის ტერმინოლოგიაში

თამარ ლომთაძე – შვილის შექმნასა და ბავშვების რელიგიურ რიტუალებთან დაკავშირებული ლექსიკა ებრაელთა ქართულში

ქეთევან მარგიანი – კვლავ ნათესაობის ლექსიკის შესახებ (სვანურ-ქართული მიმართებები)

სალომე ოშიაძე – საქორწილო რიტუალის მონაწილეთა აღმნიშვნელების – „მმადი“, „მდადი“ – ლინგვოკულტურული მნიშვნელობისათვის

მედეა ლლონტი – ქართული ნათელმირონობის საღვთისმეტყველო ფუნქციურ-სემანტიკური წანამდღვრები (მართლმადიდებლური საეკლესიო სამართლის მიხედვით)

ქეთევან მარგიანი – სვანური ენის დაცვა თუ ხელყოფა? (ერთი პუბლიკაციის შესახებ)

ნანა მაჭავარიანი – ატრიბუტული მსაზღვრელი აფხაზურში – შეთანხმება თუ მართვა? (საკითხის დასმისათვის)

ნიკოლოზ ოთინაშვილი – „სჯულდების“ ტექსტის ლინგვისტური ანალიზის საკითხისათვის

თეატეტელაშვილი – ბრჭყალების ადგილისათვის

ხათუნა ყანდაშვილი – ხოლმე ნაწილაკით გამოხატული მრავალგზისი მოქმედება XIX და XX საუკუნის სალიტერატურო ქართულში

ვაჟა შენგელია – ბგერათშესატყვისობისათვის ჩერქეზულ ენათა ნასესხებ ლექსიკაში

22 დეკემბერი, 11 საათი

თავმჯდომარე – ვაჟა შენგელია

იზა ჩანტლაძე – რიხარდ ბერუგის „აღმოჩენები“ სვანეთში

მანანა ჩაჩანიძე – ევფემიზაციის უჩვეულო ნიმუში უახლესი ქართულიდან

მერაბ ჩუხუა – სისინ-შიშინა სიბილანტური თანხმოვნების ისტორიისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში

ნინო ციხიშვილი – გერჰარდ დეეტერსის ქართველოლოგიური ღვაწლი (დაბადებიდან 130 წლისთავის გამო)

ნანა ხოჭოლავაძე-მაჭავარიანი – მეგრულ-ლაზურის პრეფიქსი ქართულ ფიტონიმიაში

ცირა ჯანჯღავაძე – დაახლოებითი შინაარსის გადმოცემისათვის მეგრულში

პროექტი „წეს-ჩვეულებათა და რიტუალთა ამსახველი კოლოკაციები კავკასიურ ენებში“

პროექტი (FR-21-2100) ხორციელდება შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით

რევაზ აბაშია – ვალ-ზმნური ძირისაგან ნაწარმოებ ლექსემათა ადგილი ეთნოგრაფიულ რეალიათა ამსახველ კოლოკაციებში

ლევან აზმაიფარაშვილი – პური, ხინკალი, ქერი კომპონენტების შემცველ მყარ შესიტყვებათა და კომპოზიტთა ეთნოლინგვისტური ანალიზისათვის

ქ ე თ ე ვ ა ნ მ ა რ გ ი ა ნ ი - დ ა დ ვ ა ნ ი – რიტუალთა ამსახველი კოლოკაციების ერთი ასპექტისათვის სვანურში (კოდორული ეთნოლინგვისტური მასალების მიხედვით)

რ ო ს ტ ო მ ფ ა რ ე უ ლ ი ძ ე – სისხლის ადების (შურისძიების) ამსახველი ლექსემები და მყარი შესიტყვებები ნახურ ენებსა და აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებში

ნ ა თ ი ა ფ ო ნ ი ა ვ ა – ჩვეულებით სამართალთან დაკავშირებული აფხაზური და ქართული კოლოკაციები

ავთანდილ არაბული

ლექსიკოლოგიის განყოფილების 30 წელი

მოხსენების სათაურში დასახელებული წლები გულისხმობს არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების მუშაობის იმ პერიოდს, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ მიხეილ ჭაბაშვილის გამგეობის შემდგომი ეტაპი.

დიდი ქართველი ლექსიკოგრაფი მიხეილ ჭაბაშვილი ლექსიკოლოგიის განყოფილებას ხელმძღვანელობდა 1965-1987 წლებში; მთელმა ქართველმა საზოგადოებამ კარგად იცის, რომ, ამ დიდ საორგანიზაციო საქმიანობასთან ერთად, მისი განსაკუთრებული წვლილი ქართული ლექსიკოლოგიის განვითარებაში უწინარესად უკავშირდება „უცხო სიტყვთა ლექსიკონსა“ (ბოლო გამოცემა 1989 წელს) და „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ერთტომეულს, რომელიც გამოიცა 1986, ხოლო განმეორებით – 1990 წელს (მეორე გამოცემის ანოტაციაში ეწერა, რომ ერთტომეულის პირველი გამოცემის შემდეგ „სულ მალე გამოირკვა, რომ მისი ტირაჟი – 60 ათასი ეგზემპლარი - საკმარისი არ იყო, მსურველთა დიდმა ნაწილმა ვერ შეძლო წიგნის შეძენა და ბევრმა რედაქციას მისი ხელახლა გამოცემა სთხოვა“).

1988 წლისათვის განყოფილების ძირითად შემადგენლობას წარმოადგენდნენ განმარტებითი ლექსიკონის დამსახურებული, მაღალკვალიფიციური მუშაკები. ამავე დროს, 80-იანი წლების დასაწყისიდან განყოფილება რეგულარულად ივსებოდა ახალი წევრებით. ამ სტრუქტურის პერსონალური შემადგენლობისა და იმ თემატური ამოცანების შესაბამისად, რაც განყოფილების პერსპექტიულ გეგმებში დროთა განმავლობაში გამოჩნდა, აუცილებელი შეიქმნა გარკვეული სტრუქტურული ოპტიმიზაცია, რაც შინაარსობრივად გულისხმობდა სამუშაოების თემატურ განსაზღვრულობას რამდენიმე მიმართულებით, ხოლო პერსონალური თვალსაზრისით – ამ თემებში სტაბილური ჯგუფების ჩამოყალიბებას თანამშრომელთა კვალიფიკაციისა და ინტერესების გათვალისწინებით.

უნდა ითქვას, რომ სტრუქტურული და შინაარსობრივი განახლების ეს ეტაპი, სამწუხაროდ, მთლიანად დაემთხვა მნიშვნელოვან, მაგრამ ურთულეს სახელმწიფოებრივსა და გეოპოლიტიკურ პროცესებს, რამაც ნებისმიერი სტრუქტურის, მათ შორის, ლექსიკოლოგიის განყოფილების წინაშე დააყენა არა მხოლოდ სამეცნიერო მიზანდასახულებათა რეალიზაციის, არამედ არსებულის შენარჩუნების (თვით არსებობის გადარჩენის) საკითხიც კი.

ერთი სიტყვით, 1988 წლისათვის ლექსიკოლოგიის განყოფილებას მყარად ჰქონდა ჩამოყალიბებული განვითარების ხედვა რამდენიმე მიმართულებით:

1. უპირველესად ინდივიდუალურ სამეცნიერო თემებად გამოიყო განყოფილების განსაკუთრებული დამსახურების ოთხი თანამშრომლის კონკრეტული ლექსიკოგრაფიული ამოცანები:

ალექსი ჭინჭარაულის „ხევისურული ლექსიკონი“ (ხოლო ამის შემდგომ, აგრეთვე - „ფშაური ლექსიკონი“);

ირინე ასათიანის „ჭანური ლექსიკონი“;

თამარ ბეროზაშვილის „სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“;

მანანა კელენჯერიძის „თემატური დასურათებული ლექსიკონი“.

2. 1986 წლიდან განსაკუთრებული დინამიკა შეიძინა „ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონის“ სამუშაოებმა, რასაც განაპირობებდა ის, რომ ამ საქმეს უშუალოდ მეურვეობდა ინსტიტუტის დირექტორი, ქალბატონი ქეთევან ლომთათიძე (თავის მხრივ, განსაკუთრებულ ინტერესს გამოხატავდა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში). ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, ეს იყო ყველაზე აქტიური და საინტერესო სამეცნიერო პროცესის რამდენიმე წელი ინსტიტუტის ცხოვრებაში:

– ჩამოყალიბდა და საბჭოს რამდენიმე სხდომაზე აქტიური განხილვის შედეგად იქნა მიღებული „ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონის“ შედგენის ძირითადი პრინციპები.

– ინსტიტუტის დირექტორის კაბინეტში იმართებოდა ყოველკვირეული ეტიმოლოგიური სემინარი, რომელშიც მონაწილეობდნენ არა მხოლოდ ლექსიკოლოგიის განყოფილების, არამედ მთელი ინსტიტუტის ლექსიკური ძიებებით დაინტერესებული თანამშრომლები. ეს სემინარი საკმაოდ შრომატევადი წინასწარი სამუშაოების ბაზაზე იმართებოდა: მზადდებოდა ძველი ქართულის (აგვი-

გრაფიისა და სახარების) ტექსტის გარკვეული მონაკვეთი, შესაბამისი ბერძნული და სომხური ჩვენებებით, ამ ტექსტის ერთგვარ ქართველურ ადეკვატს ქმნიდნენ – სვანურისათვის – მაქსიმე ქალდანი, ხოლო ზანურისათვის – რეზო შეროზია. ამიტომაც ამ მონაცემების განხილვა სემინარზე (რომელიც ფაქტობრივ არარეგლამენტირებული იყო) საკმაოდ ნაყოფიერი იყო როგორც არსებული თვალსაზრისების გასააქტიურებლად, ისე ახალი მოსაზრებების განსავითარებლად.

– დაფუძნდა ყოველწლიური თემატური კრებული „ეტიმოლოგიური ძიებანი“, რომელმაც უმაღლვე მოიპოვა პოპულარობა, რაზეც მეტყველებს 1987 წლიდან გამოსულ ხუთ კრებულში დაბეჭდილი ისეთი ავტორები, როგორებიც არიან: არნ. ჩიქობავა, გ. როგავა, ქ. ლომთათიძე, კ. ჰ. შმიდტი, ბ. გიგინეიშვილი, ალ. ჭინჭარაული, ზ. ჭუმბურიძე, ევ. ოსიძე, ალ. გვახარია, გ. კარტოზია, კ. დანელია, გ. ბურჭულაძე და სხვ.

– ე. წ. ეტიმოლოგიური ჯგუფში მიზნობრივად ხდებოდა მოწვევა ძველი ბერძნული და აღმოსავლური ენების გამოცდილი და პერსპექტიული სპეციალისტებისა: შ. გაბისკირია, ნ. კალაძე, ნ. ბაღათურია, რ. რამიშვილი, მ. არემიძე, მ. ერქომაიშვილი...

– განყოფილების სპეციალური ჯგუფი ინტენსიურად მუშაობდა ეტიმოლოგიზებულ ძირ-ფუძეთა სალექსიკონო ბაზის შესაქმნელად. ამოცანის შესატყვისი პრინციპების საფუძველზე სამუშაოების პირველ ოთხ წელიწადში არსებითად სრულად დამუშავდა ქართველოლოგიის კორიფეების – ნ. მარის, ივ. ჯავახიშვილის, ა. შანიძის, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას... აგრეთვე გ. დეეტერსის, ფ. ნაისერის, კ. შმიდტის ყველა ის ნაშრომი, რომელიც ეტიმოლოგიური ხასიათის დაკვირვებებს შეიცავდა.

უნდა ითქვას, რომ 1990 წლისათვის უკვე შესაძლებელი იყო ამ მასალით სარგებლობა, ვინაიდან მოპოვებული მონაცემები სრულად დალაგდა ქართველური ენების მიხედვით, ძირ-ფუძეთა პრინციპით.

– ცალკე ამოცანა იყო ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონის მოსამზადებელი სამუშაოების მეორე მხარე, ანუ ისტორიული ლექსიკური ბაზის შექმნა (უმთავრესი – ძველი და საშუალო ქართულის ლექსიკონი, ხოლო მეორე მხრივ – დიალექტურ-დარგობრივი ლექსიკა), რასაც ქვემოთ დავაზუსტებთ.

1990 წლის იანვარში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში გაიმართა სპეციალური მოსმენა ისტორიულ-ეტიმოლოგიურ სამუშაოებთან დაკავშირებით და წინასწარ მომზადებული გეგმის მიხედვით შეიქმნა ცალკე ლაბორატორია ამ სამუშაოებისათვის. იმ სხდომაზე ჩვენ მიერ წარმოდგენილ მოხსენებაში (ანგარიშში) გამოთქმული ეჭვები, სამწუხაროდ, თითქმის სრულად გამართლდა. საწყის ეტაპზე მოპოვებული მასალა 90-იანი წლების განმავლობაში თითქმის განიავდა. მოგვიანებით, სახელმწიფო ენის პროგრამის (იხ. ქვემოთ) საფუძველზე მოვახერხეთ საკმაოდ მოქნილი კომპიუტერული პროგრამის მომზადება ეტიმოლოგიური მასალებისათვის (პროგრამისტ ზაზა ინჯიასთან თანამშრომლობით), მაგრამ ეს მცდელობა უკვე დაგვიანებული აღმოჩნდა განყოფილებაში არსებული ადამიანური რესურსებისა და შესაბამისი მასალების დეფიციტის გამო.

3. ბატონმა მიხეილ ჭაბაშვილმა ითავა „ქართულ სინონიმთა ლექსიკონის“ სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელობა, რაკი მას წინა წლებში უკვე ჰქონდა შემუშავებული ხედავ ამგვარი ლექსიკონის შესადგენად. შემდგომ ეტაპზე მას შეუერთდა და თანახელმძღვანელობა გასწია ლამარა ნოზაძემ. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი წინასწარი სამუშაოები შესრულდა, მაგრამ მათ ვერ მოასწრეს ამ ლექსიკონის დასრულება არა მხოლოდ ფიზიკურად (ასაკის გამო), არამედ იმ მიზეზითაც, რომ პარალელურად მიმდინარეობდა ამ ლექსიკონის ძირითადი ბაზისის – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ახალი რედაქციის სამუშაოები, რომლის გარეშეც სრულყოფილ სინონიმურ მწკრივებზე ლაპარაკი შეუძლებელია.

4. საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა იმ კონსერვატიული დამოკიდებულების დაძლევა, რაც „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რეაქტომელის შესაძლო განახლებასთან იყო დაკავშირებული. ინსტიტუტის დირექციისა და განყოფილების „განმარტებითის თაობის“ საბოლოო აზრი შეჩერდა იმაზე, რომ შექმნილიყო ე. წ. დამატებითი (მე-9) ტომი, რომელშიც შევიდოდა მხოლოდ ქველის ფონდებში დადასტურებული ახალი ლექსიკური მასალა. რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდნენ ამ ტომზე ისეთი გამოცდილი სპეციალისტები, როგორებიც იყვნენ მერი მესხიშვილი და ბეატრისა საბაშვილი. მათ დიდი სამუშაო გასწიეს და მთლიანად შეაჯერეს 8-ტომეულთან ქველის ახალი მასალები, მაგრამ საბოლოოდ თავადაც მი-

ვიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ამ შედეგების გამოცემა დამოუკიდებელ ტომად მიზანშეწონილი არ იყო.

ამის შემდეგ თითქმის აღარავინ ეწინააღმდეგებოდა იმ აზრს, რომ ქეგლის ახალი რედაქცია ობიექტური აუცილებლობა იყო, მაგრამ შეუძლებელი აღმოჩნდა სათანადო ორგანიზაციული ნაბიჯების გადადგმა (სხვადასხვა დროს მისი ხელმძღვანელობა შესთავაზეს მ. სუხიშვილსა და მ. კელენჯერიძეს; ეს უკანასკნელი რამდენიმე წელიწადს ხელმძღვანელობდა კიდეც ამ ჯგუფს). საბოლოოდ ამ პრობლემის დაძვრა შესაძლებელი გახდა ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. კერძოდ, ეს იყო ამ პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება და ამან ობიექტურად მოითხოვა ერთგვარი უკუპროცესი – რეალური ორგანიზაციული ღონისძიებების გატარება.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ეფექტური აღმოჩნდა სკანირების სპეციალური პროგრამა (ისევ ზ. ინჯიას წყალობით), რომელმაც შესაძლებლობა მოგვცა მოგვემზადებინა ქეგლის რვატომეულის ელექტრონული ვერსია.

5. ერთი მხრივ, ისტორიულ-ეტიმოლოგიურმა სამუშაოებმა, ხოლო მეორე მხრივ, განმარტებითი ლექსიკონის ახალ რედაქციასთან დაკავშირებულმა ამოცანებმა გარდაუვალად მოითხოვა ქართული ენის ლექსიკის სრული „მობილიზება“. სწორედ ამას უკავშირდებოდა ძველი ქართული ლექსიკის ის ფონდი, რომელიც ინსტიტუტში წლების განმავლობაში იყო მომზადებული. სწორედ ამის გათვალისწინებით ისტორიულ-ეტიმოლოგიური სამუშაოების განახლებისთანავე ქ. ლომთათიძემ დაგვავალა დაგვეწერა დასკვნა, რამდენად იყო შესაძლებელი ამ მასალების ცალკე ლექსიკონად რეალიზება. ჩვენი დასკვნა უარყოფითი იყო, მაგრამ ამ აზრს არ ეთანხმებოდა ქალბატონი ლ. ნოზაძე. მაშინ ჩვენ მას შევთავაზეთ, თავად გასძღოლოდა შესაბამის სალექსიკონო სამუშაოს. ოთხი წლის განმავლობაში მისთვის ჩვეული სიბეჯითით მუშაობდა იგი ძველი ქართულის „მირ-ფუძეთა ინდექსზე“, მაგრამ საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ეს ცდა სასურველ შედეგს არ იძლეოდა.

რაც შეეხება დიალექტურ ლექსიკას, რომელიც ქართული ენის განსაკუთრებულ სიმდიდრეს წარმოადგენს, განყოფილებაში შემუშავდა „დიალექტური ლექსიკის კრებსითი ლექსიკონის“ კონცეფცია და, ცალკე ჯგუფის გარეშე, არსებითად პარალელურ რეჟიმში მო-

მზადდა დიალექტური ლექსიკის დიდი მოცულობის ფონდი. სრულიად აშკარაა, ეს ლექსიკონი ახლა ხელთ ექნებოდა სამეცნიერო საზოგადოებას, თუ არა ის მუხთლობა, რომლითაც ამ ლექსიკონის 100-ქულიანი საგრანტო პროექტი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მაშინდელი ხელმძღვანელობისა და ინსტიტუტის დირექციის შეთანხმებით ჩავარდა.

კიდევ რამდენიმე აქტივობას დავასახელებთ, რომლებიც იმდროინდელ ლექსიკოლოგიის განყოფილებას უკავშირდება:

– რეალურად 1998 წელს დამტკიცდა, მაგრამ მხოლოდ 3-4 წლის დაგვიანებით ამოქმედდა „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა“ ლექსიკოლოგიის მიმართულებით, რომელმაც სამიოდე წლის განმავლობაში იმუშავა, მაგრამ, იმდროინდელი უხელფასობის პირობებში, მნიშვნელოვანი სტიმული აღმოჩნდა ყველაზე მწვავე ლექსიკოგრაფიული ამოცანების გადასაწყვეტად. როგორც უკვე ითქვა, სწორედ ამ პროგრამას უნდა ვუმადლოდეთ ქეგლთან და ისტორიულ-ეტიმოლოგიურ ლექსიკონთან დაკავშირებული სპეციალური პროგრამების შექმნას.

– 2008-2010 წლებში ქეგლის ჯგუფმა მოიპოვა რუსთაველის ფონდის საგრანტო დაფინანსება (ხელმძღ. მ. ჩაჩანიძე), რომელმაც შესაძლებელი გახადა განმარტებითი ლექსიკონის 8-ტომეულის (კერძოდ, მე-3-მე-8 ტომების) მასალები შეჯერებულიყო ქეგლის ახალი ფონდისა და ე.წ. დამატებითი ტომის მონაცემებთან.

– 2011-2012 წლებში რუსთაველის ფონდმა დააფინანსა ქეგლის ელექტრონული ვერსიის პროექტი (ხელმძღ. რ. სხირტლაძე) და ამის შედეგად წელიწად-ნახევარში შესაძლებელი გახდა იმ ინტერნეტპროგრამის მომზადება, რომლითაც დღესაც სარგებლობს ნებისმიერი მომხმარებელი.

უნდა აღინიშნოს, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში განყოფილებას არ შეუწყვეტია მუშაობა ახალი ლექსიკური მასალების მოსაპოვებლად.

წარმოდგენილი მიმართულებები, ვფიქრობთ, ხელშესახებს ხდის იმას, რომ დასახელებულ პერიოდში, ურთულესი პირობების მიუხედავად, განყოფილება ინარჩუნებდა „მარგი ქმედების“ პოტენციალს და შესაძლებლის მაქსიმუმს აკეთებდა თავის წინაშე მდგარი ამოცანების გადასაწყვეტად. მოხსენებაში დოკუმენტურად იქნება

წარმოდგენილი ისიც, რისი რეალიზებაც მოხერხდა, და ისიც, რაც განუხორციელებელი დარჩა.

ნოდარ არდოტელი

ნათესაობის გამომხატველი კომპოზიციები ქართველურსა და ნახურ-დაღესტნურ ენებში (ეთნოლინგვისტური ანალიზის ცდა)

ნათესაობის გამომხატველი კომპოზიციების ანალიზისას ინტერესს იწვევენ ისეთი თხზული სახელები, რომლებიც გვარისმიერ ან უახლოეს სისხლისმიერ ნათესაობას გამოხატავენ: **გვარ-ძვალი (ძვალ-გვარი), გვარტომი, გვარჩამომავლობა, გვარიშვილობა, ძმა-ბიძაშვილობა, ძმაშიწში, ძმისწული, ბიძა-ძმისწულნი, დისწული, დისწულ-დედიძმანი** და ა. შ.

სომატონიმ **ძვალთან**, როგორც ადამიანის ქიმიურად უხრწნელ და ფიზიკურად გამძლე ნაწილთან, დაკავშირებული კომპოზიციების სიმრავლე ქართული ენის მთის დიალექტებში მის ფუნქციურ-სემანტიკურ დატვირთვაზე მიგვანიშნებს, მაგ.: **ძვალ-გვარი, ძვალ-რბილი, ძვალ-ტყავი, ძვალ-სისხლი** და მისთ.

საგულისხმოა, **ძვალი** კომპოზიტიში **გვარ-ძვალი** (შდრ. **გვარტომი**) პოსტპოზიციური წყობითაც დასტურდება და ხვესურული დიალექტის კუთვნილებაა. შესაძლოა, გვარის ერთიანობა და გამძლეობა **ძვლის** სიმტკიცესთან ასოცირდებოდა, ხოლო მისი გატეხა-დანაწევრება თუ გვარიდან უღირსი საქციელისთვის მოკვეთა რაიმე სარიტუალო წესის შესრულებასთან იყო დაკავშირებული. გვარის ერთიანობის რღვევა და დაშლა მის წევრებს შორის რაიმე სერიოზული უთანხმოების შემთხვევაში ძვლის გატეხით უნდა ყოფილიყო გამოხატული, რასაც ცხადყოფს ქართველურ ენათა მონაცემები, მაგ.: სვან. **ჯიჯუში ლიკუში** „ძვლის გატეხვა“; გადატ. „გვარში სისხლის აღრევა“; ზან. **ძვალიშ მატახალი** (ძვალიშ ტახუა „ძვლის ტეხვა“) (მეგრ.) „ძვლის მტეხელი“ („გვარის დამაზიანებელი“).

ეთნოლოგიური თვალსაზრისით, კომპოზიტი **და-ძმოზა** თავად დიდ ყურადღებას არ იქცევს, თუმცა მისგან ნაწარმოები კომპოზიტი **დოზილ-ძმოზილობა** მრავალმხრივ არის საინტერესო. კერძოდ, **დოზილობა** („დად გაფიცვა“) და **ძმოზილობა** („მმადნაფიცობა“) სრულიად დამოუკიდებელი აბსტრაქტული სახელები ქმნიან კომპოზიტს, რომელიც საწესჩვეულებო რიტუალს გულისხმობს და ორ საპირისპირო სქესის წარმომადგენელთა ურთიერთობა ამგვარად რეალიზდება.

ირკვევა, რომ ხევსურულში მას დამატებითი კონოტაცია (**გულისტოლი**) მოეპოვება, რაც შეპირობებულია ტრადიციულ საზოგადოებაში დამკვიდრებული ჩვეულების – **ძმოზილობის** (სწორფრობის) არსებობით. მართალია, ხევსურულ დიალექტში დასტურდება კომპოზიტი **დოზილ-ძმოზილობა**, მაგრამ მას ერთგვარად ხელოვნური ტერმინის ელფერი გადაჰკრავს, ვინაიდან მოეპოვება სხვა სემანტიკური ველებით მეტ-ნაკლებად განსხვავებული სინონიმები: **სწორფროზა**, **ძმოზილობა**, **ქალ-ვაჟობა**, **წოლა-დგომა**. კომპოზიტში **დოზილ-ძმოზილობა** დოზილი (ქალი) და ძმოზილი (ვაჟი) ორივე მოიაზრება, თუმცა საწესჩვეულებო სტატუსის მქონე ტერმინში **ძმოზილობა** ქალიც **ძმოზილი** (არა **ძმა** – sic!) ხდება, ვინაიდან წეს-ჩვეულების სათავის დამდებ ტრადიციულ საზოგადოებაში მამაკაცის პრიმატი იყო და ენობრივი რეალიზაციაც სათანადოდ განხორციელებულა.

ყურადღებას იქცევს ნათესაობის ტერმინი **ძმა-ზიძაშვილი**, **ძმა-ზიძაშვილობა**, რომელიც ორკომპონენტთან და სამსახელიან კომპოზიტს წარმოადგენს. ცალკე აღებული **ზიძაშვილი** (ძვ. ქართ. **ზიძაძენი**) და **ზიძაშვილობა** ფუნქციურ-სემანტიკურად არ უდრის ძმა-ზიძაშვილობას. ხევსურულ დიალექტში **ძმა-ზიძაშვილი** ფუნქციურ-სემანტიკურად ახლოს დგას თხზულ სახელთან **ძმა-სახლისკაცები** და **ძმა-შინში**. მიუხედავად მსგავსებისა, განსხვავება ხელშესახებია: **ძმა-სახლისკაცები** უფრო ძმას და ოჯახში მყოფ მამაკაცებს მიემართება, ხოლო მეორე კომპოზიტი (**ძმა-შინში**) მნიშვნელობით უფრო ახლოს დგას **ძმა-ზიძაშვილ**-თან და მისი მეორე კომპონენტი (**შინში**) ნახური წარმომავლობისად მიაჩნიათ (აკ. შანიძე, თ. გონიაშვილი, რ. ხარაძე). იუნიუს დემერიევმა ნახური ენებიდან **შინში** (ჩეჩნ. **შიჩა**, ინგ. **შუჩა** „ზიძაშვილი“, წ. თუშ. **შიჩე** „დეიდაშვილი“) სესხების შესაძლებლობა ჰიპოთეზურად მიიჩნია.

ჩვენი აზრით, საანალიზო სახელი გენეზისურად დაკავშირებული ჩანს **შინ** ზმნისართთან: ***შინ-ის** (შდრ. ხევს. **შინიშინ** < ***შინ-ის შინ** „თავთავიანთ სახლებში“; აგრეთვე, **სახლიკაცი** < **სახლ-ის კაცი** „მმა, ბიძაშვილი“) > ***შინ-ის-ი** > **შინს-ი** > **შინშ-ი**.

რაც შეეხება დადესტნურ ენებს, ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში **ბიძაშვილი** მეტწილად **-ცალ** დერივატით იწარმოება და სათანადო კლასის სახელს შესაბამისი ექსპონენტი განარჩევს, მაგ.: ხუნძ. **ჟ-აც-ცალ** „ბიძაშვილი“ (კაცი), **მ-აც-ცალ** „ბიძაშვილი“ (ქალი). ანალოგიური ვითარება გვაქვს დანარჩენ ენებში, თუმცა დიდოური ენები აღწერით ფორმებსაც გვიჩვენებენ, მაგ.: დიდ. **ბაბიიუხ ესიიუს უყი** „მამის ძმის ვაჟი“, **ბაბიიუხ ესიიუს ქიდ** „მამის ძმის ქალიშვილი“ და ა. შ.

მოხსენებაში წარმოდგენილია სხვა ანალოგიური კომპოზიტივის ახსნის ცდა.

ნ ა რ გ ი ზ ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი , მ ა რ ი ნ ე ფ უ თ უ რ ი ძ ე

უძველესი კოლხური ძეგლების ინტერდისციპლინური კვლევის ცდა და მისი პირველი შედეგები

წარმოდგენილი მოხსენება მიზნად ისახავს უძველესი კოლხეთის ძეგლების სპეციალურ კვლევას ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ორი წამყვანი დარგის – არქეოლოგიისა და ლინგვისტიკის პრობლემეტიკის გზაჯვარედინზე. ეს არის არქეოლოგიური ძეგლებისადმი ამგვარი დამოკიდებულების და მათი შესწავლის პირველი ცდა, მიმართული საკვლევი მასალის არა მხოლოდ არქეოლოგიური კონტექსტის გარკვევის, არამედ ამა თუ იმ კონკრეტული კომპლექსის ადგილმდებარეობის, ძველი ტოპონიმების გამომჟღავნებისა და დადგენისაკენ.

კოლხეთის რეგიონის განხილული ძეგლები, გარდა არქეოლოგიურ არტეფაქტთა მრავალფეროვნებისა, ქრონოლოგიურად განსხვავებული პერიოდების პლასტებს მოიცავს. სახელწოდებათა მრავალშრიანი ლინგვისტური ანალიზისა და არქეოლოგიური კონტექ-

სტის ინტერდისციპლინური კვლევის პირველი შედეგები განხილულია, ერთის მხრივ, მახვილათურის ნეოლითური ხანის ნამოსახლარის, ხოლო, მეორეს მხრივ კი, ამავე პუნქტში სხვა დროს გათხრილი სამარხეული ძეგლების მაგალითზე, რომელთა ქრონოლოგიური დიაპაზონი ძვ.წ. მე-2 ათასწლეულის მეორე ნახევარია (გვიან ბრინჯაოს ხანა). და ასევე, ამ პუნქტში მიკვლეული უფრო მოგვიანო ხანის – ძვ. წ. მე-2 ათასწლეულის მიწურულისა და ძვ. წ. 1 ათასწლეულის დასაწყისის კოლხური კულტურის საწყისების მაჩვენებელი კომპლექსების საფუძველზე. სწორედ აქ აღმოჩენილი ფიგურები ნათლად და მრავალფეროვნად წარმოგვიდგენს იმ არქეოლოგიურ კონტექსტს, რომელიც ცხადს ხდის კოლხური კულტურისათვის ძალზე დამახასიათებელი დარგის – მხატვრული ბრინჯაოს განსაკუთრებულ დაწინაურებას. ამ ძეგლის ტოპონიმიკური კვლევა-ძიების ერთ-ერთი მთავარი მიზნის – მნიშვნელობა გაუჩინარებული გეოგრაფიული სახელწოდებების ეტიმოლოგიამ საშუალება მოგვცა გარკვეულწილად წაგვეკითხა მოცემული რეგიონის მოსახლეობის წარსული.

ზემოაღნიშნული თვალთახედვით (მეცნიერების ორი დარგის – არქეოლოგიისა და ლინგვისტიკის) განსახორციელებელი კვლევისათვის ჩვენ კოლხეთის რეგიონში ლოკალიზებული ძეგლი, კერძოდ კი, მახვილათურისა კომპლექსი შევარჩიეთ. საინტერესოა, თუ რატომ აგრძელებს ადგილობრივი მოსახლეობა აღნიშნული ადგილების ინტენსიურად ათვისებას და ხომ არ იყო ამის ერთ-ერთი განმაპირობებელი კოლხეთის ამ კონკრეტული არეალის გეოკლიმატური, ლანდშაფტური თუ სხვა (ფლორა, ფაუნა) თავისებურებანი. სწორედ ამ საკითხებზე ყურადღების კონცენტრირებამ მოითხოვა კონკრეტულ ტოპონიმთა ლინგვისტური ანალიზის საჭიროება და ასე დაუკავშირდა პირველად საკუთრივ არქეოლოგიური ანალიზი სხვა, კერძოდ კი, ლინგვისტურ მონაცემებს. ამ ორი დისციპლინის კვლევის კვეთაზე ჩატარებულმა შესწავლამ, რასაკვირველია, გარკვეულად გაამდიდრა და შეავსო ის მონაცემები, რის შესაძლებლობასაც აქამდე ამ ორი დარგის მეთოდოლოგიური და წყაროთმცოდნეობითი ბაზა მხოლოდ ცალ-ცალკე იძლეოდა.

აღნიშნავთ, რომ მახვილათური მე-20 საუკუნის ბოლოს გათხრილი და მეტ-ნაკლებად სრულად შესწავლილი ძეგლია, სადაც აშკარად დასტურდება სამაროვნის (ზოგ შემთხვევაში კი ცალკეული

სამარხის) არსებობა. მათი ქრონოლოგიური დიაპაზონი ძვ.წ. მე-2 ათასწლეულის მეორე ნახევარია, რომელიც გვიან ბრინჯაოს ხანადაა განსაზღვრული, ხოლო კულტურულად კი ის პროტოკოლხურ არქეოლოგიურ კულტურას განეკუთვნება.

ამირან ბასილაშვილი

მასუბსტანტივება უდიურ ენაში და მასუბსტანტივებელი -ო სუფიქსის ეტიმოლოგიისათვის (პარალელები კავკასიური ენებიდან)

უდიურში -ო გამოიყენება მასუბსტანტივებელ სუფიქსად: ამ სუფიქსის დართვით მსაზღვრელი სახელები (ზედასართავი სახელი, რიცხვითი სახელი, კუთვნილებითი ნაცვალსახელი, მითითებითი ნაცვალსახელი, მიმღობა) არსებით სახელს (სუბსტანტივს) უტოლდებიან, მაგალითად: *ქალა ვიჩი* აშ-ნე-ბსა „უფროსი ძმა მუშაობს“ ~ *ქალორ-ტინ* (← ქალა-ო-ტ-ინ) აშ-ნე-ბსა „უფროსი მუშაობს“; *ხიბ ეშ* „სამი ვაშლი“ ~ *ხიბო* [ეშნაჲ] მდა-ნე „სამი ვაშლი ← [ზედმიწ. ვაშლისა] აქაა“; *ეჭი კოჯ* ქალა-ნე, *ბეშიო* კიწი-ნე „თქვენი სახლი დიდია, ჩვენი – პატარა“; *მე დას* ზომ-ბაქა! „ეს გაკვეთილი ისწავლე!“ ~ *მენო* ვი ზომ-ბაქალ-ლე „ეს შენი სასწავლია“; მდა *ეჩერი ქაღვზ* ში-ა? „აქ მოტანილი წერილი ვისია?“ ~ მდა *ეჩერიო* შეტაჲ-ნე „აქ მოტანილი [წერილი] მისია“.

მასუბსტანტივებელი -ო სუფიქსი მსაზღვრელ სახელთა ფუძეფორმას შეიძლება დაერთოს უცვლელად: შელ „კარგი“ – შელ-ო, კიწი „ცოტა“, „მცირე“ – კიწი-ო, ხიბ „სამი“ – ხიბ-ო, ბეზი „ჩემი“ – ბეზი-ო, თაცი „წასული“ – თაცი-ო, ან მცირე ფონეტიკური ცვლილებით: ქალა „დიდი“, „უფროსი“ – ქალ-რ ← ქალოო ← ქალა-ო, სა „ერთი“ – სრ ← სოო ← სა-ო. აქ -ა ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთან -ო სუფიქსის შეხვედრისას გრძელი ხმოვნები პოზიციურად წარმოიქმნება. პირველადი გრძელი ხმოვნები კი უდიურის ფონოლოგიური სისტემისთვის არ არის დამახასიათებელი.

ევგ. ჯეირანიშვილის აზრით, -**ო** სუფიქსი ნაცვალსახელური წარმომავლობისა: სა „ერთი“ ~ სრ „ერთი“ (გასუბსტ.) ← *სა-ო ← *სა-ლო ← *სა-ღჷა/*სა-ღჷე. მონათესავე ენათა ჩვენების მიხედვით, უდიურში აღდგენილია *ღჷა/*ღჷე ნაცვალსახელური ძირი.

ვლ. ფანჩვიძის ვარაუდით, -**ო** წარმომავლობით განყენებულ ცნებათა მაწარმოებელი სუფიქსი უნდა იყოს, ქართული აბსტრაქტულობის საწარმოებელ -ობ-ა, -ებ-ა... დერივანტთა მსგავსად, და შეიძლება უკავშირდებოდეს ლეზგიურში დადასტურებულ ამგავრი ფუნქციის მქონე -**ჷაღ** სუფიქსს.

-**ო** მასუბსტანტივებელი სუფიქსი კავკასიის ალბანურშიც მოწოდებული რდენობას წარმოადგენდა (რ. ლოლუა). აღსანიშნავია, რომ -**ო** სადერივაციო სუფიქსი ხუნძურშიც გვაქვს: მესედ „ოქრო“ – მესედ-**ო** „მესედო“ (ქალის საკუთარი სახელი) (არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე).

-**ო** სუფიქსი ქართული ენის სიტყვაწარმოებისთვისაც არ არის უცხო. ქართულში გვაქვს ერთი ძირისგან წარმოქმნილი ამგვარი სიტყვები: ფერდ-**ო**/ფერდ-**ო**, გრილ-**ო**/გრილ-**ო**, მაღალ-**ო**/მაღალ-**ო**, ბნელ-**ო**/ბნელ-**ო**, ჭრელ-**ო**/ჭრელ-**ა**/ჭრელ-**ო**... -**ო** სუფიქსის დართვა პირველად ფუძეზე სემანტიკის ცვლილებას იწვევს – ზოგჯერ უმნიშვნელოს, ზოგჯერ კი გამოჩნდება ჩვენთვის საინტერესო, უდიურის მსგავსი ვითარება – ატრიბუტივთაგან სუბსტანტივთა წარმოება (მაგ.: გრილ-**ო**/გრილ-**ო**, ჭრელ-**ო**/ჭრელ-**ო**...). არსებობს მოსაზრება, რომ ამგვარ ადგილ-მდებარეობის გამომხატველ სახელებში -**ო** -ობ სუფიქსის ცვეთით არის მიღებული. -**ო** -ობ-ისგან დამოუკიდებელ მაწარმოებლად ჩამოყალიბდა და სხვა ფუძეებისგან აწარმოებს ახალ სახელებს (ი. ქავთარაძე, მ. ტუსკია).

-**ო** სუფიქსი, გარდა ადგილ-მდებარეობათა აღმნიშვნელი სახელებისა, აწარმოებს სოკოთა და ტოპონიმთა სახელწოდებებს: ტრედ-**ო**, ჭად-**ო**, ხულ-**ო**, დანდალ-**ო**, ხახაბ-**ო**, ბის-**ო**, ხის-**ო**, ბორბალ-**ო**... (ი. ქავთარაძე, ზ. ჭუმბურიძე, თ. უთურგაძე). -**ო** სხვადასხვა კონფიქსის შემადგენლობაშიც მონაწილეობს (სა-**ო**, სი-**ო**, უ-**ო**...). -**ო** სუფიქსის ფართო და მრავალფუნქციურ გამოყენებას ნათლად აჩვენებს „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი“.

-ო სუფიქსიან სახელთა ერთ ნაწილში (კერძოდ, ადამიანთა მეტსახელებში) -ო დაბოლოების დაკავშირება -ობ ამოსავალ სუფიქსთან გაჭირდება: მაღალ-ობ, ბნელ-ობ...

ეტიმოლოგიის დონეზე -ოს გამოყოფენ შემდეგ სახელებში: ძრ-ობ (შდრ.: ძირ-ობ), ტარ-ობ (ტარ-ობ) (ნ. ჭუმბურიძე). აღსანიშნავია ასევე შემდეგი წყვილების დასახელება: ღერ-ობ/ღერ-ობ, ჟოლ-ობ/ჟოლ-ობ (ფშ.). რაღაც ამგვარი მიმართება ჩანს საერთო წარმომავლობის ქართულ-ზანურ სიტყვებშიც: ღვინ-ობ/ღვინ-ობ, სურ-ობ/სურ-ობ...

საინტერესოა, რომ ქართულში შეიძლება პირიქითაც მოხდეს და -ო სუფიქსით არსებითისგან ზედსართავი სახელი იწარმოოს: ფართ-ობ (შდრ.: ფართ-ობ), საწარმო-ობ (საწარმო)... უნდა ვახსენოთ თით-ობ/თით-ობ სიტყვათა მიმართებაც.

უდიურსა და ქართულში არაერთი მსგავსი აფიქსური მორფემა დასტურდება, ამავე კონტექსტში განვიხილავთ აქ მოცემულ უდიურ-ქართულ თანხვედრას. შემდგომმა კვლევებმა უნდა მოჰყვინოს ნათელი, არის თუ არა მატერიალური და ფუნქციური მსგავსების მიღმა უფრო ღრმა (გენეტიკური) კავშირი -ო სუფიქსთა შორის, რომლებიც სხვადასხვა მონათესავე ენაში გვხვდება.

თ ე ა ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე

ერთი სახის წინადადების აგებულებისათვის

სამეცნიერო ლიტერატურაში დეტალურადაა გაანალიზებული ქართული ენის წინადადების აგებულების საკითხი, გამოყოფილია სტრუქტურულად განსხვავებული სამი სახე: მარტივი, შერწყმული და რთული. თავისებურებას ქმნის განსაკუთრებით ისეთი კონსტრუქციები, სადაც ორი ზმნას შორის, რომელთაგან მეორე კავშირებით მწკრივშია გამოყენებული, **რომ** კავშირი გამოტოვებულია და არც მძიმითაა გამოყოფილი: „გადავწყვიტე დავარღვიო ჩემი ჩვეულება“; „ცდილობდა სახის ერთი პატარა ნერვის გატოვებით მიმხვდარიყო ამას“; „კანონმდებლობა აიძულებს ადამიანებს გამოიყე-

ნონ ღვედი“; „პრეჰოსპიტალურ პერსონალს აქვს შესაძლებლობა ყურადღება გაამახვილოს ადამიანების დარწმუნებაზე“; „მან მოულოდნელად გადაწყვიტა წასულიყო მეგობართან“; „ის გამუდმებით ცდილობდა შეესრულებინა რთული საქმე“.

ასეთ შემთხვევებში გაურკვეველობას ქმნის როგორც ამგვარი წინადადების აგებულება, ასევე მასში შემავალი წევრების შესიტყვების საკითხი.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ რომ კავშირის გამოტოვებისას კავშირებითი ზმნის წინ მძიმე არ დაისმის: „შეიძლება დარჩეს“, „შეუძლია გააკეთოს“, „გთხოვთ დამნიშნოთ“. აქ კავშირებითი ფორმა შინაარსობრივად უდრის ქართულში მასდარს (მოქმედების სახელს).

ამგვარი წყობის დროს, ერთი მხრივ, დგას მძიმის დასმის საკითხი, ხოლო, მეორე მხრივ, წინადადების აგებულებისა – რთული ქვეწყობილია თუ მარტივი? ცხადია, თუ კავშირებითში დასმულ ზმნას (დავარდვიო, მიმხვდარიყო, გამოიყენონ, გაამახვილოს, წასულიყო, შეესრულებინა, დამნიშნოთ, დარჩეს...) შინაარსობრივად მასდარის ფუნქციისად მივიჩნევთ, მაშინ ის ჰიპოტაქური წყობისა ვერ იქნება და მარტივ წინადადებად მიიჩნევა – მათში არც კავშირი და არც წინადადების ნაწილების უკავშირო შეერთება არ გვაქვს (სხვა შემთხვევებში გამოტოვებული, ნაგულისხმევი კავშირის დროს მძიმე იწერება, რაც მიუთითებს ამგვარი წინადადების რთულ აგებულებაზე). აქ დაისმის შემდეგი კითხვა – შინაარსობრივად რომ უდრის მასდარს, ფუნქციაც იგივე აქვს? თუ მასდარია, მაშინ უნდა გამოიყოს სინტაქსური წყვილი, როგორც ეს შესაბამის შემთხვევებში გვაქვს: უნდოდა ცეკვა, შეეძლო ემღერა, შეძლო მუშაობა, ცდილობდა წასვლას... შინაარსობრივი და სინტაქსური ფუნქციები სხვადასხვაა. შეუძლებელია ამგვარი სინტაგმების გამოიყოფა: შეუძლია გააკეთოს, გთხოვთ დამნიშნოთ, შეიძლება დარჩეს, ცდილობდა წასულიყო. **შინაარსობრივი ფუნქცია არაა სინტაქსური ფუნქციის ტოლმადლოვანი** და უნდა ვიხელმძღვანელოთ გრამატიკული დანიშნულების მიხედვით.

მოყვანილ შესიტყვებებში სინტაქსურად ორივე წევრი ზმნაა. სიტყვათა შეკავშირებისას კი ორი ზმნა არ მონაწილეობს. მართალია, მოხმობილ წინადადებებში ზმნები შინაარსობრივად ეთანხმებიან ერთმანეთს, მაგრამ არა გრამატიკულად. სემანტიკურად ზმნამ შეიძ-

ლება ფორმაუცვლელი სიტყვა მიიერთოს, რაც შეკავშირების ერთ-ერთი სახე – მირთვავა, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში მეორე კომპონენტი ზმნაა და არა ფორმაუცვლელი სიტყვა. ვერც ამ ტიპის სამწევრა შესიტყვება გამოიყოფა: მას შეუძლია გააკეთოს; მან შეიძლება გადაწყვიტოს. თუ ამგვარ კონსტრუქციებში **რომ** კავშირი რეალურადაა გამოყენებული ან ნაგულისხმევი (რაც მძიმითაა გამოხატული), მაშინ ამკარაა – წინადადება რთული ქვეწყობილია: გთხოვთ, რომ დამნიშნოთ ამ თანამდებობაზე // გთხოვთ, დამნიშნოთ ამ თანამდებობაზე; შეუძლია, რომ დარჩეს ამ კვირის ბოლომდე // შეუძლია, დარჩეს ამ კვირის ბოლომდე; შეუძლია, რომ გააკეთოს ეს ყველაფერი // შეუძლია, გააკეთოს ეს ყველაფერი; ის გამუდმებით ცდილობდა, რომ შეესრულებინა რთული საქმე // ის გამუდმებით ცდილობდა, შეესრულებინა რთული საქმე. სინტაქსური თვალსაზრისით იცვლება თუ არა რამე კავშირის გამოტოვებითა და მძიმის არდასმით? ჩვენ მიერ დასახელებულ წინადადებებში აღნიშნული ფაქტორები არ ცვლის სურათს – ფორმოზრივად ჰგავს მარტივ წინადადებას, თუმცა, ტრადიციული მარტივი წინადადებისაგან განსხვავებით, მასში ორი ზმნა იყრის ერთად თავს. ამიტომაც კავშირისა თუ მძიმის დასმა-არდასმა არ წყვეტს/ცვლის საკითხს – ესაა ჰიპოტაქსური წინადადებები და მისი სახეობა დადგინდება იმისდა მიხედვით, თუ მთავარი წინადადების რომელ წევრს განსაზღვრავს დამოკიდებული წინადადება.

თ ე ი მ უ რ ა ზ გ ვ ა ნ ც ე ლ ა მ ე

ონომასტიკონი და დასავლეთ საქართველოს უძველესი მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის პრობლემა

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ქართულ მოსახლეობამდე აფხაზურ-ჩერქეზული ტომების განსახლების თაობაზე, რაც ემყარება მოსახურებებს რამდენიმე გეოგრაფიული სახელის შესახებ (ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია და სხვანი, რამდენადმე განსხვავებული

ვარაუდი აქვთ ვ. ივანოვსა და თ. გამყრელიძეს), აგრეთვე XIX საუკუნესა და XX საუკუნის პირველ ნახევარში ახლო აღმოსავლეთში გამოვლენილი ადრე უცნობი ხალხების, მათი ენებისა და კულტურების საფუძველზე შექმნილ ხალხთა მასობრივი მიგრაციის თეორიებს.

ამჟამად, როცა დმანისში ჰომინიდების აღმოჩენის გამო გადაისინჯება მსოფლიოში ადამიანის ჩამოყალიბების ადგილისა და მიგრაციათა მიმართულების საკითხები, ვფიქრობთ, ასევე გადასასინჯია ჰიპოთეზა იბერიულ-კავკასიური მოდემის ხალხთა სამშობლოს კავკასიის ფარგლებს გარეთ, ახლო აღმოსავლეთში არსებობის შესახებ. ცხადი ჩანს ისიც, რომ **იბერიულ-კავკასიური მოდემის ხალხებიც და შესაბამისი ენათა ოჯახიც სწორედ კავკასიაში უნდა ჩამოყალიბებულიყო**. ამ კონტექსტში, ბუნებრივია, ობიექტურ კრიტიკულ შეფასებას მოითხოვს დასავლეთ საქართველოს ისტორიამდელი მოსახლეობის ეთნიკურ-ენობრივი კუთვნილების საკითხიც. ჩვენ ვცადეთ პირველი ნაბიჯების გადადგმა ამ მიმართულებით და წარმოვადგინეთ კვლევის შედეგების ნაწილს:

1. აქამდე მიიჩნეოდა, რომ ოიკონიმი **ზობოყვათი** (ისევე, როგორც **ყვა** ელემენტთან სხვა ტოპონიმები: **მალთაყვა, აჭყვა, ჯურუყვითი...**) ჩერქეზული წარმომავლობის სახელი უნდა იყოს, რაკი ყვა სეგმენტს უკავშირებდნენ ყაბარდოულ ყ'ზ „ხევი; დეღე; ხრამი“ სიტყვას (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია...). სამწუხაროდ, ამ მოსაზრების მომხრე მეცნიერებს არ განუმარტავთ, თუ როგორ იხსნება ყაბარდოულად ტოპონიმების დანარჩენი ნაწილები: **ზობო-, მალთა-, აჭ-, ჯურუ-** და დაბოლოება თ. ეს კი იმის მაუწყებელია, რომ ამ **სიტყვების ეტიმოლოგია დადგენილი არ არის**. ჩვენ მიეზა წარვმართეთ ქართველური ენობრივი კონტინუუმისაკენ. გაირკვა, რომ **მარტვილისა და ტყიბულის** მუნიციპალიტეტებში დღემდე არსებობს ორი სოფელი იდენტური **ზობოთი** სახელწოდებით, გარდა ამისა, სამეგრელოშივე ჩხოროწყუს რაიონში 1963 წელს ლიდა, ანტონ და თეოფანე ნაჭყებების მიერ შეკრებილ პირსახელებში დასტურდება მამაკაცისა და ქალის პირსახელი **ზობო** (ა. ლლონტი. ქართველური საკუთარი სახელები. 1986, გვ. 91, 261), შეგვხვედრია **ზობუა**-ს (< ***ზობო-ა**) გვარის მქონე გალეი ქართველებიც, რომელთა გვარი ბეჭდურ გამოცემაშიც იხსენიება (Б. Сагария. История Абхазской АССР (1917-1937). 1983, გვ. 331). უდავოა, რომ **ზობოთი** და **ზობოყვათი** რეალურად არ-

სებულ **ზოზო** პირსახელს შეიცავენ, ყვა ელემენტი კი, როგორც მ. ჩუხუამ გაარკვია, მეგრულში **ყმა** სიტყვის ფონეტიკური ვარიანტია (**ყ**-ს მომდევნო პოზიციაში **მ > ვ**), შესაბამისად, **ზოზო-ყვა** ისეთივე წარმოებისაა, როგორც **ვაშა-ყმა** (შდრ. **ვაშაყმაძე**), **კეჭა-ყმა** (შდრ. **კეჭაყმაძე**)... (მ. ჩუხუა. -**ყვა** დაბოლოების გენეზისისათვის ქართველურ გვარებში. 2011, გვ. 227-228). რაც შეეხება **ზოზოყვათ**-ის **თ** ელემენტს, იგი ან საერთოქართველური ნართანიაანი მრავლობითი რიცხვის ნიშანია (შდრ. ოიკონიმები: **ჟინო-თ-ა**, **ლაგვან-თ-ა**, **გოგოლაურ-თ-ა**, **მუხა-თ-წყარო**, **წარზას-თ-უზანი**, **გორ-თ-უზანი**, **კობალ-თ-ა**, **ჯავახ-თ-ა**, **კალო-თ-ა**, **მოლი-თ-ი**, **ბაზო-თ-ი**, **მუხა-თ-ი**, **ტობა-თ-ი**, **მამა-თ-ი**, **კოკა-თ-ი**, **გრიგალ-ა-თ-ი**...), ანდა მეგრულში გავრცელებული **თი** „ოჯახი, სახლი, სახლკარი“, რომელიც ტოპონიმებში გამოხატავს გვარის საბინადროს (ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი. ტ. II, 2002, გვ. 46), ან პიროვნების შთამომავალთა დასახლების ადგილს (შდრ.: **კახა-თი**, **თეკლა-თი**, **აბედა-თი**, **მახა-თი**, **კვარია-თ-ი**...

2. ჰიდრონიმი და ოიკონიმი **სუფსა** ს. ჯანაშიამ ჩერქეზულ სახელად მიიჩნია, ხოლო ივ. ჯავახიშვილმა დამატებით დაუკავშირა ლ. ლულიეს მიერ ადიღეში ჩაწერილ მდინარის **სუფ** სახელსა და წყლის, მდინარის აღმნიშვნელ ჩერქეზულ **ფსგ** სიტყვას (ს. ჯანაშია. შრომები. ტ. III, 1959, გვ. 117-123; ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები. 1950, გვ. 44). სამწუხაროდ, ივ. ჯავახიშვილს ლ. ლულიეს ჩანაწერზე დაყრდნობამ მცდარი დასკვნა გამოატანინა: მართალია, **რუსულ** ენაზე **Суя** ეწოდება ადიღეში მდებარე კაზაკთა სტანიცასა და ტყეს, ხოლო მდინარეს **რუსულადვე** ჰქვია **Суянас**, მაგრამ კ. მერეტუკოვის ცნობით, ამ ობიექტების ადიღური სახელები **ფონეტიკურად საკმაოდ დაცილებულია რუსული ფორმებისაგან**: სტანიცა და ტყე იწოდება როგორც **ს'ფფ** [ადიღურად: Ш'уф], ხოლო მდინარეს ჰქვია **ფსგს'** [Псыш'у] „კეთილი მდინარე“ (К. Х. Меретуков. Адыгейский топонимический словарь. 1990, გვ. 182). რაც მთავარია, მდინარის სახელის სისინ-შიშინა ლაბიალიზებული **ს'** ფონემა აკუსტიკურ-პერცეფციულად **წუ** // **ჭუ** კომპლექსებთან უფრო ახლოსაა, ვიდრე სადა **ს** ბგერასთან და იგი ქართულ ენაზე **სუ** მარცვლით არ გადმოვიდოდა.

3. ნ. მარის აზრით, აფხაზთა შორის გავრცელებული გვარი **გუზაზ** ნააფხაზარი გაქართულებული ფორმაა: თურმე ჯერ არსებობ-

და აფხაზური გვარი ***გუ-ბა** „გულიძე“, მერე მას დამატებია ქართული **-ძე** დაბოლოება, შემდეგ მოკვეცილა **ე** ხმოვანი, ხოლო **ძ** ბგერა **ზ** ბგერით შეცვლილა. შემდგომში ახალი **გუბაზ** ფორმა თურმე მამაკაცის სახელად იქცა და იგი ახ. წ. V-VI საუკუნეებში ლაზიკის ორ მეფესაც კი დარქმევია. სახელი **გუბაზი** ახლანდელ გურიაშიც გავრცელებულა და საფუძვლად დასდებია მდინარის **გუბაზოული** სახელსაც (Н. Я. Марр. О языке и истории абхазов. 1957-58). სამწუხაროდ, მკვლევარმა არ გაითვალისწინა რამდენიმე დამაბრკოლებელი გარემოება:

- ისტორიაში პირველი აფხაზური გვარი **ინალ-იფა** „ინალისძე“ **ინალდიფა** ფორმით იხსენიება მხოლოდ „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებაში (Абхазия и абхазы средневековых грузинских письменных источников. 1988, გვ. 117).
- **-ბა** დაბოლოებიანი გვარები არ არის აბაზურში და ეს მოდეული არ იყო საბოლოოდ ჩამოყალიბებული XIX საუკუნეშიც კი (თ. გვანცელაძე. აფხაზური ენა. სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება. 2011, გვ. 136-151).
- გვარსახელი **გუბაზი** არ იხსნება აფხაზურად, მეგრულად კი სიტყვა **გუბაზი** „ლადს“ ნიშნავს, ხოლო **გუბაზუა** – „ლადლბას“ (ო. ქაჯაია).

4. ნ. მარი აფხაზურად მიიჩნევდა ტოპონიმ **ქუთათის**-საც: **ქუთა** უკავშირდება აფხაზურ **ა-ქეთა** „თემი; სოფელი“ სიტყვას, ხოლო სიტყვის ბოლოში გამოიყოფა ქართული **-ათ** და **-ის** სუფიქსებით (იქვე, გვ. 72-73), მაგრამ არც ეს ვარაუდი მტკიცდება, ვინაიდან აფხაზური სიტყვა **აქეთა** და აბაზური **ქეთ** მომდინარეობენ თურქული **ქეთა (kita)** სიტყვისაგან, რომლის მრავალი მნიშვნელობიდან აფხაზურ-აბაზურმა **სოფლის, თემის** აღსანიშნად მცირედი ცვლილებით გადმოიღო „**უბანი**“ (А. Н. Баскаков. Турецко-русский словарь. 1977, გვ. 545). **რაც მთავარია, თურქებთან კონტაქტი აფხაზ-აბაზებს არ ჰქონიათ XVI საუკუნემდე**, ამ პერიოდში კი, თუნდაც პროკოპი კესარიელის დროიდან ქალაქს უკვე ერქვა ქართული სახელი **ქუთათისი**, რაც იცოდა პროკოპიმაც (ის ახსენებს **Κουτατίσι-ov**-ს). **ქუთათისის** ეტიმოლოგია ქართველურ ნიადაგზეა შესაძლებელი: მისი ძირია მეგრელთა შორის დღემდე გავრცელებული მამაკაცის პირსახელი **ქუთა** (ა. ლლონტი. დასახ. ნაშრ., გვ. 209), რომელიც დასტურდება შუახევის მუნიციპალიტეტის ოიკონიმ **ქუთაურ**-ისა და გალის მუ-

ნიციპალიტეტის სოფელ ნახინგუს საფარფალიოს უბანში არსებული **ქუთაშ ჰყონი** „ქუთას მუხა“ ტოპონიმის (პარალელური სახელი: ჟენიშ გითახვამური „უზენაესის გამონალოცი“) შემადგენლობაში (პ. ცხადაია. უმველესი რწმენა-წარმოდგენების ამსახველი ზოგი ტოპონიმი სამეგრელოსა და სამურზაყანოში. კრებ. „ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი“. 2011, გვ. 229).

შენიშვნა: მე-3 და მე-4 პუნქტების თანაავტორია გვანცა გვანცელაძე.

ამრიგად, ირკვევა, რომ გეოგრაფიული სახელები **ზოზოყვათი, სუფსა, გუზაზოული** და **ქუთათისი არ გამოდგება დასავლეთ საქართველოში ქართველებამდე ჩერქეზთა და აფხაზ-აბაზათა ბინადრობის საბუთებად**. ისინი ქართველური სახელებია და პროტოადიდურ-ყაზარდოულ, ან პროტოაფხაზურ-აბაზურ ენებს არ უკავშირდება. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ შესაძლებელია **მოიხსნას სვანურ დიალექტებში ჩერქეზული სუბსტრატის არსებობის საკითხიც** და სვანურის ჩერქეზულთან საზიარო ლექსიკა და ზოგი გრამატიკული მოვლენა გადააკვალიფიცირდეს **არეალური სესხების, ადსტრატის გამოვლინებად**.

ამ დასკვნის შემდგომ განვავრცობთ არქეოლოგთა და ანთროპოლოგთა საფუძვლიან მოსაზრებას დმანისელი ჰომინიდების მემკვიდრე თანამედროვე ადამიანის (Homo sapiens) საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბებისა და აქედან განსახლების შესახებ: ვვარაუდობთ, რომ **წინარეიბერიულ-კავკასიური მოდგმის ეთნოსიც** თავისი ენით ჩამოყალიბდა საქართველოში და ამ ენის **წინარეაფხაზურ-ჩერქეზულ და წინარენახურ-დაღესტნურ-ალბანურ ენებად დაშლამდე მიგრირებულ იქნა ჩრდილოეთ კავკასიაში**. კავკასიონის ქედით გამოყოფილ ახალ საცხოვრისში გადასახლება და წინარექართველურ ენაზე მოლაპარაკე მასასთან კონტაქტის გაიშვითაება უეჭველად შეუწყობდა ხელს დივერგენციის პროცესების დაჩქარება-გაღრმავებას და რამდენიმე ათასი წლის შემდგომ, დაახლოებით ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის ჩრდილოეთ კავკასიაში დაიწყებოდა ამჟამად არსებული ენებისა და შესაბამისი ეთნოსების ჩამოყალიბება.

მწერალ ბასილ მელიქიშვილის სტილის ერთი თავისებურების შესახებ

ბასილ მელიქიშვილი (1904–1930) 25 წლისა ადესრულა; დარჩა ათიოდე მოთხრობა და რამდენიმე ლექსი. მწერლის „უბედო ბედის“ გამო საბჭოთა პერიოდში მისი შემოქმედება მიჩქმალული იყო... გამოთქმულია ასეთი აზრი: „დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ბასილ მელიქიშვილის შემოქმედების გარეშე შეუძლებელია სრულყოფილად გავიაზროთ მე-20 საუკუნის 20-იანი წლების ქართული ლიტერატურა; საერთოდაც: ჩვენი მწერლობის მაგისტრალური ხაზი“ (როსტომ ჩხეიძე).

ჩვენი ყურადღება ბ. მელიქიშვილის მოთხრობების ენობრივ-სტილისტურმა მხარემ მიიქცია. მწერლის შემოქმედების გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ ბ. მელიქიშვილი არის მკვეთრად ორიგინალური სტილის ავტორი. მას ახასიათებს საინტერესო სტილისტური ძიებები. იმას, რის შესახებაც მინდა ვისაუბრო, პირობითად ასე შეიძლება დავარქვათ; მწერლის (მოთხრობელის) „მიმოსვლა სასაუბრო სივრცეთა შორის“. გავიხსენოთ: გრამატიკულად პირველ-მეორე პირი სხვა სივრცეა (აქ, აქაური), მესამე პირი – სხვა (იქ, იქაური). ჩვეულებრივ ასეა: მოთხრობელი (მწერალი) საუბრობს მესამე პირის სივრცეში მიმდინარე მოქმედებაზე, როცა ნაწარმოები მესამე პირშია დაწერილი; როცა მოქმედება იმ სივრცეში ხდება, სადაც მოთხრობელია, ნაწარმოები პირველ პირში იწერება; არსებობს შემთხვევა, როცა მოთხრობელი თავის სივრცეში მოქმედ პირს ესაუბრება, ანუ მეორე პირში იწერება ნაწარმოები...

ბასილ მელიქიშვილის პროზაში ვითარება ასეთია (ვისაუბრობ მოთხრობის „მკერდშებოლილი მერცხალი“ მაგალითზე; გაცემავ: ბ. მელიქიშვილი, თურმანი, 2022): მოთხრობელი იცვლის პოზიციას, „მიმოდის სივრციდან სივრცეში“.

ა) მოთხრობის დასაწყისში მწერალი საუბრობს მესამე პირში; პერსონაჟები მესამე პირის სივრცეში არიან (იქ), მოთხრობელი (მწერალი) ცალკეა (აქ):

„ხვედიაშ ლიტრა რცხილის ჯაგს მიაბა ამოქნილ წნელითა“...

ბ) ლეკების თავდასხმის დროს, როცა მთიულებს გაუჭირდათ, მთხრობელი ხვედიას გვერდითაა: ხვედია **მერე პირად** იქცა:

„კვლავ თვალწინ **გიდგას** ქოსალები, ხვედიავ, წინ **გიდგას** და **ჭფიქრობ**“...

გ) მთხრობელი ხვედიასთანაა, სანამ გაირკვევა, რომ მისი შვილი (თორელი) გაიტაცეს. თორელი აქამდე **მესამე პირი** იყო („თორელი ჩაიყლაპა... ბალღი უნუგემოდ დაიკარგა“), **ხვედია – მეორე პირი**...

დ) ამის შემდეგ მთხრობელი თორელთანაა – **თორელი მეორე პირად** იქცა, ხვედია – **მესამე პირად**:

„და **გარბოდი** ლიტრისაკენ, **თორელო**, გაგისხლტა ფეხი და ხვეში ჩაიჩეხე!“.

„– ვინღა დაანთებს კერასა?! – **ღმუის ხვედიაი**“...

მერე თორელი დადესტანშია და გადაიქცევა **მესამე პირად**:

„ფარეხი სდუმს, **სდუმს თორელიც**“... და ასე შემდეგ.

ე) მთხრობელი „მიმოდის“ „სივრციდან სივრცეში“; პერსონაჟები ხან მესამე პირები არიან და ხანაც – მეორე პირები.

ეს „გადასვლა სივრციდან სივრცეში“, პერსონაჟების პირთა მონაცვლეობა ხდება საოცრად ბუნებრივად, შეუმჩნეველად, მაღალოსტატურად... **სიტუაციის სიმბაფრე და პერსონაჟის ვინაობა (რაობა) განსაზღვრავს მწერლის (მთხრობელის) პოზიციას: რომელ ენობრივ სივრცეში იყოს, საიდან „ადევნოს თვალი“ მოქმედებას; ვის სჭირდება მეტი თანადგომა, გამხნელება, შეშველება...** ანუ: მთხრობელი ვისთანაც თვლის საჭიროდ ყოფნას, ვისი თანადგომაც მიაჩნია აუცილებლად, იმას აქცევს მეორე პირად – შედის მის სასაუბრო სივრცეში...

ესაა ენობრივი ნიუანსების გააზრების, ენობრივ შესაძლებლობათა მხატვრული დანიშნულებით გამოყენების უნიკალური შემთხვევა...

ასეა ბ. მელიქიშვილის სხვა ნაწარმოებებშიც, ყველაზე ვრცელ მოთხრობაშიც („თურმანი“) და ერთგვერდიან მინიატურაშიც („ქვირინაი“).

და ეს არ ჰგავს მწერლის „ენობრივ ვარჯიშს“. ეს პროფესიონალი მწერლის სტილური ოსტატობის ნიმუშია...

ქ ე თ ე ვ ა ნ დ ა თ უ კ ი შ ვ ი ლ ი

თანხმოვან ბგერათა გახმოვანების საკითხი ქართულ აბრევიატურებში

ქართულში, როგორც სხვა ენებში, ბოლო ათწლეულებში განსაკუთრებით მრავლად გამოიყენება აბრევიატურები ამა თუ იმ დასახელების აღსანიშნავად. მათი მართლწერისას სხვადასხვა საკითხი დგება: აბრევიატურის შედგენის პრინციპი, ბრუნვის ფორმების დაწერილობა, უცხოენოვანი ასოების გამოყენება და ა. შ.

ენათმეცნიერების ინსტიტუტში შექმნილია „ქართული ენის სიტყვათშემოკლებათა ლექსიკონი“, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი აბრევიატურები და მათი ფორმაწარმოება.

ჩვენ ამჯერად შევცხებით მხოლოდ თანხმოვანი ბგერებით გამოხატული აბრევიატურების წაკითხვის პრობლემას, რომელიც სხვა საკითხებსაც უკავშირდება.

ცნობილია, რომ თანხმოვანი ბგერებით შედგენილი აბრევიატურები ძნელი წარმოსათქმელია, ამიტომ ყველა ენაში მათი წაკითხვისას ასოთა დასახელებებს იყენებენ, მაგალითად: BBC – bi-bi-ci; USA – ju-es-ei; BMW – be-em-we და ა. შ.

ქართული ასოების სახელწოდებები ამ თვალსაზრისით რთული გამოსაყენებელია, რადგან თანხმოვანთა სახელები სამი ბგერისგან შედგება: ბან, გან, დონ... ქართული აბრევიატურების კითხვისას თანხმოვანთა გახმოვანების საჭიროება როდესაც ჩნდება, მათ უმატებენ ხმოვანს უცხოური ენების ასოთა სახელწოდებების მიხედვით. მაგალითად:

- თსუ – თე-სე-უ
- ლგბტ – ელ-გე=ბე-ტე
- სსრკ – სე-სე-რე-კე
- გმო – გე-მე-ო და მისთ.

ზოგჯერ ერთი და იგივე ასო სხვადასხვაგვარად არის გახმოვანებული ქართულში იმის მიხედვით, თუ რომელი ენიდან არის შემოსული ესა თუ ის შესიტყვება, ანდა რომელი ენის გავლენით არის ეს გახმოვანება შექმნილი.

მაგალითად:

თ ასოს გასახმოვანებლად გამოიყენება **თე** (თესეუ)
ან **თი** (თიბისი)

ზ ასოს გასახმოვანებლად გამოიყენება **ზი** (თიბისი)
ან **ზე** (ზეემვე)

ამგვარი გახმოვანება ზეპირი მეტყველების დროს გამოიყენება, მაგრამ ენაში გაჩნდა ტენდენცია, რომ კომპანიებს, ფირმებსა და სხვ. სახელს არქმევენ მათი უცხოური აბრევიატურების მიხედვით.

ჯკს – ჯიპისი – საქართველოს ფარმაცევტული კომპანია

GPC – Georgian Pharmaceutical Company

ჯიდიესი – ქართული ოცნების სტუდია

GDS – Georgian Dream Studio და სხვ.

პროცესი ძალიან სწრაფად მიდის წინ: ჩნდება უამრავი ახალი ორგანიზაცია ან ახალი ტერმინი, რომელთა დასახელებისათვის იყენებენ უცხოურ (უპირატესად ინგლისურ) აბრევიატურებს, ქართულ დასახელებას ქმნიან უცხოური ასოების სახელწოდებათა მიხედვით და ვიღებთ სიტყვათა ამგვარ ნაკადს: ბიემსი, ემჯიი, დიჯიეი, თისიესი, ჯისისი, ჯიენჯი და ა. შ.

ეს პროცესი მნიშვნელოვნად აზიანებს ქართულ სალიტერატურო ენას და ხელს უშლის ქართული დასახელებების შექმნას.

ჩვენი აზრით, სახელწოდებებისთვის უნდა გამოვიყენოთ ქართული აბრევიატურები. თანხმობენებისგან შედგენილი ქართული აბრევიატურები არ უნდა წავიკითხოთ უცხოურ ასოთა სახელწოდებების მიხედვით. ჩვენი შემოთავაზება ამგვარია: აბრევიატურების წაკითხვისას თანხმობანთა გახმოვანებისათვის გამოვიყენოთ ქართული ანბანის ასოთა სახელწოდებების ხმოვნები. მაგალითად, **თ** წაკითხვით არა როგორც **თე** ან **თი**, არამედ **თა** (თან), **ს** წაკითხვით არა როგორც **ეს** ან **სე**, არამედ როგორც **სა** (სან) და ა. შ.

შესაბამისად, ზემოთ წარმოდგენილი აბრევიატურები წაკითხვა ამგვარად:

თსუ – თა-სა-უ

ლგბტ – ლა-გა=ბა-ტა

გმო – გა-მა-ო და ა. შ.

რასაკვირველია, ეს საკითხი პრაქტიკულად ადვილი განსახორციელებელი არ არის. მით უმეტეს იმ შემთხვევაში, როდესაც ამგვარი სახელწოდებები უკვე დამკვიდრებულია (თიბისი, ჯიპისი და

ა. შ.). მაგრამ თუ პრინციპულად შევთანხმდებით, რომ ქართული ასოები ქართული გახმოვანებით უნდა გამოითქვას, მაშინ საკითხის პრაქტიკულად მოგვარების გზაც მოიძებნება და ახლად გაჩენილი აბრევიატურები შეიძლება უკვე ახალი წესით წავიკითხოთ.

თ ა მ ა რ ვ ა შ ა კ ი ძ ე

ერთი სახის დანართი რამდენიმე საზღვრულთან – მართლწერის რეკომენდაციები

თანამედროვე ქართულში (ზეპირი თუ წერითი მეტყველები-სას) არცთუ იშვიათად დასტურდება ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი დანართი, რომელიც განსაზღვრავს რამდენიმე საკუთარ სახელს, კერძოდ, **და** კავშირით შეერთებულ საზღვრულებს, მაგ.: *მამა-შვილი კონსტანტინე და ზვიადი, მამა-შვილი კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიები; და-ძმა მარიამი და ვახტანგი, და-ძმა მარიამ და ვახტანგ ზვიადაძეები; და-ძმები/და-ძმანი ჭიჭინაძეები და ციცი-შვილები; ძმები ზაქარია და გრიგოლი, ძმები ზაქარია და გრიგოლ ორბელიანები; დები ნინო და ეკატერინე, დები ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეები* და მისთ.

რამდენიმე საკუთარ სახელთან მსაზღვრელად წარმოდგება აგრეთვე იმ სახის დანართი, რომელიც რაიმე საერთო ნიშნის (მეგობრობის, მეზობლობის, გარკვეული სტატუსის, ჟანრის...) მიხედვით ახასიათებს საზღვრულებს, მაგ.: *მწერლები მიხეილ ჯავახიშვილი და ნიკო ლორთქიფანიძე; მეგობრები ლუკა და დემეტრე; მეზობლები ფერაძეები და შავერზაშვილები; რომანები „დიდოსტატის მარჯვენა“ და „მთვარის მოტაცება“; პოემები „სტუმარ-მასპინძელი“ და „აღლუდა ქეთელაური“; ლექსები „საბა“ და „მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა!“...*

ერთმანეთის პარალელურად გვაქვს შემდეგი სახის შესიტყვებანი: ნათ. *მამა-შვილ ვახტანგ და დავითის; მამა-შვილ ვახტანგის და დავითის; მამა-შვილი ვახტანგ და დავითის; მამა-შვილი ვახტანგის და დავითის; მამა-შვილის – ვახტანგისა და დავითის...; მოქმ. რომა-*

ნებ „დიდოსტატის მარჯვენა“ და „მთვარის მოტაცებით“; რომანებ „დიდოსტატის მარჯვენით“ და „მთვარის მოტაცებით“; რომანები „დიდოსტატის მარჯვენა“ და „მთვარის მოტაცებით“; რომანები „დიდოსტატის მარჯვენით“ და „მთვარის მოტაცებით“; რომანებით – „დიდოსტატის მარჯვენა“ და „მთვარის მოტაცება“...

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება რეკომენდაციები დასახელებული ტიპის მსაზღვრელ-საზღვრულის მართლწერასთან დაკავშირებით.

მ ა კ ა ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა

მანანა ჩიტიშვილის მხატვრული სამყაროსათვის

მრავალწახნაგოვანია მანანა ჩიტიშვილის შემოქმედება. „ერთი მხრივ, ეს არის ძალიან ტრადიციული პოეზია, ზოგჯერ ბანალურობამდე გაცვეთილი სათქმელით, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს არის სრულიად ახალი, ძალიან ცოცხალი და უკიდურესად შთამბეჭდავი განცდები, რომლებიც ჩვენს არსებაში ყველაზე სათუთ და შესაძლოა, ყველაზე ღრმად დამალულ ჭრილობებს ეხებიან“.

მ. ჩიტიშვილის დაუღალავი ენერგიით აღსავსე პოეზიას მხატვრული სინატიფე თუ სამშობლოს ტკივილით გამოწვეული სიეღვარე ახლავს. ლექსების წერა პოეტისთვის უფლისგან „ნაკარნახევი“ უზენაესი მისიაა, თვითონ კი მხოლოდ გადამწერად გვევლინება:

„არჩვი ვარ სიტყვებით მობალახე,
ბაგე მზის კოცნით მაქვს ანაცერი.
უფალო, შენა ხარ მოკარნახე,
მე – მხოლოდ ცოდვილი გადამწერი“.

მანანა ჩიტიშვილის ლექსები ერთგვარი ლოცვაა – მამულისადმი ადვლენილი. ქსნის ხეობის თემას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის შემოქმედებაში. პოეტი შეწუხებულია სამშობლოს დღევანდელი სინამდვილით, მტრისგან აწიოკებული და გათელი-

ლი ქართლით, ქსანსა თუ არაგვზე „უცხო მუმლის“ გამოჩენით – „ქართლი, როგორც გაროზგილი დედაჩემი, გადატყაულ მუხლის თავზე მისვენია“...

ყურადღებას იქცევს შემოქმედის სიმბოლურ-ალეგორიული ნათქვამიც და შედარება-მეტაფორათა ლაბირინთები. „მისი შედარებები სრულიად ახალია, მაგრამ არცერთი მათგანი არ არის აგებული უსისტემოდ, პოეტური ფანტაზიით ზედმეტი გატაცებისა თუ ამ ფანტაზიაში მოუზომავად გადაჭრის საფუძველზე“.

ქართლის ტაძრები ქრისტეს უბიდან ამოფრენილ ქედნებთან არის შედარებული („თვლემს ქართლი, ასგზის დანახანძრები, ახლა იით და შროშნით ფენილი და ქედნებივით ჩანან ტაძრები, – ქრისტეს უბიდან ამოფრენილი“), ზოგჯერ კი ტაძრები ცის მონაზვნებია („ტაძრები როგორც შორეული ცის მონაზვნები, ბნელ დამეგბში ელვის მბრწყინავ სანთლებს ანთებენ“). ფერადი მინდვრები ლოცვანს შეადრა პოეტმა („ამ ფერად მინდვრებს ლოცვანივით ქარი გადაშლის“).

საოცარია პოეტის მიერ დახატული თეთრნისლიანი სერი, რომელიც ანგელოზების პერანგს წააგავს („ეჩურჩულება ქარი ისლიანს, მზე ნორჩ მურყანებს მოსავს ფერადით, გაღმა სერებზე თეთრი ნისლია, თუ ანგელოზებს დარჩათ პერანგი“), ცრემლი ჩიტის ბარტყია („და ცრემლი, უკანასკნელი, ფართხალებს ჩიტის ბარტყივით“), ქსნის ციხე – ბერიკაცი („წვიმს ქართლის გზებზე და ციხე ქსნისა ბერიკაცივით ჩანს თავშიშველი“), ბალახი – სატევარი („ვინ თქვა სიმშვიდე, როცა ბალახიც სატევარივით მოდის მიწიდან“), გველი-ჭრელი ლენტი („მკვდარ გვირილაზე გასრიალდება გველი და თივის ზვინზე ჭრელი ლენტივით ცოცავს“), ქსანი – მოზვერი („ქსანი დასიცხულ მოზვერივით თეთრ ლოდებს ლოკავს“) და მრავალი სხვა.

შეუდარებელი საღებავებითაა დახატული წელიწადის დროები. განსაკუთრებულია პოეტის სიყვარული გაზაფხულისადმი. მის ქვეყანაში გაზაფხულის დადგომას მიანიშნებს: „ვარდისფერკაბა ატმები“ („მოასკდებიან ღობეებს წნელის ვარდისფერკაბა დები – ატმები“), „შინდის სანთლები“ („და საქართველოს ლოცავს აპრილი აყვავებული შინდის სანთლებით“), „გიშრად ქცეული ანწლი და კუნელი“ („ეს გორაკები ალისფერმა ვარდებმა კოცნეს, შეიმკო გზები ანწლისა და კუნლის გიშერთ“), ჯვრის მონასტერთან „გავერცხლისფერებულ არეში“ ამოსული კესანები („გზისპირეთიდან ყველა კესა-

ნე ნანა დედოფლის თვალით გვიცქერის“), „მწვანეწამამებიანი“ ბალახის თბილი მზერა („თბილად მიმზერენ ქართლის მინდვრები ბალახის მწვანე წამამებიდან...“) ასევე იებიც. იაზე შეყვარებულ პოეტს შიში იპყრობს და ისღა დარჩენია, თავი აარიდოს მას, რადგან – „ვაჰთუ იების მოკლული სხვა ყვავილთ აღარ მიტირონ“...

მ. ჩიტიშვილის ლექსებში ერთგვარად შეზავებულია მთის კილოებისა თუ პოეტის მშობლიური კუთხის (ქართლის) მეტყველების თავისებურებები, რაც სათქმელს შთამბეჭდავს ხდის.

ერთგან პოეტური გამეორება დიალექტური ფორმებით მიიღწევა. ჩვენებითი ნაცვალსახელი **ეს** წარმოდგენილია **ე** ხმოვნით, ზმნისწინი **მო** კი – **მა** ვარიანტით:

„აბა, **ე** თოხი **მააგონდეთ**,
აბა, **ე** ბარი **მააგონდეთ**,
აბა, **ე** ცელი **მააგონდეთ**“...

ნაცვალსახელი **ამ** გვხვდება **აე** ვარიანტით („ხვალ **აე** ახოებს“, „ხვალ **აე** ნაფუძრებს“). შეინიშნება აგრეთვე **მა**, **გამა** ზმნისწინიანი ფორმები („ქვევრში ჩასხმული რო **მაიხმარონ**“, „**მამშიე**, დამქერ, დამღალე“, „სხვისი **მამკილი** და **გამამცხვარი** ჰო...“) და სხვა.

ჩიტიშვილის პოეზიაში ყურადღებას იქცევს უაღრესი ოსტატობით შექმნილი ვნებითი გვარის (ენიანი და დონიანი) ფორმები: **გავთენდი** – „მომსურდა – ცისკრად გავთენდი“, **მოვსადამოვდი** – „მომსურდა – მოვსადამოვდი“, **დავგვიანდი** – „შენი გზისკენ მაცქერალი ყველა გზაზე დავგვიანდი“, **ამიყვავებდი** – „რას ვიფიქრებდი, თუ ბოლო ბილიკს ამ სილამაზით ამიყვავებდი“, **დამეხურები** – „ქარი რომ ნისლის ბაირაღს გაშლის, გულო, დარდით ნუ დამეხურები“, **შავჰყვარდი** – „ერისთავს ქალი რამ ჰყვანდა და შავჰყვარდი“, **გამისალკლდა** – „ბილიკები გამისალკლდა, წლებს ვლეწავ და ვუძღობ ხვატებს“ ...

პოეტის შემოქმედებაში ორიგინალურად იხატება **მთვარის** სახე-სიმბოლო. მთვარე – „ვერცხლისა და ქარვის დამრიგებელი“, მთვარე – „ყანწივით გამოცლილი და მთებში რქასავით ჩარჭობილი“, მთვარე – „კანდელამოტარებით ამოსული“, მთვარე – „სისხლისფრად აყვავებული“, მთვარე – „ნინოს ჯვრით მონათლული“...

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მ. ჩიტვილიძის ოკაზიური ფორმები, როგორებიცაა: **მიქარწვიმე** – „ჟამო, როგორ მიქარწვიმე, ულოს მიგრებ ნარ-ეკალით...“; **გაიამინდა** – „გაიამინდა, ქარიშხლებშიც ღირსებით ვვლიდით, პეშვით მოგვექონდა მზის შუქი თუ მთვარის არილი...“ და მრავალი სხვა.

რომანლოღუა

თილბისისა (თილბიდა) და ტელაიბას (ტელეზა) ლოკალიზაციისთვის

პტოლემეს ცნობილ ნაშრომში „გეოგრაფიის სახელმძღვანელო“ (ძვ. ბერძნ. Γεωγραφικὴ Ὑφήγησις; აგრეთვე: „გეოგრაფია“, „კოსმოგრაფია“) აღნიშნულია კავკასიის ალბანეთში მდებარე ორი ქალაქი – **თილბისი/თილბიდა**, ძვ. ბერძნ. Θιλβίς, ლათ. Thilbis) და **ტელაიბა/ტელეზა** (ძვ. ბერძნ. Τέλαιβα, ლათ. Teleba). აზერბაიჯანულ ისტორიოგრაფიაში ამ ქალაქებს ბოლო დროს ხშირად უკავშირებენ თბილისსა და თელავს და, შესაბამისად, მათ უძველეს ალბანურ ქალაქებად მიიჩნევენ.

უნდა ითქვას, რომ ამ მოსაზრებას, გარდა შემთხვევითი ფონეტიკური მსგავსებისა, არავითარი საფუძველი არ მოეპოვება.

პტოლემეს აღწერით, ალბანეთი ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრულია სარმატების სხვადასხვა ტომებით, დასავლეთიდან – იბერიით, სამხრეთიდან – სომხეთით, ხოლო აღმოსავლეთიდან – გირკანიის (კასპიის) ზღვით. პტოლემეს ცნობით, გირკანიის ზღვის სანაპიროს ალბანური მონაკვეთი სამხრეთით იწყება მდ. კიროსის (მტკვარი) შესართავიდან მდ. სოანის (უკავშირებენ თერგს, სულაკსა თუ სამურს) შესართავამდე ჩრდილოეთით. სწორედ სოანის შესართავთან ლოკალიზებულია ტელაიბა (ტელეზა) პტოლემეს მიერ.

პტოლემე იქვე ათავსებს თილბისსაც – სოანასა და მდ. გერის (ძვ. ბერძნ. Γέρρις) შუამდინარეთში.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ პტოლემემ თავის რუკაში პირველმა გამოიყენა გეოგრაფიული ბადე. მიუხედავად იმისა, რომ

მისი რუკა დაკარგულია (გვაქვს მხოლოდ პტოლემეს აღწერის მიხედვით 1466 წელს ნიკოლოზ გერმანუსის მიერ აღდგენილი რუკა), პტოლემეს ნაშრომში გვაქვს გეოგრაფიული კოორდინატები.

ალბანეთისა და იბერიის საზღვარი, პტოლემეს აღწერით, იწყება $76^{\circ}10' - 44^{\circ}40'$ -დან (სამხრეთი წერტილი) და გრძელდება $77^{\circ} - 47^{\circ}$ -მდე (ჩრდილოეთი წერტილი). რაც შეეხება ალბანეთის აღმოსავლეთ საზღვრებს: $79^{\circ}40' - 44^{\circ}30'$ (სამხრეთი წერტილი, სადაც მდ. კიროსი გირკანიის ზღვას უერთდება) და $86^{\circ} - 47^{\circ}$ (ჩრდილოეთი წერტილი, მდ. სოანის შესართავი გირკანიის ზღვაში). ტელაიბა (ტელეზა), როგორც უკვე აღინიშნა, სოანის შესართავთან ახლოს მდებარეობს ($85^{\circ} - 46^{\circ}40'$), ხოლო თილბისის კოორდინატებია – $84^{\circ}15' - 46^{\circ}50'$.

აქედან გამომდინარე, არ არსებობს არანაირი საფუძველი, რომ თილბისი (თილბიდა) და ტელაიბა (ტელეზა) თბილისთან და თელავთან გავაიგივოთ. ეს ორი ქალაქი ალბანეთის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა კასპიის ზღვის სანაპიროსთან, ანდა მასთან ახლოს. ამასვე ადასტურებს რუკა, რომელიც პტოლემეს აღწერას ეფუძნება.

საყურადღებოა, რომ აზერბაიჯანში, ყუსარის რაიონში (ჩრდილო-აღმოსავლეთი აზერბაიჯანი) გვაქვს ძველი ნაქალაქარი, რომელსაც ადგილობრივი ლეზგები ტიფტისსა (Тифтисс) ან წურუ-ხიურს (Цуру хуър; ზედმიწ. ძველი სოფელი) უწოდებენ. ვფიქრობთ, რომ სწორედ ეს არის პტოლემეს მიერ ნახსენები თილბისი.

გ ვ ა ნ ც ა გ ვ ა ნ ც ე ლ ა ძ ე

ცნებათა და ენობრივ ნიშანთა მიმართება ქართულ და აფხაზურ ნათესაობის ტერმინოლოგიაში

ცნობილი ფაქტია, რომ უახლოეს მონათესავე ენებშიც კი მსგავსებათა სიმრავლესთან ერთად არსებობს სერიოზული სხვაობანიც თითქმის ყველა ენობრივ დონეზე, რაც ხშირად ერთი და იმავე ენის დიალექტებშიც შეიძლება დადასტურდეს.

ტიპოლოგიური ლიტერატურიდან ისიცაა ცნობილი, რომ მო-ნათესავე ენების შედარებისას, თუ არამონათესავე ენების შეპირის-პირების დროს გამოიყოფა **ტიპოლოგიური ფრეიმები**, ანუ კონკრეტული სემანტიკური ტიპის შემადგენელი ელემენტები. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ფრეიმების მიხედვით ერთმანეთთან არ შედარებულა ქართული და აფხაზური ენები. ჩვენ ამჯერად სწორედ ამგვარ კვლევას წარმოვადგენთ ნათესაობის ტერმინთა ერთი ნაწილის მაგალითზე.

მცირე ოჯახის წევრთა შიდა ურთიერთობის აღმნიშვნელი დვიძლი ნათესაობის ტერმინები ქართულში ქმნიან შემდეგ ფრეიმებს: **დედა, მამა, და, ძმა, ბებია // ბაბო (> ბაბუა) // დიდედა, პაპა // ბაბუა, ძე // ვაჟი, ასული...** ეს ფრეიმები, **დიდედა**-ს (< დიდი დედა) გამოკლებით სინთეზური, ცალძირიანი სახელებია და მყარადაა ტერმინოლოგიზებული, რასაც ვერ ვიტყვით ისეთ ანალიზურ სახელებზე, როგორცაა: **დედმამიშვილი, ძმისწული // ძმისწვილი, დისწული // დისწვილი, სახლიკაცი...**

აფხაზურ ენაში იგივე ურთიერთობები ასახულია შემდეგ სინთეზურ ფრეიმებში: **ან** „დედა“, **აბ** „მამა“, **ა-მამა** „ძმა“, **ა-მამა** „და“, **ა-ფა** „ვაჟი, ძე“, **ა-ფა** „ასული“. ამკარაა, რომ ამჟამად ამ ენას მოეპოვება 6 ფრეიმი, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზურ-აბაზურ ენას თავდაპირველად ძმისა და დის, ასევე ძისა და ასულის აღმნიშვნელად უნდა ჰქონოდა აფხაზურ-აბაზური ერთობის დონეზე იოლად აღსადგენი, მორფოლოგიურ-სემანტიკურად სქესის ნიშნით გაუდიფერენცირებელი, სინთეზური ***ამამა** „დედმამიშვილი“ და ***ფა** „შვილი“ ფორმები (ქ. ლომთათიძე), უნდა დავასკვნათ, რომ ისტორიულად ამ ენაში არსებობდა არა 6, არამედ 4 ფრეიმი: **დედა, მამა, დედმამიშვილი** და **შვილი**, რითაც ეს ენა სხვაობს ქართული უფრო დეტალიზებული სისტემისაგან.

ასევე მნიშვნელოვანია სხვაობა ამ ორ ენას შორის ისეთ ცნებათა აღნიშვნის თვალსაზრისით, როგორცაა: **ბიძა, დეიდა, მამიდა, ბიძაშვილი, დეიდაშვილი, მამიდაშვილი**. ქართულში დასახელებულ ექვსივე ცნებას ზუსტად ექვსი ფრეიმი გადმოსცემს, ანუ აქ არ არის სხვაობა ფრეიმებისა და ცნებების რაოდენობაში. ყურადღებას იპყრობს მხოლოდ ის ფაქტი, რომ განსახილველი ექვსი სიტყვა-ცნებიდან 5 მონოსემანტიკურია, ხოლო სიტყვა-ცნება **ბიძა** – პოლისემანტიკური: იგი აღნიშნავს როგორც **დედის ძმას**, ისე **მამის ძმასაც**. შე-

საბამისად, მომდევნო თაობის ნათესავთა აღნიშვნის სისტემაში **ბიძაშვილი** უფრო ფართო სემანტიკის მქონეა, ვიდრე **დეიდაშვილი** და **მამიდაშვილი**: ბიძაშვილია მამის ძმის შვილიც და დედის ძმის შვილიც. არსებითაა ისიც, რომ ბიძაშვილის, დეიდაშვილისა და მამიდაშვილის **სქესი ქართულში არ არის ტერმინოლოგიზებული** და სქესის დაზუსტების აუცილებლობის დროს აღწერითი ფორმები, ანუ სინტაგმები გამოიყენება: **ბიძაშვილი ქალი, ბიძაშვილი ვაჟი, დეიდაშვილი ქალი, დეიდაშვილი ვაჟი, მამიდაშვილი ქალი, მამიდაშვილი ვაჟი.**

შენიშვნა: ზოგ დიალექტში სიტყვა **ბიძა** ოპოზიციურია ანალიზური **დედისძმა** სიტყვისა – მათგან პირველი სინთეზური ტერმინი (**ბიძა**) ამ კილოებში **მამის ძმას** აღნიშნავს.

აფხაზურ ენაში იმავე დონის ღვიძლი ნათესაობა მხოლოდ ანალიზური და მაქსიმალურად დეტალიზებული ტერმინებით გადმოიცემა, რაც ლექსიკურ ერთეულთა სიმრავლეს განაპირობებს:

ბიძის ცნება აღინიშნება 2 ფრეიმით: **ანლაშა** „დედის ძმა“ და **აბაშა** „მამის ძმა“;

დეიდა-ს შეესაბამება **ანლაპშა** „დედის და“;

მამიდა არის **აბაპშა** „მამის და“.

თუ ქართულში გვაქვს მხოლოდ 3 ტერმინოლოგიზებული სახელი ბიძის, დეიდისა და მამიდის **შვილთა** აღმნიშვნელად, აფხაზურში წარმოდგენილია ანალიზური რთულფუძიანი 8 ტერმინი, რომლებიც აზუსტებენ ყველა დეტალს: ვისი ძმაა ბიძა, დეიდა, თუ მამისა; ვისი დაა დეიდა; ვისი დაა მამიდა; რა სქესისაა არიან ბიძაშვილები, დეიდაშვილები და მამიდაშვილები:

ბიძაშვილი ვაჟი (მამის ხაზით) – **აბააშეიფა** „მამის ძმის ძე“;

ბიძაშვილი ქალი (მამის ხაზით) – **აბააშეიფჰა** „მამის ძმის ასული“;

ბიძაშვილი ვაჟი (დედის ხაზით) – **ანლააშეიფა** „დედის ძმის ვაჟი“;

ბიძაშვილი ქალი (დედის ხაზით) – **ანლააშეიფჰა** „დედის ძმის ასული“;

დეიდაშვილი ვაჟი – **ანლაპშაღა** „დედის ძმის ვაჟი“;

დეიდაშვილი ქალი – **ანლაპშაღჰა** „დედის ძმის ასული“;

მამიდაშვილი ვაჟი – **აბლაპშაღა** „დედის ძმის ასული“;

მამიდაშვილი ქალი – **აბლაპშაღჰა** „დედის ძმის ასული“.

ვფიქრობთ, აფხაზურ ენაში ნათესაობის ტერმინებში სქესის სავალდებულო მარკირება გრამატიკული კლასის კატეგორიის მყარი პოზიციითაც უნდა იყოს განპირობებული.

თ ა მ ა რ ლ ო მ თ ა მ ე

შვილის შეძენასა და ბავშვების რელიგიურ რიტუალებთან დაკავშირებული ლექსიკა ებრაელთა ქართულში

მოხსენების მიზანია აჩვენოს ებრაელთა ქართულის ზოგი თავისებურება, კერძოდ, **შვილის შეძენასა** და ებრაელთა ყველაზე მნიშვნელოვან რელიგიურ რიტუალებთან – ბრით მილას, ბარ მიცვასა და ბათ მიცვასთან – დაკავშირებული ლექსიკური თავისებურებანი.

ბავშვის შეძენის მნიშვნელობით ქართველი ებრაელები იყენებენ გამოთქმას *შვილი მოიყვანა*. ებრაულში არსებობს ზმნური ძირი *გაჩენა* (იალად (דן)). მაგრამ შვილის გაჩენის მნიშვნელობით ის არასოდეს არ გამოიყენება. ებრაულში არსებობს გამოთქმა, რომელშიც ზმნა **ჰევი** (א״ח) არის გამოყენებული, რაც ნიშნავს – „**მოიყვანა**“, „**მოიტანა**“. „ჰევი ეთ ჰაიელედ ლეყოლამ“ (א״ח תא ד״ח ם״ח) სიტყვასიტყვით ნიშნავს „მოიყვანა ბავშვი სამყაროში“, მოავლინა ბავშვი სამყაროს (მთელი გამოთქმა და არა ცალკეული სიტყვები). აღსანიშნავია, რომ ქართველი ებრაელები აღნიშნულ გამოთქმას იყენებდნენ საქართველოში ცხოვრების პერიოდშიც, როცა მათმა უმეტესობამ ებრაული არ იცოდა. ამიტომ ვერ ვიტყვით, რომ *მოიყვანა* ისრაელში რეპატრიაციის შემდეგ გაჩნდა მათ მეტყველებაში.

ებრაელების რელიგიურ რიტუალებს შორის *ბრით მილა* ყველაზე მნიშვნელოვან რიტუალად ითვლება, რომლის დროსაც ახალდაბადებული, ერთი კვირის ბიჭის წინადაცვეთა ხდება. **მოჰელი** ასრულებს წესს, ხოლო ბავშვი ამ დროს ხელში უჭირავს სანდაკს. იმისათვის, რომ არაებრაელთათვის გასაგები ყო-

ფილიყო ბრით მილას მნიშვნელობა, ებრაელები არაებრაელებთან ქართულად საუბრისას მას უწოდებდნენ *ნათლობას*, ხოლო სანდაკს – **ნათლიას**. მაგრამ ებრაელებთან ქართულად საუბრისას ბავშვის ნათლობა მაქვსო არასოდეს იტყოდნენ. ამბობდნენ, რომ ბავშვის **ბრით მიცვა** ჰქონდათ. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან საქართველოში ცხოვრებისას, მიუხედავად იმისა, რომ მათმა უმეტესობამ ებრაული არ იცოდა, რელიგიურ ტერმინოლოგიას ებრაულს იყენებდნენ.

როდესაც გოგონა გახდება 12 წლის, მას უხდიათ **ბათ მიცვას** და ეძახიან – **ქალად ბათ მიცვა**. ეს ნიშნავს, რომ ბავშვობის ასაკი დასრულდა და მას ევალება ებრაული რელიგიური კანონებისა და წესების შესრულება. ასევე 13 წლის ასაკში ბიჭს უხდიათ **ბარ მიცვას** და ეძახიან **ხატან ბარ მიცვას**, ანუ 13 წლიდან ის უკვე კაცია და ევალება ყველა რელიგიური რიტუალის შესრულება. საქართველოში ცხოვრებისას ებრაელები **ბარ მიცვას** უმეტესად **თეფილიმის დადებას ეძახდნენ**.

მოხსენებაში საუბარი იქნება იმ ცვლილებებზეც, რომლებიც აღნიშნულ ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით მოხდა ებრაელთა ისრაელში რეპატრიაციის შემდგომ.

ქ ე თ ე ვ ა ნ მ ა რ გ ი ა ნ ი

კვლავ ნათესაობის ლექსიკის შესახებ (სვანურ-ქართული მიმართებები)

ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკის შთამომავლობის ველში შემავალი ლექსემებიდან საკმაო მრავალფეროვნებით გამოირჩევა თავად ზოგადი – არაკონკრეტული მნიშვნელობის სიტყვები, როგორცაა: შთამომავლობა, ჩამომავლობა, ნაგრამი, მონაგარი, შთამომავალი, მემკვიდრე და ა. შ. ვფიქრობთ, მათ შორის უნდა განიხილებოდეს ნაბარტყიც. მართალია, ეს ლექსემა ქართულში მხოლოდ ადამი-

ანის კლასის მიმართ არ გამოიყენება, მაგრამ სემანტიკური გადაწევა უმნიშვნელოა;

სვანურში ზემოთ ჩამოთვლილ შთამომავლობის აღმნიშვნელ ყველა სიტვას მხოლოდ ერთი ფარდი აქვს: *ნაბარწყ* (ზსვ.) *ნაბგრწყელ* (ზზ.); *ნაბარწყ*-ში ნა- პრეფიქსია (წინავითარებისა), ხოლო ფუძეში ა-ს უმლაუტი გამოწვეულია სახელობითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვით (წინა მიმართულების უმლაუტი: ნაბარწყ-ი > ნაბარწყ).

დიდია ცთუნება საანალიზო ლექსემის ქართულ ნაბარტყთან დაკავშირებისა, თუმცა უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ფუძე (ბარტყ/ბარწყ) დამოუკიდებლად თანამედროვე ეტაპზე სვანურში არ გვხვდება, ლექსემა „ბარტყს“ კი სვანურში წინწილ („წიწილა“) შეესაბამება. შეიძლება გვეფიქრა, რომ ენამ საერთოქართველური ძირი „ბარტყ“ მხოლოდ საანალიზო ლექსემაში შემოინახა, ფრინველთა ნაშიერის აღმნიშველად კი არ გამოიყენა, რათა ამით ადამიანის კლასის გაგება ცალსახად შეენარჩუნებინა მისთვის, მაგრამ, როგორც ვთქვით, ამ ჰიპოთეზას ფონეტიკურად სირთულეები ახლავს: ვერ დავადასტურებთ ტყ/წყ კომპლექსთა შესატყვისობა ამ ორი მონათესავე ენაში ვერცერთ დონეზე.

ფონეტიკურად უფრო სანდო ეტიმოლოგიის საშუალებას იძლევა ბალსზემოური ლექსემა *ნაბგრწყელ*; ჩვენი აზრით, სვანური ნაბარწყ/ნაბგრწყელს საერთო მომდინარეობა აქვს *ნაპერწყალთან*; ეტიმოლოგიურ ლექსიკონში ვკითხულობთ: „სვანური ბერწყ ნასესხები ჩანს ქართულიდან მანამ, სანამ ბერწყ გარდაიქმნებოდა პერწყად (ნაპერწყალი ფორმა გვხვდება XI-XII საუკუნეებიდან. ნაბერწყალისაგან ცეცხლისა გამრავლდიან ნაკურცხალნი (ისუ ზირაქ. 11,34); ცეცხლი პირისა მისისაგან აღატყდა, ნაბერწყალნი გარდამოეთხოდეს მისგან (ფსალმ. 17,19)“; ასეთ შემთხვევაში ფუძეში ა-ს უმლაუტი აიხსნება უკანა მიმართულების უმლაუტით, რომელიც უნდა გამოეწვია აუსლაუტში არსებულ უ-ს (ნა-ბერწყ-უ>ნაბარწყ), რომელიც ნა- პრეფიქსთან ერთად ბუნებრივია წინავითარების სახელებთან თუ ნამყოს მიმდებობთან (ნაჯადუ „მონასვლელი“, ნაკიდუ „ანალები“, ნაცილუ „ნახევი“, ნაპიწკუ „ნამცევი, პაწაწინა“...); შესაბამისად, როგორც *ნაბარწყ*, ასევე *ნაბგრწყელ* ფონეტიკურად იგივეა, რაც ქართული ნაპერწყალი და არა ნაბარტყი, მიუხედავად იმისა,

რომ სემანტიკურად ამ ეტაპზე სწორედ უკანასკნელთან აქვთ თანხვედრა.

ასევე საინტერესოდ გვეჩვენება კომპოზიტი *ნათი-ნა/ათსაჲ* (სანათესაო, მოდგმა, ნათესაობა – კრებ.), რომელიც, ერთი შეხედვით, ფუძის გაორკეცვით მიღებულად შეიძლება მოგვეჩვენოს. თუმცა, კომპოზიტის პირველი ნაწილი (ნა/ათი) სვანურში დამოუკიდებლად აღნიშნავს „ნათესავს“, ასევე „[ნა]წილს“ (შდრ. ლი-თ-ი „გაყოფა“). ვფიქრობთ, საანალიზო კომპოზიტის კომპონენტები სხვადასხვა წარმომავლობისაა: პირველი სვანურია, რომლის ძირია თ (შესაძლოა იგივე იყოს, რაც ქართულ მ-თ-ელშია); ხოლო მეორე კომპონენტი კი ქართულიდანაა შესული; კომპოზიტის ორივე შემადგენელი ნაწილი სემანტიკურად ერთია – ნაწილი||ნათესავი.

ს ა ლ ო მ ე ო მ ი ა ძ ე

საქორწილო რიტუალის მონაწილეთა აღმნიშვნელების – „მმადი“, „მდადი“ – ლინგვოკულტურული მნიშვნელობისათვის

წყვილის შეუღლების ღვინით აღნიშვნა, ახალდაქორწინებულთა სიხარულის გაზიარება მრავალი კულტურისათვის მკვიდრი ტრადიციია, რომელიც, საერთოსთან ერთად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ბევრ განმასხვავებელ ნიშანს ავლენს. ქართული საქორწილო რიტუალი ძველი დროიდან მოყოლებული ინარჩუნებს დრამატული ნაწარმოების ხასიათს – თავისი მთავარი და მეორეხარისხოვანი მოქმედი პირებით, საგანგებოდ მომზადებული მიზანსცენებით, სუფრითა და სადღეგრძელოებით, ცეკვითა და სიმღერით, ლექსებითა თუ სხვა. ამასთან ერთად, ეს რთული და უხვპერსონაჟიანი „სცენარი“ დროთა ვითარებაში, ცხადია, იცვლებოდა კიდევ და დღესაც განიცდის გარკვეულ ცვლილებებს, რის შესახებაც ყველაზე სანდო ცნობებს ენა ინახავს.

864 წელს გადაწერილ სინურ მრავალთავში, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს არქაული გრამატიკული ფორმებითა და მდიდარი ლექსიკით, დასტურდება ლექსემა ძმადი: „მერმე კულად ძმადი იგი სძალსა ეტყვს“ (იოანე ოქროპირი, „გურიტი-სათვს“); იოანე ოქროპირისავე ტექსტში („მოწამეთათვს III“) აღნიშნული სიტყვა მრავლობითი რიცხვის ფორმითაც გვხვდება: „დიდად შუენიერ არს, იყოს თუ ვინმე მსგავს ჩინებული იგი მჩინებელთა თვსთა და ძმადნი იგი თუ ემსგავსნენ სიძესა მას“.

ივ. იმნაიშვილი, რომელიც სინურ მრავალთავთან დაკავშირებული გამოკვლევის ავტორი და ლექსიკონის შემდგენელია, ძმადს „მაყრად“ განმარტავს. ილ. აბულაძე კი, „წიგნი მსაჯულთაჲს“ ერთ-ერთ კონტექსტის განსხვავებული წყაროებიდან მოხმობით, ძმადს, „მაყართან“ ერთად, „სძლის-მომგურელს“ უსადაგებს: „ცოლი იგი სამსონისი შეერთო ძმადმან მისმან“ M, – „დაემკვდრა ცოლი სამფსონისი სძლის-მომგურელსა მისსა თანა“ G, MSJ. 14, 20“. უკანასკნელ მაგალითში დადასტურებული აღწერითი ენობრივი ერთეულით ნათლად ჩანს ის როლი და ფუნქცია, რომელიც ძმადს ეკისრებოდა საქორწილო რიტუალში, ხოლო „სძლის მოგვრას“ ნებისმიერს რომ ვერ დააკისრებდნენ და მხოლოდ ძმასავით ახლობელსა და ერთგულს ანდობდნენ, ლექსემა „ძმადის“ გაჩენის მოტივად უნდა მივიჩნიოთ.

ძმადის მონაწილეობით შექმნილ კონტექსტებს ვხვდებით არა მხოლოდ საწესჩვეულებო ფოლკლორულ ნიმუშებსა და ეთნოგრაფიულ ჩანაწერებში, არამედ მხატვრულ ლიტერატურაშიც. აღნიშნულ მასალაზე დაყრდნობით, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი განსახილველი სიტყვა-ფორმის გვერდით მის ფონეტიკურ ვარიანტსაც – **ძმადე** – გვიდასტურებს.

ძმადი / ძმადე ფორმების ანალოგიით შედარებით გვიან უნდა იყოს გაჩენილი საქორწილო რიტუალის კიდევ ერთი მონაწილის გენდერული ნიშნით სახელმძღვანელო ლექსემა **მდადი (დადი) / მდადე (დადე)**.

ლექსიკონთა მონაცემებისა და ემპირიული მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე და დიალექტთა მიხედვითაც **ძმადს** განსხვავებულ მნიშვნელობათა გამოხატვა ეკისრებოდა: 1. მაყარი, განურჩევლად სქესისა და იმისა, სიძის თანმხლებია თუ პატარძლისა; 2. სიძის თანმხლები მამაკაცი ქორწინების დროს; 3. პატარძლის გამყოლი მამაკაცი, ძმობილი. **მდადი**

უფრო სტაბილური სემანტიკისაა – „დიაცი სძლის მაყარი“ (სულხან-საბა), მხედველობაში თუ არ მივიღებთ იმ მცირე მასალას, რომელშიც ეს ლექსემა სიძის თანმხლებ ნათესავ ან ახლობელ ქალ(ებ)ს აღნიშნავს.

სტატისტიკური თვალსაზრისით დაკვირვებამ საანალიზო ტექსტებში **მდადისა** და მისი ფონეტიკური ვარიანტების სიხშირული უპირატესობა გვიჩვენა, რისი განმაპირობებელი შეიძლება იყოს, რომ **მდადის** ცნების გამოსახატავად ხშირად გვხვდება მსგავსი მნიშვნელობის შემდეგი სიტყვები: „მომკიდე“, „ხელისმომკიდე“ (შდრ. ძვ. „სძლის-მომგურელი“), „მეჯვარე“, „მოწმე“, „ეჯიბი“: „**მდადო**, დედოფალ გაგიხაროს! / **ეჯიბო**, შენს მეფეს გაუმარჯოს“. **მდადე** / **დადე** მეგრულ-ლაზურშიც დასტურდება: მეგრ. „დადეში ქობალი“ („მდადის პური“), საქორწილო რიტუალური პურია (შდრ. „მორდიაში ქობალი“, „სიძის მეჯვარის პური“); ლაზ. „ჩქიმი მდადე სი იყვა-გინონ“ („ჩემი მდადე შენ უნდა იყო“).

მოხსენებაში განვიხილავთ **მდადისა** და **მდადის** ეტიმოლოგიასთან დაკავშირებულ განსხვავებულ მოსაზრებებს, ვრცელ მასალაზე დაყრდნობით, ვისაუბრებთ შესასწავლ ერთეულთა ლინგვოკულტურულ მნიშვნელობაზე.

მ ე დ ე ა ლ ლ ო ნ ტ ი

ქართული ნათელმირონობის საღვთისმეტყველო ფუნქციურ-სემანტიკური წანამძღვრები

(მართლმადიდებლური საეკლესიო სამართლის მიხედვით)

მოხსენების საგანია ქართული ნათელმირონობის ამსახველი ტერმინოლოგია: **ნათლიმირონობა** და **ნათლიჯალაბი**, **ნათლია** და **მნათლავი**, **ნათლიდედა** და **ნათლიმამა**, **მონათლული**, **განათლული** და **განათლებული (სულითა)**, კერძოდ – ამ ლექსიკურ-სემანტიკური ბუდის კონკრეტული ფუნქციურ-სემანტიკური ქრონოგრაფია.

მართლმადიდებლური „საეკლესიო სამართლის“ სათანადო მონაცემთა გათვალისწინებით (ა. ს. პავლოვის „საეკლესიო სამართლის კურსი“, ეპისკ. ალექსანდრეს (სემიონოვ-ტიან-შანსკის) „მართლმადიდებლური კატეხიზმო), განიხილება საგანგებოდ დადგენილი ის საეკლესიო წეს-კანონები, რომლებშიც აღიბეჭდება როგორც მოსანათლის, ანუ ეკლესიის სამწყსოს (მრევლის) წევრობის მნებებლის, ისე ნათლისა და მონათლულის ოჯახების წევრთა უფლება-მოვალეობანი – ეკლესიის წმინდა საიდუმლოს აღსრულებამდე და მისი აღსრულების შემდგომ.

ამ თვალსაზრისით მოვიხილოთ იმ საეკლესიო განწესებებს, საიდანაც მრავალმნიშვნელოვნად ამოიკითხება პასუხი შეკითხვებზე: რომელი კონკრეტული უფლება-მოვალეობებით აღიჭურვება ახლად მონათლული? რით გამოიხატება ეკლესიის მრევლის ოჯახის-წევრობა? რომელი მოვალეობები აკისრიათ ნათლიდედას და ნათლიმამას, და რომელი – ნათლიას? რით შემოიფარგლება ნათლისა და მონათლულის ოჯახთა წევრებს შორის ნათელმძრონობით დადგენილი სულიერი თუ ხორციელი ნათესაობა? და სხვ.

ქ ე თ ე ვ ა ნ მ ა რ გ ი ა ნ ი

სვანური ენის დაცვა თუ ხელყოფა?

(ერთი პუბლიკაციის შესახებ)

მოხსენებაში საუბარია იმ პუბლიკაციის შესახებ, რომელიც წიგნის სახით დაიბეჭდა 2013 წელს და რომელსაც კომპეტენტური საზოგადოება ნაკლებად იცნობს. წიგნს ჰქვია „ლუშნუ ბოფშრე ლიტერატურა“ და გულისხმობს „სვანურ საბავშვო ლიტერატურას“, თუმცა სიტყვა-სიტყვით ეს არის „სვანური ბავშვების ლიტერატურა“. აღნიშნული წიგნის სპონსორი, რედაქტორი და იდეის ავტორი გახლავთ ჰოლანდიელი ბიზნესმენი რიქარდ ბარუგი. როგორც შესავალშია აღნიშნული, წიგნში ლიტერატურული კონკურსის შედეგად გამოვლენილი გამარჯვებული მასალებია გამოქვეყნებული: „მცირე ლიტერატურული კონკურსი და ეს წიგნი ერთ-ერთია იმ მრავალ

ღონისძიებათაგან, რომლებიც საჭიროა სვანური ენისთვის კუთვნილი ადგილის დასამკვიდრებლად“ – ვკითხულობთ შესავალში¹.

მოხსენების მიზანია მსჯელობა იმის შესახებ, თუ რამდენად უწყობს ხელს ამგვარი ღონისძიებანი სვანური ენის პოპულარიზაციას თუ სათანადო მოვლა-პატრონობას და რა ბერკეტები მოეპოვება საენათმეცნიერო საზოგადოებას მსგავსი მოვლენების წინააღმდეგ.

ნ ა ნ ა მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი

ატრიბუტული მსაზღვრელი აფხაზურში – შეთანხმება თუ მართვა? (საკითხის დასმისათვის)

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია თვალსაზრისი, რომ აფხაზურის ატრიბუტულ სინტაგმას ახასიათებს შეთანხმება.

მოხსენებაში წარმოდგენილია, ვარაუდი, საკითხის დასმის წესით, რომ აფხაზურის ატრიბუტულ სინტაგმას ახასიათებს არა შეთანხმება, არამედ მართვა.

აფხაზურს არ მოეპოვება ბრუნვათა სისტემა, მათ შორის ნათესაობითი ბრუნვა. ის, რაც სხვა ენებში გამოიხატება ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელით, (ე. ი. **კუთვნილება**) აფხაზურში გამოიხატება კუთვნილებითი ნაცვალსახელებიდან, ანუ პირ-კლასის ნაცვალსახელებიდან მომდინარე პრეფიქსებით.

სახელთა კუთვნილების კატეგორია აფხაზურში სახელის ფუძეზე ნაცვალსახელური წარმოშობის პრეფიქსთა დართვით იწარმოება.

¹ 2015 წელს კი დაიბეჭდა კიდევ ერთი წიგნი სათაურით: „ბოფშრე ნწარ ლუმნუ ამბჷრ“ („ბავშვების ჩაწერილი სვანური ამბები“), რომელსაც, სამწუხაროდ არ ვიცნობთ, თუმცა, როგორც ჩანს პირველი „ნაშრომის“ შესახებ ჩვენმა საპროტესტო წერილმა გარკვეული როლი მაინც შეასრულა, რადგან ამჯერად თუნდაც სათაური სწორი სვანურით დაუწერიათ.

ნათესაობითი ბრუნვის (კუთვნილების გამომხატველი) პრეფიქსი მიერთვის არა მსაზღვრელს, არამედ საზღვრულს პრეფიქსად: **ამღაბ ლ-ნაპე** „გოგოს ხელი“.

მმართველი სახელი – **ამღაბ** „გოგო“ მართულში – **ლ-ნაპე** „მისი ხელი“ აჩენს პირ-კლასის ნიშანს **ლ-**, რომელიც თავად მას არ გააჩნია მოცემულ შემთხვევაში. (შდრ.: ქართ. გოგოს ხელი) ამ შემთხვევაში მმართველი „**ხელი**“ მოითხოვს მართული „**გოგოსაგან**“ ნათესაობითი ბრუნვის ფორმას. ანუ თუ ქართულში მმართველი არის საზღვრული, აფხაზურში მმართველი მსაზღვრელი იქნება.

ნი კ ო ლ ო ზ ო თ ი ნ ა შ ვ ი ლ ი

„სჯულდების“ ტექსტის ლინგვისტური ანალიზის საკითხისათვის

იოანე ბაგრატიონი არის ქართლის უკანასკნელი მეფის გიორგი მე-13-ის შვილი, რომელმაც მთელი რიგი ნაშრომები დაგვიტოვა მეცნიერების სხვადასხვა სფეროში. მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთი იმყოფებოდა მძიმე პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობაში. ამისი ძირითადი მიზეზი იყო ირანის, თურქეთის, მთიელი ტომების განუწყვეტელი თავდასხმები, ხალხი კი მძიმე ბრძოლებს აწარმოებდა, მაგრამ დიდი ზარალი ჩვენს მხარესაც იყო. აღნიშნული ეპოქის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებს თუ გადავხედავთ დავრწმუნდებით, რომ სხვადასხვა ენობრივი ფორმები მოგვეპოვება, რომლებიც ასევე ასახულია იოანე ბაგრატიონის თხზულებაში „სჯულდება“

აღნიშნულ ეპოქაში უკვე განვითარებულია საერო მწერლობა, რომელიც ცოცხალ სასაუბრო მეტყველებას დაემყარა, რომელიც სალიტერატურო ენის შემადგენელ ნაწილად იქცა. მიუხედავად ამისა, ეპოქის ძეგლებში გვხვდება არქაიზმები, ძველი ფორმები, „სჯულდების“ ტექსტი წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს, რომელიც ორთოგრაფიის მხრივ სიჭრელით გამოირჩევა. ორთოგრაფიიდან აღსანიშნავია ძველი გრაფემების გამოყენება, გვხვდება ახლებიც.

„სჯულდებაში“ გვხვდება დ – იოტა, ჯ – ხარი, ჯ – ვიე, უ – უბრჯგუ, ზ – ეი, რომლებიც რელიეფურად არის წარმოდგენილი ტექსტში, წარმოდგენილია შემცვლელბიც.

მრავლობითობის მაწარმოებლებიდან გვხვდება როგორც ნართანიანი, ისე ებიანი ფორმები. მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად გვხვდება როგორც მან, ისე მა მაწარმოებლები, ასევე წარმოდგენილია ზმნისწინები როგორც ძველი, ისე ახალი სახით.

ბევრი ლექსიკური ერთეული შემოსულია აღმოსავლური ენებიდან, რომლებიც უკვე დამკვიდრებულია ენაში, ასეთებია: მინზაში, თალიში, ტარულა, მირზა, ნაზირი, ვეზირი, თუშმალი და სხვები, რომელთა განმარტება დღეს საჭიროა.

„სჯულდება“ დიდი მნიშვნელობის ენობრივი დოკუმენტია, რომლის სრულყოფილი შესწავლა სამომავლო საქმეა.

თ ე ა ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი

ბრჭყალების ადგილისათვის

სასვენი ნიშნების, მათ შორის ბრჭყალების, გამოყენების წესები ქართულში დადგენილია და პუნქტუაციური შეცდომები უმეტესად ამ წესების დაუცველობის შედეგია. რაც შეეხება ბრჭყალების გამოყენებას, არსებული ვითარება სხვა სურათს გვიჩვენებს. კერძოდ, დადგენილი წესები არეგულირებს შემთხვევებს, როდესაც აღნიშნული სასვენი ნიშნის ხმარება სავალდებულოა. არსებულ წესებში ზოგადააა მითითებული (ზოგჯერ არც არის მითითებული) მისი ადგილი, თუმცა ბრჭყალების ხმარების შემთხვევები იმდენად მრავალფეროვანია, რომ ეს ზოგადი მითითებები არასაკმარისია და კითხვებს ბადებს. მაგალითად, ასეთებია:

1. სად უნდა დავსვათ წერტილი (ბრჭყალების შიგნით თუ მათ შემდეგ), თუ ვიმოწმებთ ციტატას, რომელიც, რა თქმა უნდა, ბრჭყალებშია? ამგვარი კითხვა ჩნდება სხვა სასვენი ნიშნის შემთხვევაშიც.

2. სად უნდა დავხუროთ ბრჭყალები, როდესაც გვაქვს ბრუნვისნიშნიანი ან თანდებულიანი ისეთი ფორმა, რომელსაც აღნიშნუ-

ლი ელემენტები დეფისით მიერთვის? ამგვარ შემთხვევებს ვხვდებით აბრევიაციით წარმოდგენილი კომპანიებისა თუ დაწესებულებების სახელწოდებების (რომლებიც ბრჭყალებშია) ამა თუ იმ ბრუნვის ფორმით ხმარებისას, ასევე რიცხვითი სახელის შემცველი ამავე ტიპის სახელების მართლწერის დროს.

ჩვენ გავანალიზეთ ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების ამ სახველი მასალა და მოხსენებაში წარმოვადგენთ რეკომენდაციებს.

ხ ა თ უ ნ ა ყ ა ნ დ ა შ ვ ი ლ ი

ხოლმე ნაწილაკით გამოხატული მრავალგზისი მოქმედება XIX და XX საუკუნის სალიტერატურო ქართულში

მრავალგზისობა ახალ ქართულ სალიტერატურო ქართულ ენაში ორგანულად არ იწარმოება, რადგან ხოლმეობითის მწკრივები გაქრა და ძირითადად ფუნქციის შესრულება მრავალგზისობის შინაარსის მქონე ლექსიკურ ერთეულებს დაეკისრა. ამ ლექსიკური საშუალებებიდან კი ყველაზე ხშირად **ხოლმე** ნაწილაკი გამოიყენება, რომელიც გამოვლინდა XVII საუკუნის მწერლობაში. „აღწერით თითქოს გამოსწორდა ის ნაკლი, რომელიც მორფოლოგიური საშუალების დაკარგვამ გამოიწვია. **ხოლმე** ნაწილაკიანი აღწერითი ფორმები იმდენად მოქნილი აღმოჩნდა, რომ მისი მეოხებით მრავალგზისობის გამოხატვა მოხერხდა ნაკვთების უმეტესობაში“ (ივ. ქავთარაძე 1961: 11).

საინტერესოა, რა სიხშირითა და რა შემთხვევებში გამოიყენებენ **ხოლმე** ნაწილაკს XIX და XX საუკუნის მწერლები. ჩვენი საკვლევი მასალაა ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის შემოქმედება XIX საუკუნის ქართული მწერლობიდან, ხოლო მომდევნო პერიოდში ვითარებას განვიხილავთ დ. კლდიაშვილისა და მ. ჯავახიშვილის მოთხრობების მიხედვით.

ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის შემოქმედებაში **ხოლმე** ნაწილაკი ზოგჯერ გამოიყენება იქ, სადაც ზმნით გამოხატული მოქმედე-

ბა ისედაც მრავალგზისობის შინაარსისაა, მაგრამ **ხოლმე** ნაწილაკს მაინც ვხვდებით მნიშვნელობის გასაძლიერებლად, მაგალითად:

„ისე მჭიდროდ მომიჭირა ხელი ხელს, როგორც მარტო ევრო-პელმა **იგის ხოლმე** („მგზავრის წერილები“).

„ეგ წამალი ყველაფერში იხმარება, რასაც კი ჩვენს ოჯახში ყუთში **ვინახავთ ხოლმე**“ („მგზავრის წერილები“).

„პატარებს უყვართ დიდების მიზამკვა და, მეც რომ ხუხულა სახლს და ბელელი-სასიმინდე-წისქვილებს **ავაშენებდი ხოლმე**, ჩემს სიამოვნებას საზღვარი აღარ ჰქონდა“ („ჩემი თავგადასავალი“).

აღნიშნულ წინადადებებში თუკი არ გამოვიყენებთ **ხოლმე** ნაწილაკს, მრავალგზისობის შინაარსს ზმნის ფორმები ისედაც გამოხატავენ. ივანე ქავთარაძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში **ხოლმე** ნაწილაკით გამოხატული მრავალგზისი მოქმედების წარმოება საკმაოდ ხშირია. „იმდენად ხშირად იხმარება ეს ნაწილაკი, რომ თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმათა კანონზომიერების მიხედვით ერთგვარ შეუსაბამოდაც კი გვეჩვენება“ (ივ. ქავთარაძე 1961: 12).

დ. კლდიაშვილი ყველაზე ხშირად მიმართავს უწყვეტლის მწკრივს მრავალგზისი მოქმედების გამოსახატავად:

„**ვეცოდებოდით** შორიდან მოყვანილი ბავშვები და რომ არ მოგვწყენოდა, ყოველ დღე ნასადილევს ორ-ორი **მივყავდით** თავის ოჯახში და საღამომდე **გვართობდა**“ („ჩემი ცხოვრების გზაზე“).

თუმცა ასევე ვხვდებით **ხოლმე** ნაწილაკსაც სხვადასხვა მწკრივის ფორმებთან:

„ერთადერთი კულტურული ადგილი იყო საზოგადო საკრებულო, სადაც თავს **იყრიდა ხოლმე** ერთი ნაწილი ოჯახებისა“ („ჩემი ცხოვრების გზაზე“).

მ. ჯავახიშვილის შემოქმედებაში **ხოლმე** ნაწილაკი ძირითადად დაერთვის აწმყოს, უწყვეტლისა და I თურმეობითის ფორმებს:

„ესეც დოღია, ხვადისა და ძუს დოღი, რომელიც გაგრილებით **თავდება ხოლმე**“ („თეთრი საყელო“).

დ. კლდიაშვილისა და მ. ჯავახიშვილის შემოქმედებაში **ხოლმე** ნაწილაკი ჭარბად არ გამოიყენება. ავტორები მრავალგზისობის გადმოსაცემად ასევე მიმართავენ სვადასხვა საშუალებას.

ვაჟა შენგელია

ბერათშესატყვისობისათვის ჩერქეზულ ენათა ნასესხებ ლექსიკაში

ბერათშესატყვისობად მიიჩნევა ფუძეენაში ნავარაუდევ მი-რეულ და აფიქსურ მორფემებში ფონემათა რეგულარული მიმართე-ბები, რომლებიც მონათესავე ენებში გამოვლინდება. ამავე დროს ნა-სესხებ მასალაშიც შეიძლება გვქონდეს შესატყვისობანი, თუ სესხება დიფერენციაციამდელ ეპოქაში მოხდა. აქ ის უნდა გავითვალისწი-ნოთ, რომ ენათა დიფერენციაცია მყისიერი, ერთბაში მოვლენა კი არ არის, არამედ – გარკვეულ დროში განგრძობადი პროცესი, რაც ამ პროცესში განხორციელებულ ცვლილებათა სხვადასხვადროულო-ბას გულისხმობს.

ჩერქეზული ენები – ადიღური და ყაზარდოული (ყაზარდო-ულ-ჩერქეზული), ახლომონათესავე ენებია, რომელთა დიფერენცია-ცია შორეულ წარსულს არ განეკუთვნება, მაგრამ სხვაობა მათ ფონო-ლოგიურ სისტემებს შორის მაინც მნიშვნელოვანია (საკმარისია ით-ქვას, რომ ადიღურ სალიტერატურო ენაში 55 თანხმოვანს გამოყო-ფენ, ყაზარდოულ სალიტერატურო ენაში – 47-ს). ამ ენებს შორის არ-სებულ შესატყვისობებში ყველაზე მრავალრიცხოვანია შესატყვისო-ბა ადიღურ ფშვინვიერ და ყაზარდოულ მქლერ თანხმოვნებს შორის, რაც ნასესხებ მასალაშიც გამოვლინდება:

ადიღ. აფჩ – ყაზ. აზჯ „მინა, შუშა“

ადიღ. ფახ – ყაზ. ზახნ „ორთქლი“

ადიღ. თამღლ – ყაზ. დამღლ „დამლა“

ადიღ. ჩზრგდ – ყაზ. ჯარი (საკ. სახ. დამოუკიდებლადაც და კომპოზიტურ ანთროპონიმებშიც)

ადიღ. ქჭგ – ყაზ. გგგ „ჯგუფი“

ადიღ. ჩწფგნ – ყაზ. ჯწბგნ „სუდარა“

ადიღ. ფცაღლ – ყაზ. ძაღლ „ტირიფი“

და სხვ.

ზოგ შემთხვევაში შესატყვისობას მოყვანილ ლექსიკურ ერთეულებში შეიძლება პოზიციური ახსნა დაემდებოს, მაგრამ ერთი ცხადია – ნასესხებ მასალაში შესატყვისობის არსებობას ვერ გამოვრიცხავთ (არნ. ჩიქობავა).

იზაჩანტლამე

რიხარდ ბერუგის „აღმოჩენები“ სვანეთში

უცხოელ მეცნიერთა თუ ალპინისტთა მიერ კავკასიის, კონკრეტულად კი სვანეთის, ლინგვოკულტუროლოგიურ კვლევას არაერთი საუკუნის ისტორია აქვს. მათ შორის თავისი ობიექტური შეფასებით სხვებისგან მკვეთრად განსხვავდება ლონდონის სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი, ბუნებისმეტყველი და სამართალმცოდნე, დოქტორი **დუგლას ფრეშფილდი**, რომელიც რვაჯერ იყო სვანეთში და თავის წიგნში „**The exploration of the Caucasus**“ („კავკასიის კვლევა“, ტ. I, ლონდონი, 1896, გვ. 182) დიდებულად აქვს ნათქვამი: **სვანეთი ნამდვილი გულია კავკასიისა**. ბატონი დუგლასის ნაშრომის IX თავი („The Paths to Suanetia“ – „ბილიკები სვანეთისკენ“) იწყება აკადემიკოს **ოტო** ვილჰელმ ჰერმან **აბიხის** სიტყვებით: „გასაოცარი კავკასიის მთელი დიდებულიება ზემო სვანეთში აღწევს თავის მწვერვალს და ვერავინ გაბედავს იმის თქმას, რომ ის იცნობს კავკასიას, ვისაც ფეხი არ დაუდგამს იმ ჩინებულ მხარეში“. გერმანელი გეოლოგი (1806-1886 წ.წ.) თითქმის 37 წელი ცხოვრობდა კავკასიაში და საგანგებოდ იკვლევდა მის ოროგრაფიას, მათ შორის დეტალურად აქვს აღწერილი კოლხეთის დაბლობი და ენგურისა თუ ყვირილას ზემო წელის მიდამოები (იხ. მისი „Geologische Forschungen in den Kaukasischen Ländern“, TI 1-3, Wien, 1878-1887).

დღემდე არ დამცხრალა მოგზაურ-მკვლევართა სვანეთით აღფრთოვანება, ანალოგიურ სიტყვებს ღირსეულად იმეორებს არაერთი მეცნიერი, ალპინისტი თუ ჟურნალისტი.

დღეს, რაკი ტურიზმმა ძალიან მოიკიდა ფეხი სვანეთში, ამ ულამაზესი ტერიტორიით **აღფრთოვანებული მოგზაურები თითქოს ცდილობენ XIX საუკუნეში მოღვაწე ევროპელ მკვლევართა ტრადიციების გაგრძელებას**. ამ მხრივ განსაკუთრებით ალპინისტი ჟურნალისტები გამოირჩევიან, რომელთა შორისაა ფილოსოფიის დოქტორი **რიხარდ ბერუგი** თავისი წიგნით „The essence of the Caucasus – Svaneti“ („კავკასიის არსი – სვანეთი“). მისი აზრით, „სვანეთი გულია კავკასიისა და სახურავი ევროპისა“ (გვ. 5), ხოლო „ლეგენდარული უშბა ხელმწიფეა კავკასიისა“ (გვ. 122).

ნორვეგიელი ავტორი თავის ნაშრომს იწყებს მეტად საინტერესო ლეგენდით ქართველების ისტორიული საცხოვრისის შესახებ:

„ღმერთმა სამყარო ექვს დღეში შექმნა, მსოფლიოში მაშინ მცხოვრებ ყველა ხალხს გაუნაწილა გარკვეული ტერიტორია და მეშვიდე დღეს დასვენება გადაწყვიტა, მაგრამ მოულოდნელად მასთან მივიდნენ ძალზე შეწუხებული ქართველები და ჰკითხეს: ჩვენ რას გვერჩით, მიწა-წყალი არ გვინდაო? ღმერთმა ერთი კი ამოიოხრა ღრმად, მიხვდა, რომ დიდი შეცდომა დაუშვა და უნებლიეთ მივიწყებულ ქართველებს ის ადგილი მისცა, რომელიც თავისთვის ჰქონდა გადანახული – მსოფლიოს ულა მ ა ზ ე ს ი ნ ა წ ი ლ ი“.

ბუნებრივია, ამ მშვენიერი შესავლის შემდეგ მკითხველი მოუთმენლად ელის რაღაც არაჩვეულებრივს და ეს ასეცაა! – ავტორი საკმაოდ მაღალმხატვრულად წერს, სვანეთის განსაკუთრებული სიყვარულით შთაგონებული. მაგალითად: „დიდებული მწვერვალებიდან ყველა მიმართულებით იშლება მომაჯადოებელი, იდეალური, თვალწარმტაცი, განუმეორებელი, ლეგენდარული ხედები და აუცილებლად მოგინდებათ „მუსიკის ჰანგების“ ახალი ვარიანტის შექმნა, ხოლო მიღებული შთაბეჭდილებანი გემახსოვრებთ მთელი სიცოცხლის მანძილზე“ (გვ. 314, 330-331), ან „მაის-ივლისში ყვავილთა მდელო ფერთა აფეთქებად წარმოგვიდგება“ (გვ. 20).

ბატონი რიხარდის ძირითადი მიზანია დეტალური ინსტრუქტაჟის ჩატარება მოგზაურ ტურისტ-ალპინისტათვის, რასაც ის ბრწყინვალედ ასრულებს. ურთულეს უღელტეხილებზე გადასადგმელი მათი ყოველი ნაბიჯი ისე ზუსტადაა რეკომენდირებული,

რომ სვანეთის უცხოელ სტუმრებს, ალბათ, არც არაფერი შეეშლებათ. წიგნი ძალიან გამოადგებათ ბუნებისმეტყველებსაც, რადგანაც მასში აღწერილია მთათა სამოთხის ალპური მცენარეები შესაბამისი ულამაზესი ფოტოილუსტრაციებითა და ლათინურ-სვანურ სახელწოდებათა ეტიმოლოგიითურთ (ძირითადად, სვან ინფორმატორთა განმარტებების მიხედვით!).

ავტორი იყენებს არა მარტო უცხოელ, არამედ ქართველ მეცნიერთა ნააზრევსაც, ოღონდ ენათმეცნიერები რატომღაც სულ დავა ვიწყდით. 343 გვერდის შემცველ წიგნში ის ერთადერთხელ ახსენებს „**სვან ლინგვისტებს**“ (გვ. 125), რაც არ ეპატიება ფილოსოფიის დოქტორს, მით უფრო, რომ თავის ნაშრომში ის რატომღაც არაერთხელ უპირისპირებს ერთმანეთს „საქართველოსა“ და „სვანეთს“, „ქართულსა“ და „სვანურს“ – მისი აზრით, „**სვანური და ქართული სტუმართმოყვარეობა მთელ მსოფლიოშია ცნობილი**“ (გვ. 338).

რ. ბერუგისთვის მესტია ზემო სვანეთის დედაქალაქია, ლენტხა (ქართ. ლენტეხი) კი – ქვემო სვანეთისა (გვ. 8); მას ისიც აწუხებს, რომ „სვანეთში არ არის დამოუკიდებელი ტელეარხი, რადიო ან გაზეთი სვანურ ენაზე ... **სვანური მშობლიური ენაა მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის, ქართული კი ძირითადი უცხო ენაა (sic!), სახელმწიფო დაწესებულებებსა და სკოლებში გავრცელებული ოფიციალური ენა** (გვ. 9, ხაზი ჩვენია – **ო. ჩ.**).

ლალხორ, რომელიც ქართულად „მესაკრებელ ადგილს“ ნიშნავს, სადაც სვანები იკრიბებოდნენ ხოლმე სოფლის საჭირბოროტო პრობლემების მოსაგვარებლად, საანალიზო წიგნის მიხედვით, ისტორიულად თურმე სვანური პარლამენტი (სავარაუდოდ, მსოფლიოში უძველესი) ყოფილა (გვ. 223-224, 234, 260 და ა. შ.), ხოლო მზის სადიდებელი ჰიმნის „ლილეს“ მისამღერი – ურარტული.

ნორვეგიელმა ჟურნალისტმა შემოიღო „სვანური ანზანი“, რომელშიც რა ხდება, ვერავინ მიხვდება: ჯერ ერთი, **ზოგჯერ ერთი გრაფემა ხუთ ფონემას გადმოსცემს** (მაგალითად, **k** არის როგორც **კ**, ისე **ქ**, **ყ**, **ხ** და **ჯ** ბგერათა აღმნიშვნელი!) და თურმე სვანურში უმლაუტანნი **ე**-ც არსებობს – ზოგადლინგვისტურ კანონზომიერებათა საფუძველზე მსოფლიოს სხვადასხვა ენაში პალატალური ხმოვნები

იწვევენ სხვა ხმოვანთა უმლაუტს, თავად კი, ცხადია, ამ პროცესს არ განიცდიან.

ა	-	a	ო	-	o	შ	-	sh
ა̄ = აა	-	aa	ო̄ = ოო	-	oo	ჩ	-	ch
ა̆	-	ä	ო̆	-	ö	ც	-	ts/c
ა̈ = აა	-	ää	ო̈ = ოო	-	öö	ძ	-	dz
ბ	-	b	პ	-	p	წ	-	ts/c
გ	-	g	ჟ	-	zh	ჭ	-	ch
დ	-	d	რ	-	r	ხ	-	kh
ე	-	e	ს	-	s	ჯ	-	j
ე̄ = ეე	-	ee	ტ	-	t	ჟ	-	f
ე̆	-	yo	უ	-	u	ც	-	e
ზ	-	z	უ̄ = უუ	-	uu	ყ	-	y
თ	-	t	უ̆	-	ü	ჰ	-	h
ი	-	i	უ̈ = უუ	-	üü	ვ	-	w
ი̄ = იი	-	ii	უ̊	-	w	ჟ	-	k/kh
კ	-	k	ფ	-	p/f	ხ	-	(glottal stop)
ლ	-	l	ქ	-	k			
მ	-	m	ღ	-	gh	გ	-	ö
ნ	-	n	ყ	-	k/q	გ̄ = გგ	-	öö

შენიშვნა უამრავი გვაქვს, მაგრამ ვცდილობთ, დაიცვათ რეგლამენტი.

შეცდომები XVIII-XIX საუკუნეების სვანეთში მოღვაწე არა-ლინგვისტ მეცნიერებსაც ჰქონდათ, მაგრამ რ. ბერუგის ანალოგიური რამ არავის მოსვლია აზრად... დღეს, **XXI საუკუნეში**, ქართველოლოგიის განვითარების ასეთ მაღალ დონეზე, **წარმოდგენელია მსგავსი ნაზრევი!... ჟურნალისტი მეცნიერი არ არის, ამიტომ მას არა აქვს უფლება, იმსჯელოს სამეცნიერო პრობლემებზე**. ჩვენ დიდად მადლობელი ვართ ზემო და ქვემო სვანეთ-

ში მოგზაურ უცხოელ თუ ქართველ ტურისტთა დეტალური ინსტრუქტაჟის მაღალმხატვრული გადმოცემისათვის, **მაგრამ უფრო მეტად დაგუფასებდით ნორვეგიელ ავტორს საქართველოსთვის გაწეულ სიკეთეს, საერთოდ რომ არ განეხილა მეცნიერული საკითხები!**

რ. ბერუგის ნაშრომი „კავკასიის არსი – სვანეთი“ 2016 წელს დაიბეჭდა ჯერ ნორვეგიულ ენაზე, მერე კი განმეორდა ინგლისურადაც ლატვიაში (ქ. რიგა), ხოლო 2019 წელს ჩვენს დედაქალაქში გამოქვეყნდა მისი რუსული თარგმანი („Суть Кавказа-Сванетия“) ყოველგვარი რედაქტირების გარეშე. **სამწუხაროა, რომ სამი წლის მანძილზე ჯერჯერობით არც ერთი ქართველოლოგი ან თუნდაც პოლიტიკოსი არ გამოხმაურებია უხეში და თანაც ძალზე უხერხული შეცდომებით აღსავსე პუბლიკაციას არც ჩვენში და არც უცხოეთში!..¹**

კარგია, რომ თანამედროვე ევროპელი მოგზაურები აგრძელებენ XVIII-XIX საუკუნეებში მოღვაწე უცხოელ დიპლომატ-მკვლევართა ტრადიციებს, მაგრამ ყველა ავტორმა უნდა იმსჯელოს იმ ჭეშმარიტების შესახებ, რაც თავად იცის ან სხვათა ნაშრომებში ამოუკითხავს, თორემ „Svan alphabet“-ის მსგავსი საოცრებანი კიდევ ვინ იცის, ვის მოუვა აზრად?! ვაი, რომ რ. ბერუგს სჯერა ვიღაცის ნათქვამი: „ბეჩოს თემის მიტოვებულ სოფელ ფალედში, ერთ-ერთ კლდეზე, XII საუკუნის სვანურენოვანი წარწერა უპოვიათ“ (გვ. 38)-ო.

ტურიზმი დიდად უწყობს ხელს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას, მაგრამ ამ ურთულეს პროცესს არ უნდა გადავაციოლოთ ყველაზე არსებითი ეროვნული ფასეულობანი; ჩვენ **აუცილებლად მოვითხოვთ სპეციალისტების მკაცრ კონტროლს** საქართველოს რომელიმე კუთხის კვლევისადმი მიძღვნილ უცხოელთა ნაშრომებზე მათ გამოქვეყნებამდე.

¹ რ. ბერუგმა 2013 წელს თბილისში გამოსცა „**ლუმნუ ბოფშრე ლიტერატურა**“ (სათაურიდანვე უამრავი შეცდომით სავსე!), რომელსაც მალევე გამოეხმაურა ჩემი მოწაფე – პროფ. ქეთევან მარგიანი საგანგებო სტატით მესტიის გაზეთში დასაბეჭდად, მაგრამ არც გაზეთის რედაქციამ და არც ადგილობრივი მერიის თანამშრომლებმა ყურად არ იღეს საკმაოდ მკაცრი შენიშვნები. ასე რომ, ქალბატონი ქეთევანის სტატია „დარჩა ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა“, ანუ თავის მშობლიურ კუთხეში. ასევე მკაცრად უნდა შეფასდეს რ. ბერუგის მეორე წიგნიც „**ბოფშრე ნაირ ლუმნუ ამბაჟარ**“ (2015).

ევფემიზაციის უჩვეულო ნიმუში უახლესი ქართულიდან

თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენისათვის დამახასიათებელი ლექსიკოლოგიური ტენდენციებიდან ევფემიზაცია შედარებით მოკრძალებულია. ენის ლექსიკურ სისტემაში მრავალრიცხოვანი ნეოლოგიზმების, ბარბარიზმების, ვულგარიზმებისა და მისთ. გვერდით თითო-ოროლა ევფემიზმი თუ გამოკრთება. ენობრივი კულტურის თვალსაზრისით უახლესი ევფემიზმები განსაკუთრებით საინტერესოა როგორც კეთილსიტყვაობის, მწიგნობრული და ზეპირსიტყვიერი ტრადიციების მართლზომიერი გამოვლენის თავისებური ნიმუშები.

უახლესი სასაუბრო ქართულიდან უჩვეულო ევფემისტური მისწრაფებით ყურადღებას იქცევს ლექსემა **ბიუჯეტური** ახალ კონტექსტში, ასე მაგ.:

ნუ იყიდიტ ძვირადღირებულს, **ბიუჯეტურზე** გააკეთეთ არჩევანი;
სრულიად ასუფთავებს სისხლმარღვებს... **ბიუჯეტურია**;

ბიუჯეტური ცხოვრება;

მსოფლიოს ფეშენებელური და **ბიუჯეტური** სასტუმროები უმაღლესი შეფასებით;

ამ ყველაფერს უფრო **დაბალბიუჯეტურადაც** გვთავაზობენ ტურისტული ჯგუფები.

წარმოდგენილი მაგალითები ცხადყოფს კონტექსტთა აქტუალურობას, სადაც **ბიუჯეტური** ენაცვლება ისეთ სიტყვებს, როგორიცაა: *იაფი, ეკონომიური, ხელმისაწვდომი, ხელსაყრელი, ნაკლებბარჯიანი, დაბალბარჯიანი, დაბალფასიანი, იაფფასიანი* და მისთ. სტილისტიკურ სინონიმთა ამ რიგში **ბიუჯეტური** გამოხატავს უფრო მეტად ობიექტურ შინაარსობრივ სხვაობას და ნაკლებად სუბიექტურ დამოკიდებულებას, თუმცა მისი თავდაპირველი გამოყენების საფუძველი უდავოდ სუბიექტურია და განპირობებულია უპირველესად ევფემისტური აზრობრივი აქცენტით. ჩამოთვლილი კონტექსტები მოწმობს, რომ სინონიმური რიგის უკვე ცნობილ წევრთა უგულებელყოფა (უკეთ: მათგან თავის არიდება) **ბიუჯეტურის** სა-

სარგებლოდ სწორედ სტილისტიკური ნიუანსის გამოკვეთის – აზრობრივი აქცენტის დამსახურებაა. ამ შემთხვევაში ევფემიზაციის პირობითობას ექვემდებარება ძველი იდეოლოგიური სამყაროსაგან (საბჭოთა ყოფა-ცხოვრებისაგან) თავდაღწევისა და გამიჯვნის სურვილი; შესაბამისად, არჩევანი აზრობრივი აქცენტით სრულად გამიჯნულია იდეოლოგიური მიუღებლობისა თუ უხერხულობის დასაძლევად.

მ ე რ ა ბ ჩ უ ხ უ ა

სისინ-შიშინა სიბილანტური თანხმოვნების ისტორიისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში

კანონზომიერ ბგერათშესატყვისობათა განსხვავებული მაჩვენებლების საფუძველზე, შესაძლებელი ჩანს პალეოკავკასიური ფუძემენის ფონოლოგიურ სისტემაში კიდევ ერთი, განსაკუთრებული, სისინ-შიშინა სიბილანტური თანხმოვნების რეკონსტრუქცია – *ძ *ც, *წ *ზ *ს. ისტორიულ-შედარებითი შესწავლით საცნაური ხდება სისინ-შიშინა სიბილანტა ფონეტიკური გაშიშინების ტენდენცია საერთოქართველურსა და საერთონახურში; დაღესტურში სახეზეა სისინა ალოფონები, მაშინ, როდესაც სინდური ენებიდან ადიღურ ენებში შემოგვენახა ამოსავალ ვითარებასთან მიახლოებული სურათი; შდრ:

- (1) ს.-ქართვ. *მაჩუ- „მაჩვი (ქართ. მაჩუ-ი, ზან. მუნჩქ(ვ)-ი, სვან. მინჩქტ) ~ ს.-ნახ. *მჩარ- „დათვი“ (იჩქ. ჩა(რ), ინგ. ჩა(რ), ბაცბ. ჩა(რ)) ~ ს.-სინდ. *მცტუა „დათვი“ (ავხ. პ-მშუ, აბაზ. მშუტ, ად. მესა, ყაბ. მესა, უბიხ. მემუა) ~ ს.-დაღ. *მწუ- „დათვი“ (ხუნდ. ცი, ანდ. სედი, ახვ. შინ, ტინდ, კარ. სინ, დიდ. ზე, ინხ. ზენ, ბექ., ჰუნზ. სენ, დარგ. სინ-ქა, ლეზგ. სეტ, თაბ. შტე, რუთ. სი, წახ. სო, კრიწ. სარ, ბუდ. სორ, ხინ. ფსკ);
- (2) ს.-ქართვ. *ჭტალ- „ლურსმანი“ (ქართ. მა-ნჭვალ-ი, სა-მსჭვალ-ი, ზან. წკულ-ი ← *ჭკუოლ-ი) ~ ს.-ნახ. *ჭუტ- „შამფური“ (იჩქ. ჭუ, ინგ. ჭუტ, ბაცბ. ჭუდ ← *ჭუვ) ~ ს.-სინდ. *წუტ- „შამფური,

შუბი“ (აფხ. ა-ჭუტ, აბაზ. ჭუტად. წუტ, ყაბ. წუტ) ~ ს.-დად. *რაწუ- „სოლი“ (დიდ. რიწუ, ხვარშ. რაწუ-წან, ჰინ. რი-წუ...);

- (3) ს.-ქართვ. *ნუშ- „ყველი“ (ძვ. ქართ. ნუშ-ა / ნუშ-ი, ზან.-სვან. [ნუშქ-]) ~ ს.-ნახ. *შონ- „დვრიტა“ (იჩქ. შუონ, ინგ. შუო, ბაგბ. შონ) ~ ს.-სინდ. *ასუტ „ყველი“ (აფხ. აშ ← *ა-აშ, აბაზ. აშუტ, ად. -ყაბ. [ასუტ]) ~ ს.-დად. *ნგს-უ „ყველი“ (ხუნძ. ნისუ, ანდ. ისო, ახვ. ჭამ. ისა, ტინდ. ინსა, დიდ. იზუ, ხვარშ. იზუ, ბეჟ. იზო, ლავ. ნის, დარგ. ნუსი, ლეზგ. ნა-სუ, კრიწ. ნისი, ბუდ. ნუსუ...).

მოხსენებაში, პრობლემის ისტორიასთან ერთად, განხილული იქნება დამატებითი ნიმუშები.

ნ ი ნ ო ც ი ხ ი მ ვ ი ლ ი

გერჰარდ დეეტერსის ქართველოლოგიური დვაწლი (დაბადებიდან 130 წლისთავის გამო)

წელს 130 წელი შესრულდა ცნობილი გერმანელი ენათმეცნიერის, ქართველოლოგისა და კავკასიოლოგის, გერჰარდ ვოლდემარ დეეტერსის დაბადებიდან.

მან სიცოცხლის ბოლომდე თავდაუზოგავად იშრომა კავკასიოლოგიური კვლევების განვითარებისათვის. ამას მოწმობენ ღრმა ცოდნითა და მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებული ქართველოლოგიური ნაშრომები. ეს ნაშრომები გამოიცემოდა წიგნებად და იბეჭდებოდა ცალკეულ სტატიებად ევროპაში გამოშვებულ სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალსა და ენციკლოპედიაში.

უმაღლესი შეფასება დაიმსახურა მისმა სადისერტაციო ნაშრომმა „*Armenisch und Südkaukasisch*“ (1925), ხოლო საჰაბილიტაციო ნაშრომს „*Das kharthwelische Verbum*“ (1930) მოგვიანებით უწოდეს დასავლეთ ევროპის მასშტაბით პირველი რანგის სამეცნიერო მიღწევა კავკასიური ენათმეცნიერების დარგში. ავტორი თავად ვერ

მოესწრო 78-გვერდიანი ნაშრომის („*Die kaukasische Sprachen*“, 1963) გამოცემას, რომელშიც სხვა კავკასიურ ენებთან ერთად ქართველური ენების ანალიზიც წარმოადგინა.

გარდა მონოგრაფიული ხასითის შრომებისა, ქართველური ენების შესახებ დეეტერსმა არაერთი სამეცნიერო სტატიაც დაწერა. გერმანელი მკვლევარი დაინტერესდა სამხრეთკავკასიურ (და, ზოგადად, კავკასიურ) ენებში სახელური კლასების არსებობის საკითხით. იკვლევდა ქართველურ ენებში ზოგიერთი სიტყვის ეტიმოლოგიასაც. ქართული ენის მორფოლოგიის კარგი ცოდნა მას საშუალებას აძლევდა, მეცნიერულად აეხსნა რომელიმე ენობრივი ფორმის წარმომავლობა და ამ ფორმებში მიმდინარე ცვლილება, რომელიც მორფოლოგიურადაა შეპირობებული ქართველური ენების განვითარების უძველეს ეტაპზე. მისი ყურადღება მიიქცია ქართველური ენების ადგილის პრობლემამაც. თავის ერთ-ერთ სტატიაში შეეხო ქართული დამწერლობის წარმოშობის თემასაც.

ცალკე უნდა აღინიშნოს გერჰარდ დეეტერსის რეცენზიები, რომლებსაც ის სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალში აქტიურად აქვეყნებდა და ასე აცნობდა ევროპულ საენათმეცნიერო საზოგადოებას სიახლეებს ქართველოლოგიური კვლევების შესახებ.

განუზომელია გერჰარდ დეეტერსის ღვაწლი. მან არამარტო ქართველოლოგიური კვლევების განვითარებაში შეიტანა წვლილი. ქართველურ ენებს, როგორც ქართულ საგანძურსა და, ამავე დროს, მსოფლიო კულტურის ნაწილს, თუკი ქვეყნის ფარგლებს გარეთ სათანადოდ იცნობენ, ეს დეეტერსის დამსახურებაცაა.

ნ ა ნ ა ხ ო ჭ ო ლ ა ვ ა - მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი

მეგრულ-ლაზური ო-პრეფიქსი ქართულ ფიტონიმიაში

დასავლეთ საქართველოს დიალექტთა ფიტონიმიაში ზანური კვალი ძირითადად სამი მიმართულებით შეიმჩნევა: 1. ზანურ-ქართული (ჰიბრიდული) წარმოება, 2. ზანური და ქართული ფორმების ან ფუძეების შერწყმა, 3. ზანური სახელები.

ზანურ-ქართული წარმოების მცენარეთა სახელები მეგრულ-ლაზური **ო-** პრეფიქსითაა წარმოდგენილი, რომელიც ქართული დანიშნულების **სა-** პრეფიქსის ფარდია და მეტად პროდუქტიულია თავად მეგრულ-ლაზურში. როგორც მიჩნეულია, მეგრულში იგი გარკვეულ სუფიქსებთან ერთად წარმოქმნის ადგილის, დანიშნულების, იარაღის სახელებს, მომავალი დროის მიმდევობას, ხოლო ლაზურში გვხვდება მასდართან და მიმდევობასთან.

ო- პრეფიქსიანი დანიშნულების სახელები წარმატებით დამკვიდრდა სალიტერატურო ქართულშიც, რაც აისახა კიდეც „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“.

ჰიბრიდული წარმოების ფიტონიმებში იკვეთება **ო-** პრეფიქსის გამორჩეული როლი. აქ იგი საერთო დერივაციულ ინვენტარად ჩანს მეგრულ-ლაზურისა და ქართულისათვის (*იმერ., ლეჩხ., გურ., აჭარ. ო-დეღია, ო-დეღიე; იმერ. ძვ. ო-დეღა; იმერ. ო-ყრალ-ო; ქვ.-იმერ. ო-ყრალ-უ-ა/უ-ე; გურ. ო-ტყაჩ-უ-ა; იმერ., გურ. ო-ხოკ-უ-ა; გურ. ო-ღვალ-ო, ო-კნატ-ო; იმერ., ლეჩხ. ო-მცხვარ-ო; ზ.-რაჭ. ო-ნტკოფ-ილ-ა, ო-ტკოფ-ილ-ა...*).

ხშირად ამ წარმოქმნილ ფიტონიმთა სემანტიკა გაუმჭვირვალეა, ამიტომ მხოლოდ ანალოგიაზე დაყრდნობითაა შესაძლებელი პრეფის-სუფიქსებისა და ფუძეთა გამოცალკევება (**ონჯახუა, ოლაღუა, ომზალო/უა, ონჭო, ოსერო...**).

ჩაძიებების შედეგად შესაძლებელი ხდება ზოგიერთი ფუძის, შესაბამისად, მთლიანი სიტყვის სემანტიკის დადგენა და ფიტონიმის მოტივაციის ამოცნობა. ამ თვალსაზრისით განვიხილავთ შემდეგ ფიტონიმებს: **ოშოში / ოშოშო / ოშოშუა / ვოშოშე / ოშმეშა / ოშოშა / ოშოშია** *Glechoma hederacea* L.; **ობატუა** *Paracynoglossum imeretinum* (Kusn.) Popov, **ობოტუა** *Hypericum androsaemum* L.; **ოდვალო** *Rumex alpinus* L.; **ოკნატო** *Paspalum digitaria* Poir.

დაახლოებითი შინაარსის გადმოცემისათვის მეგრულში

დაახლოებით რიცხვით სახელებს, რომლებიც საგნის სავარაუდო რაოდენობაზე მიუთითებს, შეეხებოდა ჩვენ მიერ 2016 წელს ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე წაკითხული მოხსენება და 2021 წელს „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ 49-ე ტომში გამოქვეყნებული სტატია. ძირითადი დასკვნის შესაბამისად, აღნიშნული ჯგუფის რიცხვითი სახელები მეგრულში, ქართულის მსგავსად, კომპოზიტებია, რომლებშიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც თვლისას ერთმანეთის მომდევნო რიცხვითი სახელები, ისე – არამომდევნონიც; ქართულისაგან განსხვავებული ის არის, რომ კომპოზიტის პირველი კომპონენტი მეგრულში, ჩვეულებრივ, ბრუნვის ნიშანს არ დაირთავს (მაგ., **ხუთ-ამში** „ხუთი-ექვსი“, **ვით-ვითო-ქირი** „ათი-თორმეტი“).

დაახლოებით რიცხვით სახელებს წინ შეიძლება დაერთოს „ერთის“ აღნიშვნელი სიტყვა და მიღებულმა შესიტყვებამ იგივე შინაარსი გადმოსცეს – განსხვავება მხოლოდ სტილისტიკური ხასიათისა იქნება, მაგ., **ართ(ი) სუმ-ოთხი** „ერთი სამი-ოთხი“.

სავარაუდო შინაარსს გადმოსცემს, აგრეთვე, **ათაშ/თაშ** „ასე“ ზმნისართის დართვა: **ათაშ/თაშ ქირ-სუმი** „ასე ორი-სამი“, **ათაშ/თაშ ქიროშ-სუმოში** „ასე ორასი-სამასი“.

დაახლოებითი შინაარსი შეიძლება გადმოიცეს იმ შემთხვევაშიც, თუ სათანადო რიცხვით სახელებს შორის **დო** „და“ კავშირი გვექნება: **ქირ დო სუმი** „ორი და სამი“, **ქრ და ქრდოხუთი** „ოცი და ოცდახუთი“, **სუმოშ და ოთხოში** „სამასი და ოთხასი“.

სავარაუდო სემანტიკის გადმოსაცემად გამოიყენება სიტყვა **დახოლებურო** „დაახლოებით“. ამ შემთხვევაში არ არის სავალდებულო ორი სხვადასხვა რიცხვითი სახელი იყოს წარმოდგენილი: გვაქვს, ერთი მხრივ, **დახოლებურო ოშ-ოშეჩი** „დაახლოებით ასი-ასოცი“ და, მეორე მხრივ, **დახოლებურო ქიროში** „დაახლოებით ორასი“.

ოფურიეთ / ოფურიათ ზმნისართი რიცხვით სახელთან დაკავშირებისას „სავარაუდოს“ მნიშვნელობას იძენს: **ოფურიეთ / ოფურიათ** სუმოშ-ოთხოში კოჩი „სავარაუდოდ, დაახლოებით სამასი-ოთხასი კაცი“.

პროექტი „წეს-ჩვეულებათა და რიტუალთა ამსახველი კოლოკაციები კავკასიურ ენებში“

(პროექტი №FR-21-2100 ხორციელდება შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური
მხარდაჭერით)

რ ე ვ ა ზ ა ბ ა შ ი ა

გალ- ზმნური ძირისაგან ნაწარმოებ ლექსემათა ადგილი ეთნოგრაფიულ რეალიათა ამსახველ კოლოკაციებში¹

ქართული ძირითადი ლექსიკური ფონდის სიტყვების – **გალ** ზმნური ძირისაგან ნაწარმოები ფუძეების – სიმრავლე ძველი ქართული წერილობითი წყაროების მიხედვითაც თვალსაჩინოა. ამასთანავე, **გალ** ძირისაგან, როგორც საყრდენი პოლისემიური ლექსიკური ერთეულისაგან, დიაქრონიული გარდაქმნების შედეგად ჩამოყალიბდა სემანტიკურად მონათესავე ლექსემათა სავარაუდოდ ბევრად უფრო მრავალფეროვანი (resp. მრავალრიცხოვანი) სისტემა, ვიდრე სხვა ნებისმიერი ძირისაგან. დროთა განმავლობაში სემანტიკური გარდაქმნები ისე შორს წასულა, რომ მივიღეთ ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული სემანტიკის ლექსემები: **მოვლა; მოვლენა; გავლენა; გავლება; მივლინება... სრული** (< *სლული < *სვლული); **წარსული** (< *წარსრული); **გამოსული** „გამოცდილი“; **აღსასრული; დასასრული; აღმოსავლეთი; დასავლეთი...**

ვფიქრობთ, ამავე (ოდენ **ლ**-კონსონანტური) ძირისაა: **ძვ. ქართ. განლევა, დალევნა** „შემცირება“, „გაქრობა“, „დასრულება“... **ახ. ქართ. გალევა** „გაქრობა“, „დასრულება“, **დალევა** „შესმა“ (*ეტიმ.* „სითხის გაქრობა, დასრულება“)...

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი FR-21-2100).

ანალოგიური ვითარებაა წარმოდგენილი მეგრულ-ლაზურ-შიც, სადაც **ვალ** ძირისაგან ნაწარმოებ ცალკეულ ფუძეს სათანადო შესატყვისობა მოეპოვება: **ულა** „სვლა“, მოჟლირი „მოსული“, „მწიფე (ხილი)“, **ხეაიოლუ** „აღმოსავლეთი (მზის ამოსავალი)“, **ემალაფა** „ამოვარდნა“, „ამოწყვეტა“ (მეგრ.)... **ულუ** „სვლა“, **იულვა** „აღმოსავლეთი“, **ნოველი** „კვალი, ნავალი“ (ლაზ.)...

ქართულ-ზანური პრეფიქსული *სისინა* : *შიშინა* ბგერათფარდობის ერთადერთი მაგალითი ჩანს *ქართ. სულ* (< *სრულ*) : *ზან. შურ- (შურ-ო)* „სულ“, „მთლად“ შესატყვისობაში, სადაც ძირეულ ელემენტად ქცეული **ს** ისტორიულად ნაზმნარ სახელთა მწარმოებელი იყო (სეგმენტაციით: **ს-ვლ-ა-მ**, **ზ-ვლ-ულ-ი**).

საანალიზო სიტყვის, როგორც პოლისემიური ლექსიკური ერთეულის შესაძლებლობები მონათესავე ცნებათა აღნიშვნის თვალსაზრისით ასახვას პოვებს ასევე ხატოვან გამოთქმებში, იდიომებში, ფრაზეოლოგიურ მყარ შესიტყვებებში. მაგ., **ულ** ლექსემასთან ერთად ეს სიტყვა მონაწილეობს ისეთი მყარი შესიტყვებების (ფრაზეოლოგიური ერთეულების) შედგენაში, როგორიცაა:

სულის ლევა „ცუდად გახდომა“, „სიკვდლის მოახლოება“;

გულის გადალევა „მოწყენა“, „მობეზრება“, „დადარდიანება“;

გურიშ მოულა (მეგრ.) „გულის მოსვლა“, „გაბრაზება“;

გურიშ ელაფა (მეგრ.) „გულის აცრუება“;

გური მალეფს (მალენ) (ლაზ.) „გული მოულის“, „დიდგულობს“...

კონკრეტულად ეთნოგრაფიული რეალიის ამსახველი კოლოკაციის (მყარი შესიტყვების) ფარგლებში საინტერესო მაგალითია *ქართ. შემოგველე* და *მეგრ. გოლუაფირო*. ამ სიტყვათა ეტიმოლოგიური ისტორია ნათელია: **ვალ** ძირისაგან ნაწარმოები *შემო-ვლ-ება* ქართულში და **ოლ** ძირისაგან ნაწარმოები *გ-ოლ-უა-ფა* მეგრულში გამოყენებულია მიმართვის ფორმაში, რომელიც მსხვერპლ-შეწირვის, ერთგვარი ალტრუიზმის გამომხატველ რიტუალს უკავშირდება ისტორიულად.

როგორც თედო სახოკია წერს: „შემოვლების ძალა, ჩვენი ხალხის ძველი რწმენით, ის იყო, რომ ამ შემოვლების დროს ავადმყოფობა, სენი, რაც უნდა უკურნებელი და ძლიერი ყოფილიყო იგი, ავადმყოფის სხეულს სტოვებდა და გადაიხიზნებოდა შემონავლებ სხეულზე.“

ამგვარი წესი ავადმყოფის კურნებისა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში... ჯერ კიდევ წარსულ საუკუნეში არსებობდა...

დღეს ქართულ მეტყველებაში დარჩენილი ფორმულა — „თავს შემოგველე!“ ნიშნავს: „ოღონდ ამისრულე, რასაც გთხოვ, და მზადა ვარ, თავს შემოგველო, ე. ი. გემაგიერო, შენი ჭირი და სნეულება, რაც რამ გაქვს, ჩემს თავზე გადმოვიტანო... შენს მაგიერ მე მოვკვდე!“ (თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ., 1979, გვ. 224).

როგორც ჩანს, ასეთი რიტუალის ერთგვარი გამოძახილია „მოვლის“, „ზრუნვის“ სემანტიკის შემცველი ზმნები, რომლებშიც ასევე **ვალ** ძირია წარმოდგენილი: **უვლის, მოუარა** (ლ. აზმაიფარაშვილი, სიტყვაწარმოებისა და ფრაზეოლოგიის ეთნოლინგვისტური შესწავლისათვის, იკე, ტ. XLVIII, თბ., 2020, გვ. 40).

საანალიზო **ვალ** ძირისაგან ნაწარმოები ლექსემების ეთნოლინგვისტურ კოლოკაციათა კონტექსტში განხილვა უფრო ვრცლად მოხსენებაში იქნება წარმოდგენილი.

ლ ე ვ ა ნ ა ზ მ ა ი ფ ა რ ა შ ვ ი ლ ი

პური, ხინკალი, ქერი კომპონენტების შემცველ მყარ შესიტყვებათა და კომპოზიტთა ეთნოლინგვისტური ანალიზისათვის¹

ქართული ტრადიციულ-ყოფითი კულტურის უმნიშვნელოვანესი და განუყოფელი ნაწილია **პური** და **ღვინო**, რამაც სათანადო ასახვა ჰპოვა სულიერ კულტურასა და ენაში. ქართულ ენაში **პური** და **ღვინო** ასოციაციურად შეკავშირებულ სიტყვათა წყვილია. ორივე ამ სიტყვისათვის დამახასიათებელია ერთმანეთის გვერდით რეგულარულად გამოყენება, რისი მაგალითებიც უხვად შეიძლება დაიძებნოს სხვადასხვა ტექსტებში. სიტყვათა ამ წყვილისაგან ნაწარ-

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი FR-21-2100).

მოეხილათ შეერთებითი კომპოზიტი **პურ-ღვინო**, „საჭმელ-სასმელის“ ზოგადი მნიშვნელობით და მას მოეპოვება, აგრეთვე, სტუმარმას-პინძლობასთან დაკავშირებული კონოტაცია.

დიალექტოლოგიური თავისებურებიდან აღსანიშნავია სიტყვათა ანალოგიური წყვილი **პური** და **სასმელი** ხევსურულში და მისგან შედგენილი შეერთებითი კომპოზიტი **პურ-სასმელი**; მაგ., „მასპინძლებო, პური - სასმელის პატრონებო, თქვენ გადღებ-რძელნასთ, მშვიდობით გამყოფნასთ...“; „აღლადამც ევმარების იმების სულს, ვისადაც ნალოცი ას, გაქჩერებული ას ეს პური და სასმელი“ (აღ. ოჩიაური 1980; ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.). სალიტერატურო ქართულისათვის ეს კომპოზიტი (**პურ-სასმელი**) დამახასიათებელი არ არის. სპეციფიკური კომპოზიტია ხევსურულშივე **პურ-წყალი** „საჭმელ-სასმელის“ ზოგადი მნიშვნელობით (ანუ: **პური** = „საჭმელი“, **წყალი** = „სასმელი“). სალიტერატურო ქართულისათვის უცხოა, აგრეთვე, ხევსურული კომპოზიტი **პურ-ძმარი**, რომელიც ნიშნავს „ღარიბულ საჭმელს“ (აღ. ჭინჭარაული 2005). აღ. ჭინჭარაულის ცნობით, „ზალა ძმრიდან ხევსურები საჭმელ ძმარს ამზადებენ: დიდი ხნის ძმარში – **ძველის ძმარ**-ში შეურევნ რძეს, ხაჭოს, ნაღებს და საჭმელ ძმარს ღებულობენ. **პურ-ძმარი** ღარიბი სუფრის ნიშანია და მას საპატიო სტუმარს არ მიუტანენ“ (აღ. ჭინჭარაული 1960).

ქართულ ენაში სიტყვა **პური** „საჭმელის“ ზოგადი მნიშვნელობითაც რომ იხმარება, ხოლო შესიტყვება **პურის ჭამა** ნიშნავს „ჭამას“, ეს ცნობილი ფაქტია. უკვე ძველ ქართულშივე უხვად მოიპოვება **პური** სიტყვისაგან ნაწარმოები სიტყვები, კომპოზიტები, მყარი შესიტყვებები, იდიომები (სათანადო მასალა თავმოყრილი და გაანალიზებულია ს. ომიამის სტატიაში; იხ. ს. ომიამე 2020): **პურ-ობა** „ჭამა“, „ნადიმი“; **პურის ჭამა** „ჭამა“, „სადილობა“, „ვანშობა“; „ფატმანს **პური შეეკაზმა** ავთანდილის საწვეველად“ (ვეფხისტყაოსანი) = ფატმანს სუფრა გაეშალა ავთანდილის მისაწვევად. წვეულების გამართვის, სადილობისათვის სუფრის გაშლის მნიშვნელობით ძველ-ქართულში დადასტურებულია, აგრეთვე, **ყოფა**: „...ყო **პური** დიდი მთავართა მისთათს ათასთა კაცთა“; **მზა-ყოფა**: „...ჰრქუა, რადთა **მზა-ყოს პური** დიდი“; **დამზადება / განმზადება**: „...აჰა, ესერა, **პური** ჩემი **დამიზადებიეს**, ზუარაკები ჩემი და უსხები ჩემი დამიკლავს, და ყოველი მზა არს, მოვედით ქორწილსა ამას“; „და ცნა

მოსლვად მპარავთად და დღისივე **დაჰმზადა** მათოვს **პური...** არამედ მოვედით და ჭამეთ **პური**, რომელი **განგიმზადე** თქუენ“; **პურად-ჩინება** „ლხინში მიწვევა“ (ზ. სარჯველაძე 2001), **პურის-რთვა** „სადილ-ზე მიწვევა“ (ზ. სარჯველაძე 2001), **პურისმტე-ყოფა** „მიპატიჟება“ (ზ. სარჯველაძე 2001), **პურისმტეება** „სუფრასთან დასმა“ (ზ. სარჯველაძე 2001), **პურად დაჯდომა** „ჭამა-სმის დაწყება“ (თ. სახოკია 1979), **პურისა უფალი** „მთავარი ტაძრისა“, „მასპინძელი“ (ილ. აბულაძე 1973); **პურისუფალი** „თამადა“, „ლხინის მომწესრიგებელი“ (ზ. სარჯველაძე 1995); **პურად მისრული** „სტუმარი“ (ილ. აბულაძე 1973), **პურის-მტე** „ერთად პურის მჭამელნი“ (საბა 1928), **პურისმტეი** „თანამესუფრე“ (ზ. სარჯველაძე 2001), **პურისმტეობა** „ჭამა“, „ქეიფი“; **პურისმტე-ყოფამ** „ერთად ჭამა“ (ზ. სარჯველაძე 2001), **პურისრთული** „თანამეინახე“ (ზ. სარჯველაძე, 2001), შდრ. **პურის-რთვა** „პურის ჭამა“: „პურის-ირთო იგი“ (ილ. აბულაძე 1973); **პურად ძვრი**, ახ. ქართ. **პურა(დ)ძვირი** „ძუნწი“; **პურშავი** „პურაძვირი, უპურმარილო, სხვისათვის პური რომ არ ემეტება“ (თ.სახოკია 1979); **პურად უხვ** „ხელგაშლილი“ და სხვ. (მასალა ამოკრეფილია ს. ომიადის ნაშრომიდან; იხ. ს. ომიადე 2020). „ვეფხისტყაოსანში“ დასტურდება **პურად ავი** შესიტყვებაც: „პ უ რ ა დ ა ვ ი მ ა ს პ ი ნ ძ ე ლ ი მოგვეგებვი ომად წინა!“.

შესიტყვებაში **პურის ჭამა** კომპონენტი **პური** თითქოს ერთგვარად „აკეთილშობილებს“ **ჭამა** ზმნას (ენობრივი ეთიკეტის თვალსაზრისით), რამდენადაც ცალკე ხმარებული ეს ზმნა გარკვეულწილად ნეგატიური ჟღერადობითა და კონოტაციითაც შეიძლება მოგვევლინოს; ამიტომაც გვაქვს ქართულში მის შემცვლელად თავაზიანი ფორმა **მირთმევა** (მირთვი), **შეექცევა** (= ჭამს). საპირისპირო ფორმებია **(ჩა)ხეთქე**, **(ჩა)ცეცხლე**. ფშაურში საინტერესოა ფორმა **გველ-ე** (← გველ-ი; შდრ. სალიტ. ქართ. ცეცხლ-ე), რომელიც დადასტურებული აქვს ჯერ კიდევ ვაჟა-ფშაველას: „ვსთქვათ, დედამ უნდა უთხრას შვილს პური ჭამე, ნუ ჰყბედობო: „ბაღლო, მანდ ლაშს ნუ იწრებ-იგრებ, ე პ უ რ ი გ ვ ე ლ ე!“ (ჭ ა მ ე)“ (ვაჟა-ფშაველა 1964; ხაზგასმა ჩემია – ლ. ა).

ქართულ ენაში საყურადღებოა იდიომატური გამონათქვამიც **თავისი პური მოჭამა**, რომელიც ძალზე იშვიათია. იგი წარმოდგენილია „განმარტებით ლექსიკონში“; მაგ., „ჩვენ ჩვენი პური მოგვიჭამია (აკაკი)“. მის ნაცვლად სალიტერატურო ქართულში ამჟამად

გამოიყენება **დრო მოკამა**, **დრომოკმული**, მაგრამ ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მისთვის ამოსავალია სწორედ **პური** კომპონენტის შემცველი იდიომი და **დრო** აქ მოგვიანებით უნდა იყოს კომპონენტ **პურს** ჩანაცვლებული? ამ თვალსაზრისის განამტკიცებს იდიომში წარმოდგენილი „ჭამის“ აღმნიშვნელი ზმნა, რომელიც, ცხადია, ბუნებრივი იქნებოდა, რომ სწორედ **პური** კომპონენტთან ყოფილიყო შეკავშირებული; ხოლო „დროის ჭამა“, ამ ერთი იდიომის გარდა, სხვაგან არც გვხვდება. დროსთან დაკავშირებით მეორე, სრულიად განსხვავებული მნიშვნელობის იდიომში გვაქვს „მოკვლა“ სიტყვა (**დროის მოკვლა**).

საინტერესოა ამ მხრივ ხუნძურ ენაში არსებული გამოთქმაც, რომელიც დადასტურებული აქვს ჯერ კიდევ პ. უსლარს (პ. უსლარი 1889): **ჩედ ქჷანა დოს ნუსიდე უხახინეჷან**, ზედმიწ. „პური ჭამა მან ასზე ასვლამდე“, ე. ი. ას წლამდე მიაღწია მან. ამის მსგავსად, ქართული იდიომი **თავისი პური მოკამა**, მეტაფორულად უნდა გულისხმობდეს დაახლოებით ასეთ რამეს: „იმდენად დიდხანს იარსება, რომ თავისთვის შესაჭმელი პურიც გამოეღია და შემდგომი არსებობისათვის აღარაფერი დარჩენია მას“.

ეთნოლინგვისტური თვალსაზრისით საყურადღებოა შესიტყვება **სავსედ გახლავთ / სავსედ არის**, რომელიც დაკავშირებულია პურის კულტთან, ნათლად ასახავს პურისადმი საკრალურ დამოკიდებულებას: ქართლ-კახეთის სოფლებში როცა პური შემოაკლდებოდათ და ამ დროს მეზობელი ითხოვდა, ვისაც პურს სთხოვდნენ ის არასოდეს ეტყოდა მთხოვნელს პური არა მაქვსო, ამის ნაცვლად ამბობდა **ს ა ვ ს ე დ გ ა ხ ლ ა ვ თ** (პურის შესანახი კიდობანი). პურზე არ ითქმოდა ნაკლებობა ან უქონლობა, რადგან სწამდათ, რომ ასე რომ ეთქვათ მართლა დაისადგურებდა ნაკლებობა და სიცარიელე კიდობანში, სადაც პურს ინახავდნენ. მსგავსადვე, ის, ვინც პურს ითხოვდა, არ იტყოდა კიდობანი ცარიელი მაქვსო, არამედ ამბობდა **ს ა ვ ს ე დ ა რ ი ს** და ერთი-ორი პური მასესხეო (თ. სახოკია, 1979). ასეთსავე რწმენა-წარმოდგენას უკავშირდება ქართულში დიალექტური მყარი შესიტყვება **სუფრის ამატება** „სუფრიდან საჭმელ-სასმელის ალაგება“. აქ ყურადღებას იქცევს **ა-** ზმნისწინიანი ზმნური ფორმა **ა-მატ-ებ-ა**, რომელიც სალიტერატურო ქართულისათვის უჩვეულოა და იგი მხოლოდ ხსენებული შესიტყვების თავისებურებას წარმოადგენს. სალიტერატურო ქართულში ასეთ შე-

მთხვევაში გამოიყენება ხოლმე ზმნა **ა-ლაგ-ებ-ა**, რომელიც ასევე შეიცავს **ა-** ზმნისწინს: **სუფრის ალაგება**. რაც შეეხება **ა-მატ-ებ-ა** ფორმას, როგორც უკვე ითქვა, მისი გაჩენა შეპირობებულია გარკვეული რწმენა-წარმოდგენით: მიიჩნეოდა, რომ ასე თუ არ იტყოდნენ, ოჯახში სანოვაგე გამოილეოდა. ფორმა **ა-მატ-ებ-ა** შეიცავს ძირს ზმნისა **და-მატ-ებ-ა**, **მი-მატ-ებ-ა**, მაგრამ ამავე დროს მაინც შერჩენილი აქვს ზმნისწინი **ა-**, რომელიც წარმოდგენილია ისეთ ზმნებში, როგორიცაა **ა-ლაგ-ებ-ა**, **ა-ღ-ებ-ა** და სხვ. მაგალითი საყურადღებოა იმით, რომ შესიტყვებაში შემავალი სიტყვის სტრუქტურული ცვლილება გამოწვეულია უშუალოდ ექსტრალინგვისტური ფაქტორის (რწმენა-წარმოდგენა) გამოისობით და არა შინაგანი ენობრივი პროცესების გავლენით.

როგორი მნიშვნელობა და ღირებულებაც ქართულ კულტურაში აქვს პურს, ისეთივე ღირებულებისად დაღესტნის ხალხებში ხ ი ნ კ ა ლ ი გვევლინება. ხინკალი აქ წარმოადგენს ყველაზე უფრო საკულტო კერძს. იგი არის სიმბოლო შეძლების, სიუხვის, ბარაქის, დოვლათის, ხვავრიელობის, კეთილდღეობისა; დაკავშირებულია სარიტუალო სუფრასთან, ზეიმთან. ხინკალი არ აღიქმება საქელეხო კერძად, იგი ოდენ საზეიმო სუფრის ატრიბუტია. მაგალითად, ხუნძური ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთ ნიმუშში ნათქვამია: **ხინკაზდა ტადე ზუსუნ დუცა ბალებ ჰაბ ჰანგი ბერთინ ბორხიზე ზელა** „ხინკალზე შენ მიერ დადებული ეს ხორციც კი ქორწილის გასაჩაღებლად იკმარებს“. კონცეპტი „ხინკალი“ ასახვას ჰპოვებს დაღესტნურ ენათა პარემიოლოგიურ და ფრაზეოლოგიურ ფონდში, ზეპირსიტყვიერებასა და მხატვრულ ლიტერატურაში (ა.კაზიმაჰომედოვა 2016).

ხუნძურ ენაში „ხინკლის“ აღმნიშვნელი სიტყვაა **ხინკ**, ხოლო მრავლობითის ფორმით იგი არის **ხინკალ** „ხინკლები“. საინტერესოა, რომ მრავლობითის ფორმას აქვს დამატებით ზოგადი მნიშვნელობაც – „საკვები პროდუქტები“; მაგ., **ხინკალ ჰეკოგო ხუტუგეგო** „ღმერთმა არ ქნას, რომ უსაკვებოდ (ზედმიწ. „ხინკლების გარეშე“) დავრჩეთ“. **ხინკ** („ხინკალი“) ფუძისაგან ნაწარმოებია ზმნაც **ხინკ-ი-ყ-ლ'-ი-ზე** „უსაკვებოდ დარჩენა“, „მოსავლის გარეშე დარჩენა“. მისი მასდარული ფორმაა **ხინკ-ი-ყ-ლ'-ი** „საკვები პროდუქტების უქონლობა (ნაკლებობა)“, „მოუსავლიანობა“, ზედმიწ. „უხინკლობა“. არსებობს კომპოზიტიც კრებითი მნიშვნელობით „რამე სა-

ქმელი“, „შესაქმელი რამ“ – **ხინკ-მინკ**, ზედმიწ. „ხინკალ-მინკალი“. საინტერესოა კომპოზიტი **ხინკცოდალ** „ბავშვობის მეგობრები“ (ხუნძ.-რუს. ლექს. 2006), ზედმიწ. „ხინკალერთნი“ (← ხინკ „ხინკალი“ + ცოდალ „ერთნი“, მხ.რ. ცო „ერთი“); შდრ. რუს. *одноклассники* „ერთად აღზრდილნი“ (მაგ., სკოლაში, სასწავლებელში და ა.შ.), ზედმიწ. „ერთმეფაფენი“ (*каша* „ფაფა“). **ხინკ** სოტყვას ვხვდებით სომატომიმებშიც: სალიტ. ხუნძ. **ჰატიხინკ** „კოჭი“, „კოჭის ძვალი“ (← ჰატი-ი-ლ „ტერფის“ + ხინკ „ხინკალი“); ანდალალური დიალექტის სულრათლურ კილოკავში, ბაწადურ და ყაჭიბურ ნარევე კილოკავებში – **ბოხილხინკ** „კოჭი“, „კოჭის ძვალი“ (← ბოხ-ი-ლ „ფეხის“ + ხინკ „ხინკალი“); **ნაქალზულ ხინკ** „მუხლის კვირისტავი“ (← ნაქალზულ „მუხლის“ + ხინკ „ხინკალი“) (ფ. საიდოვა 2008). ლაკურ ენაში თავისებურებას წარმოადგენს თვითონ ადამიანის შედარებაც კი ხინკალთან: **ხურუვხუ ხუნკ** „გაბერილი ხინკალი“ – ასე ამბობენ ხუმრობით დიდლოყებიან მოღუშულ გოგონაზე (ი. აბდულაევი 2018).

დაღესტნის ხალხების სამეურნეო კულტურაში მეტად მნიშვნელოვანია ქ ე რ ი. აღსანიშნავია, რომ ხუნძურ ენაში **ხუჭა** (ნათ. ბრ. **ბუზოლ** / **ბოზოლ**) სიტყვას, ერთის მხრივ, აქვს კონკრეტული მნიშვნელობა „ქერშიშველი“ (ქერის სახეობა), მაგრამ იგივე სიტყვა გვევლინება საერთოდ მარცვლეული კულტურების ზოგად, კრებით სახელწოდებადაც. გარდა ამისა, მისი კონოტაციებია „პურის მარაგი“, „პურმარილი, „სტუმრისათვის მირთმეული საჭმელ-სასმელი“, „სიუხვე“, „ბარაქა“, „დოვლათი“, „შეძლებულობა“. მაგალითები:

კომპოზიტი: **ხუჭა-როლ** „მარცვლეული კულტურები“ (← ხუჭა „ქერშიშველი“ + როლ „ხორბალი“), თუმცა ასეთივე კრებითი მნიშვნელობით მარტოოდენ **ხუჭა** სიტყვაც შეიძლება გამოიყენებოდეს;

დერივატით ნაწარმოები სიტყვა: **ბოზოლლი** „ცომისაგან დამზადებული საჭმელი“, ზედმიწ. „ქერშიშველ-ის-ობ-ა“; **ბოზოლლი კალდიბ ლეზე** „წახემსება“, ზედმიწ. „ქერის („ქერშიშველ-ის-ობ-ის“) პირში ჩადება“; **რადალდასა ბოზოლლი ურჰიზე ინჭო ყაყა დოსდა** „დილიდან ლუკმა არ უჭამია მას“, ზედმიწ. „დილიდან ქერი („ქერშიშველ-ის-ობ-ა“) შიგნით არ შესვლია დღეს მას“;

შესიტყვება: **ხუჭა მემერლიზე** „პურის მომარაგება“, ზედმიწ. „ქერის („ქერშიშველის“) გაბევრება“;

იდიომები: **ბოზოდა ნაწ ბარაუ** „მდიდარი კაცი“, ზედმიწ. „ქერში ჭია („ტილი“) გაჩენილი [მამაკ.]“ (ე. ი. იმდენი აქვს დაგროვილი, რომ მის ხარჯვას ვერ აუდის); **ბოზოლ ჰოდორი** „ღორმუცელა, მსუნაგი“, ზედმიწ. „ქერის ფულურო“; **ბოზოცა მებთიზე** „ლაღად, ნებივრად ყოფნა, უზრუნველად ყოფნა (მამლარი ცხოვრებისაგან)“, ზედმიწ. „ქერით თრობა“; **ბოზოცა ცუიზე** „id.“, ზედმიწ. „ქერით ლაღობა“;

პარემიები: ბეჩელზე **ბოტანი ბუმაგი ბეტე**, **მალაგი ხისე** „გამდიდრება თუ გინდა ქერი („ქერშიშველი“) დათესე და ჭაკი ცხენი შეინახე“; **ბუმა ბუგონი ჰობო ქამილარო**, **უას უუგონი ჭუყუ ქამილარო** „ქერი („ქერშიშველი“) თუ არის წისქვილი არ გამოილევა“, ვაჟი თუ არის ცოლი არ გამოილევა“; **ბუმა ბეტანა**, **ნისა ბიენა** „ქერი დათესა, შვრია აღმოცენდა“; **სუსურ წიკარალუბ ბუმა დაჰაბ**, **რაში მემერალუბ მაყლუ დაჰაბ** „შერიუკა სადაც გაიზარდა ქერი ცოტაა, სიტყვა სადაც გამრავლდა ჭკუა მცირეა“; **რაში მემერაუ უყარაუ**, **ბუმა მემერაუ მორწარაუ** „სიტყვამრავალი მშიერი [მამაკ.], ქერმრავალი მამლარი [მამაკ.]“; **ჰაზა მემერლილა – ბუმა დაჰლილა**, **დატლა ხირალილა – ხობ ისიბლილა** „ბოზა (მათრობელა სასმელი) გამრავლებულა – ქერი შემცირებულა, ნადავლი გაძვირებულა – სამარე უცხო ქვეყანაში გათხრილა“;

წყევლის ფორმულა: **ნილ' როტულარეზდა ბუმა რისაგი** „ჩვენს არაკეთილისმსურველთ ქერი, დე, შესძულეობოდეთ“ და სხვ. (ხუნძ.-რუს. ლექს. 2006; მ. საიდოვი 1967; მ. მაჰომედხანოვი 1993; ზ. ალიხანოვი, ს. ალიხანოვი 2012).

ქართულ ენაში ქ ე რ თ ა ნ დაკავშირებით ყურადღებას იქცევს დიალექტური მასალა; კერძოდ, ხევსურულში იძებნება სპეციფიკური მნიშვნელობის ერთეულები, რომლებიც საინტერესოა ეთნოლინგვისტური თვალსაზრისით. მაგალითად:

ხევს. კომპოზიტი და შესიტყვებები („ჯვართ ენაზე“): **ქერ-ოქრონი** „ჯვარის ყანები“, **ქერ-ოქროთ დამკაზმაგი** „ჯვარის დიასახლისი; ქალი, რომელიც სარიტუალო ნამცხვრებს, ხავიწს და მისთ. ამზადებს“ (თ. ოჩიაური 2010, ალ. ჭინჭარაული 2005); **ქერ-ოქროთ გადაფანტვა მზექალისაგან** „გვალვა“; მაგ., „თუ იტყოდნენ: მ ხ ე ქ ა ლ მ შ ვ ე ნ ი ე რ შ ა გ ვ ი ჯ დ მ ა ღ ა ლ ხ ე დ გ ა დ ა მ ი ფ ა ნ ტ ნ ქ ე რ ო ქ რ ო ნ ი, – მაშინ მოსავლის დაზრობა ან გვალვა იყო მოსალოდნელი“ (თ. ოჩიაური 2010).

ხევისურულში სპეციფიკურობით გამოირჩევა, აგრეთვე, მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული ერთ-ერთი რიტუალის ამსახველი შესიტყვება **სახელის დადება ქერისად**: „ჭირისუფალი ყოველთვის, როცა „დაკურთხეულ“ ცხენს ქერს აჭმევდა, – ქერს შენდობას ეტყოდა. ის ქერს ჯერ თოფრასში ჩაყრიდა და მერე სახელს დასდებდა: „სადაც შენ ხარ, შენიმც საჭმარი ას, შენს ცხენსაც აჭმევ. ცხენ უქერობითამც ნუ დაგაღონებსა-დ მგებრთაში იქნებისა თუ ცხენთაში უკენამც ნუ ჩამარჩები ამხანაგებს“. შემდეგ ცხენს თოფრას თავზე ჩამოაცმევდა“ (მ. ბალიაური, ნ. მაკალათია 1980; ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.) და სხვ.

ქეთევან მარგიანი - და დვანი

რიტუალთა ამსახველი კოლოკაციების ერთი

ასპექტისათვის სვანურში¹ (კოდორული

ეთნოლინგვისტური მასალების მიხედვით)

ყოველი ენა თავისი **სემანტიკური სტრუქტურით** გამოირჩევა. „რამდენადაც ენა გვეძლევა არა ზოგადი ფორმით, არამედ როგორც მხოლოდ დედაენა, ე.ი. გარკვეული ენის ქართულის, ფრანგულის, ჩინურის... სახით, „მსოფლხედვა“ დედაენისეულია და ყოველ ენას (დედაენას) სამყაროს ენობრივი მოდელირების საკუთარი წესი, სამყაროს ენობრივი გადამუშავების საკუთარი „მსოფლხედვა“ აქვს (რამიშვილი).

სვანური ხასიათდება რიტუალების ამსახველი ლექსიკის, ფრაზეოლოგიზმების, კოლოკაციების სიმდიდრით და მრავალფეროვნებით; ამ ტიპის მყარი ფრაზემები და საწყისებია: ლიქუნგუემი „მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები“ (კომპოზიტის სეგმენტაცია: **ლი-ქუნ-გუემ-ი** < **ქუნე გვეშ** სიტყვასიტყვით „სულის საქმე“), **უერი მქედენი** „მოღალატე“ (სიტყვასი-

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი № FR-21-2100).

ტყვიტ „მიწის ამცდენი“), **ლინწამტ-ლინწათუ** „წათესაობა“, **მრრეე მწრეე** „მედიატორი“, **ლიჯგრი-ლიფწწე** „მიცვალებულთა სახელზე საკურთხი ტაბლებიწ დადგმა და ლოცვით მოხსენიება“, **ლიპლო-მწლი / ქუნწრუტ ლიწგტუწინე** „სულებიწ გაცილება, სულებიწ გაბრძანება“, **ლიწტწრუნწლ** „პირჯვრიწ გადაწწრა“, **ლიგტუწწე** „დატირება“, **ლილქე / ლილქწლ** „მოთქმა, ხმით დატირება“, **ლიმწწრწლ** „დარდიწ ამოთქმა, შეჩივლება“, **ლიქუნწატწლ** „აგონია“, **ლიმუნდტუ-ები** „შენდობა, მოხსენიება“, **ლითხწმწლ** „თავკერძობა, მიკერძოება საკუთარი თავიწადმი“, **ლიურწწუწუე** „მიმიედ მარხვა მიცვალებულიწ სახელზე“, **ლიმიწწი / შიმი ლიფმწდე** „ახალ წელწ ხელიწ გახსწა, ხელიწ ახსწა“, **ლიწბწწი / ლიწბწწლ** „მედიატორობიწაწ დაფიცება“ (შდრ. **ლიღწწე** „მვირფაწი ადამიანიწ დაფიცება, სემანტიკით „გეფიცები“)..

საინტერესოა რიტუალებთან დაკავშირებულ საწყიწებში სვანურში გამოვლენილი ერთი ასპექტი, დაპირიწპირება აქტიურობა-პასიურობიწ შინაარსით და თვალსაზრიწით, რაც ფორმობრივადაც სხვადასხვა სტრუქტურული მოდელით გამოიხატება: **ლი-წბწწ-ი / ლი-წბწწ-წლ** „დაფიცება“, **ლი-ლქე / ლი-ლქ-წლ** „მოთქმა, ხმით დატირება“, **ლი-მწუედ-ი / ლი-მწოდ-წლ** „გამართლება, თავიწ მართლება“, **ლი-მწრ-ე / ლი-მწრ-წლ** „მომწადება“, **ლი-ჩრეე / ლი-ჩრე-წლ** „გასიძება“, **ლი-წუილ-ე / ლი-წუილ-წლ** „გათხოვება“, **ლი-ჩქუეუ-ი** „მუხლდრეკა“, **ლი-ჩქუწწ-დელ** „ჩამუხლვა მრავალგზიწ... ჩვენი დაკვირვებით, -წლ აფიქსით დაბოლოებულ საწყიწებში (**ლიმწრ-წლ, ლიმწოდ-წლ, ლიწბწწ-წლ, ლილქ-წლ, ლი-ჩქუწწ-დელ**) იგულიწხმება მოქმედებიწ ზოგადობა, მრავალგზიწობა, დაუსრულებლობა. საინტერესოა იწიცი, რომ რომ გენეზიწურად მრავალგზიწობიწ -წლ სუფიქსი აღნიშნულ კოლოკაციებწ ვნებითობიწ შინაარს, პასივიწ სემანტიკაწ სძენწ, რაც კონტექსტით განსაკუთრებით კარგად ჩანწ ხოლმე სვანურში, თუმცა სრულებით ვერ აიწახება სალიტერატურო ქართულში, რადგან თარგმანი (მაგ. **ლიმწუედი / ლიმწოდწლ** „გამართლება, თავიწ მართლება“) ვერ აწახავს ამ ფორმებწ შორიწ სვანურში არსებულ შინაარსობრივ სხვაობაწ.

საყურადღებოა სვანურში მრავალფუნქციური -წლ ფორმანტიანი კოლოკაციებიწ პასიური სემანტიკა **ლი-ე / ლი-ი** კონფიქსური წარმოებიწ საწყიწებთან მიმართებით: **ლი-მწუედ-ი** ითქმიწ მაშიწ, როცა მედიატორები განსჯიან, **მრრეე მწრები** აწამართლებენ პირწ,

ლი-მწოდ-წლ კი იმ შემთხვევაში, როცა პირი თავად იმართლებს თავს; **ლინბზანი / ლინბანწლ** – ქართულად ორივე „დაფიცებაა“, სვანურში კი **ლინბზანი** ითქმება მაშინ, როცა მედიატორები აფიცებენ, **ლინბანწლ** კი იმ შემთხვევაში, როცა განსასჯელი იფიცებს თავად. კოლოკაციებში გამოხატული ეს სხვაობა აისახება ზმნურ სიტყვათწარმოებაშიც:

ლიმწუდი > ამწუდი (ეჯა ეჩას) „ამართლებს“ – **ლიმწოდწლ > იმწოდწლ** (ეჯა) „მართლდება“

ლინბზანი > ანბზანი (ეჯა ეჩას) „აფიცებს“ – **ლინბანწლ > ინბანწლ** (ეჯა) „იფიცება ის“

ლიწთილე > წწთილე (ეჯა ეჩას) – **ლიწთილწლ > იწთილწლ** (ეჯა) „თხოვდება“

ლილჭე > ილჭე (ეჯა ეჩას) „დაიტყვებს“ – **ლილჭწლ > ილჭწლ** (ეჯა) „მოთქვამს“

ლიჩრეე > წჩრეე (ეჯა ეჩას) „ასიძებს“ – **ლიჩრეწლ > იჩრეწლ** (ეჯა) „სიძდება“

ლიწთილწლ / ლიწთილე „გათხოვება“ სალიტერატურო თარგმანი სავსებით ვერ ასახავს ამ ფორმებს შორის არსებულ შინაარსობრივ სხვაობას. სვანურში **ლიწთილე** ითქმის მაშინ, როცა გათხოვების პროცესში ჩართულია სხვა პირი, მაგალითად მშობელი, **ლიწთილწლ** კი – მაშინ, როცა პროცესში არავინ არ ერევა: ხელწიფს ხაკუ ზითუნახავ სიმქე **ლიწთრლე** „ხელმწიფეს უნდა მზეთუნახავი ასულის გათხოვება“. გვაშაყანს **ლიწთრლწლ** ხოპრრა „გვაშაყანი გათხოვებას აპირებს“. წინადადებებში ეს კოლოკაციები თავისუფლად ვერ ენაცვლებიან ერთმანეთს: მაგ. ხელწიფს ხაკუ ზითუნახავ სიმქე **ლიწთრლწლ**; გვაშაყანს **ლიწთრლე** ხოპრრა – სვანურად სტილისტურად და აზრობრივადაც გაუმართავი გახდა, რაც განაპირობა **ლიწთილწლ / ლიწთილე** კოლოკაციათა ჩანაცვლებამ.

კოლოკაციების სემანტიკაზე საუბრისას აქვე ქართულ გათხოვებასთან მიმართებით სვანური **ლი-წთილ-წლ** (< წწილ „პატარძალი“) სიტყვასიტყვით „**გაპატარძლებს**“ ანალიზი **ეთნოლინგვისტურ** კონტექსტში, ვფიქრობთ, ურიგო არ იქნებოდა. გენდეროლინგვისტიკაზე საუბრისას თ. გითოლენდია **გათხოვება, თხოვდება** ფორმის ანალიზისას იზიარებს ლ. რეხვიაშვილის თვალსაზრისს **სიტყვის უარყოფითი კონოტაციის** შესახებ. ის წერს: ზმნა **გავათხოვე**, რომელიც ასე ფართოდ გამოიყენება და თეორიულად, ადამიანის

ცხოვრებაში დადებით მოვლენას, ოჯახის შექმნას აღნიშნავს, ატარებს **დამამცირებელ კონოტაციას**. თ. გითოლენდიას ნაშრომის რეცენზირებისას ჩვენ შენიშნავდით: აღნიშნული სემანტიკის მიმართ ერთგვარი „პროტესტი“ ჩვენც არაერთგზის გაგვჩენია, მით უფრო ქართულ-სვანურ ფორმათა შეპირისპირების ფონზე: ქართულად **გათხოვებას** აქვს „**თხოვების**“ სემანტიკა, **სვანურად კი – გაპატარძლება**: წვილ „პატარძალი“, **ლი-წვილ-აღ** „გათხოვება“ < ე. ი. „გაპატარძლება“. რიტუალებთან დაკავშირებულ კოლოკაციებში სვანურში ამ ტიპის მრავალი მაგალითი გვხვდება. „სიტყვაწარმოება და ფრაზეოლოგია ხომ ენის შიდაფორმის ერთ-ერთ მკაფიო გამოვლინებაა და, ამდენად, შეიცავს ინფორმაციას ენობრივი მსოფლობის შესახებ“ (ვ. ფონ ჰუმბოლდტი).

წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებული სვანური ფრაზეოლოგიზმებისა და კოლოკაციების ეთნოლინგვისტური ასპექტით კვლევა იძლევა უაღრესად საინტერესო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას.

როსტომ ფარეულიძე

სისხლის აღების (შურისძიების) ამსახველი ლექსემები და მყარი შესიტყვებები ნახურ ენებსა და აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებში¹

ნახური ადათობრივი წეს-ჩვეულებები აღწერილია რიგ ეთნოგრაფიულ ნაშრომებში. ყველა ეს ნაშრომი დაწერილია რუსულ ენაზე. ჩვენთვის საინტერესო ნახური ლექსიკური მასალა ამ ნაშრომებში ერთეული სიტყვებით შემოიფარგლება

შურისძიების ტრადიციები, ადათ-წესები აღწერილი აქვს ნ. იაკოვლევს წიგნში „ინგუშები“ (1925). წიგნის ავტორს ადგილზე აქვს შესწავლილი მკვლევობასთან დაკავშირებული სიტუაციები ინგუშეთში. აღწერილია ათობით შემთხვევა დანაშაულის ჩადენის

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი FR-21-2100).

მომენტიდან დაზარალებულთა მხრიდან სამაგიეროს გადახდისა თუ მოდავე მხარეთა შერიგების პროცესისა.

ნ. იაკოვლევის მიხედვით, ინგუშთა ყოფა-ცხოვრებაში ნათესაობა ითვლება მე-10 თაობის ჩათვლით აგნატიკური ხაზით. ნათესაური ურთიერთობის დადგენას ტრადიციულად პრინციპული მნიშვნელობა აქვს როგორც დამნაშავეს, ისე დაზარალებულ მხარეებს შორის სადავო საკითხების სამართლიან გადაჭრაში.

ამავე საკითხს ხევსურთა ყოფაში განიხილავს ნ. ხიზანაშვილიც (ეთნოგრ. ნაწერები, 1940).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, „სისხლის აღება“ განმარტებულია: „მკვლელობისათვის სამაგიეროს გადახდა, შურისძიება, მოსისხლის მოკვლა“. მოსისხლე არის მკვლელი ან მისი ახლო ნათესავი. ამავე ლექსიკონის მიხედვით, სისხლის აღება არის ძველი ჩვეულება. სისხლის აღების სინონიმებია: შურისძიება, ჯავრის ამოყრა, იგივეა შურისგებაც.

შურისძიება კავკასიის ხალხებში არის ჩვეულებითი სამართლის ნორმა, ტრადიცია, ადათი, რომელიც, სახელმწიფოებში არსებული სამართლის კანონმდებლობის მიუხედავად, დღემდე არსებობს.

ქართულ შურისძიებას ჩეჩნურ ენაში შესატყვისება **ჭირ დეჯან** (მაციევი 1961). ამ სინტაგმაში **დეჯან** ზმნას აქვს სამაგიეროს გადახდის, მიზღვის სემანტიკა. ჩეჩნურში **დეჯან** არის ინფინიტივი, სადაც ანლაუტის **დ-** ფორმანტი ცვალებადი გრამატ. კლასის ნიშანია, გამოხატავს სინტაგმაში არსებული **ჭირ** ლექსემის **დ-** გრამატიკული კლასისადმი კუთვნილებას.

რუსული мечь სიტყვის ინგუშურ შესატყვისს ასე განმარტავს ი. ოზდოევი: **ჭირ, ბაქამ** (отмщение, возмездие); იქვე მოცემულია кровная мечь სინტაგმის შესატყვისიც: **ფჰა, ჭირ** (ოზდოევი 1980). შურისძიების (мститъ) შესატყვისად – **ჭირ ლაქა, დაქა**. ლექსემები **ლაქა** „ძებნა (ეძებს ხოლმე), ძიება“ **ლახა** „ძებნა“ ზმნის დიურატიული ფორმაა; **დაქა // დადაქა** „გადახდას, სამაგიეროს მიზღვას, ვალში არდარჩენას“ ნიშნავს.

დადაქა ფორმაში **და-** სეგმენტი წარმოადგენს ზმნისწინს, რომელიც მოქმედების საიქეთო მიმართულებას გამოხატავს.

ბეჭკამ სიტყვის რუსულ შესატყვისად ავტორთა კოლექტივის „ინგუშურ-რუსულ ლექსიკონში“ მოცემულია „სამაგიეროს გადახდა, მიზღვა (отмщение, возмездие)“ (ბეკოვა... 2009).

სინტაგმებში, როგორცაა **ჭირ ლაქლჷრ** „მტრის დევნა“; „სისხლის აღებით შურისძიება“ (ზედმიწევნით: „გლოვის ტარება“), **ჭირ ჳნხა** „გლოვა“ (ზედმიწევნით: გლოვის შენახვა), **ჭირ** ლექსემას „გლოვის, მწუხარების“ მნიშვნელობა აქვს.

ჭირ ჩეჩნურში ქართულიდან შეთვისებული ჩანს. ქართულში **ჭირ-ი** სიტყვის ძირითადი მნიშვნელობები არის „სენი, ავადმყოფობა, უბედურება, გასაჭირი, სატკივარი“... **ჭირ** სიტყვას ჩეჩნურში განუვითარდა გლოვასთან, მწუხარებასთან დაკავშირებული მნიშვნელობა, რომელიც მას გააჩნია მესისხლეობის წეს-ჩვეულების ამსახველ მყარ შესიტყვებაში **ჭირ აქნა**, რაც გლოვის, მწუხარების გამო სამაგიეროს გადახდას გულისხმობს.

აქნა ზმნაში **ა**- ფორმანტი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, გრამატიკული კლასის ნიშანია. მისგან ნაწარმოებ პოტენციალისის ფორმაში **აქნა-ა-ალა** ჩანს, თუ რატომ არის იგი დაკავშირებული **ჭირ** სიტყვასთან. შდრ., სინტაგმა **სთიგალ აქნა-ა-ელლა** „ცა მოიწმინდა“, ე. ი. გამოიდარა. მასასადამე, **ჭირ აქნა** ნიშნავს „გლოვის მოწმენდას, სამაგიეროს სისხლის აღებით გადახდას, მკვლელის მოკვლას“.

რუსულ-ინგუშური ლექსიკონის მიხედვით, რუსულ мечь „შურისძიება, **ბეჭკამ** ინგუშურში (და ჩეჩნურშიც) არის **ა-აქნა** ზმნის **მ** ფორმანტით ნაწარმოები მასდარი, გრ. კლასის ნიშნად ყველა მათგანს აქვს **ბ** ნიშანი. **ბეჭკამ** ნიშნავს „სამაგიეროს გადახდას, მიზღვას“.

იმავე ლექსიკონში რუსული мстить თარგმნილია ასე: **ჭირ ლაქნა, დაქნა** „შურისძიება, სამაგიეროს გადახდა, მიზღვა“, აღნიშნული ზმნისაგან ნაწარმოები мщение „მიზღვა“ განმარტებულია როგორც **ჭირ ლაქნარ, იუხადაქნარ**.

ჭირ ლექსემასთან კავშირშია **ჭირხჷრ** (< **ჭირ** + **ხჷრ**) „შურისმძიებელი, შურისმგებელი“. **ხჷრ** ფორმანტი არსებით სახელთაგან ვინ-ჯგუფის სახელებს აწარმოებს.

ადათ-წესების დაცვას, სადავო საკითხების განხილვას ნახურ საზოგადოებაში, ჩვეულებრივ, უძღვებოდა **ხოთთუშ სთაგ** // **საგ, დილ. ვარიანტი** „ცნობილი (ჭკულის საკითხავი) კაცი, ადამიანი“,

ლწარამდე სთაგ „ჭკუით) გამორჩეული, დაფასებული, პატივცემული კაცი“. პატივსაცემ, მრჩეველ ადამიანზე ხევსურეთში იტყვიან **კითხულ კაცს**. ხევსურული **კითხული**-ს ეკვივალენტს ნახურში წარმოადგენს **ხოთთუშ** (აწმყოს აბსოლუტივი) სიტყვა. სწორედ რჩევით, ჭკუით გამორჩეული პირებისაგან, მსაჯულებისაგან შედგებოდა **მეხე** (აწ) **ჯაელ**, სადაც **მეხე** არის **მტახე** „ქვეყანა“ სიტყვის ნათ. ბრუნვის ფორმა (კომპოზიტში ბრუნვის ნიშანდაკარგული), ხოლო **ჯაელ** „სამსჯავრო“, „სასამართლო“ – ზედმიწევნით: „ქვეყნის სასამართლო“ (ე. ი. სახალხო სამსჯავრო). **ჯაელ** „სასამართლო“ სიტყვისაგან ნაწარმოებია, **-ხტრ** ფორმანტის დართვით, **ჯაელ-ხტრ** „მსაჯულო“, „სახალხო მოსამართლე“. შდრ., აგრეთვე: **ჯაელ ა-აწ** „გასამართლება“, **ჯაელ ხნდტრ** „მსჯავრის დადება; განაჩენის გამოტანა; მისჯა“. **ხნდტრ** ზმნის ძირითადი მნიშვნელობაა „(მო)ჭრა, გაწყვეტა“, რომლისგანაც არის განვითარებული ახალი სემანტიკის ლექსემები. ჩვენ მიერ ხევსურულში დადასტურებულ „კითხულ კაცს“ ხევსურული ლექსიკონის ავტორი ასე განმარტავს: **კაცთხედული კაცი** ჭკუისაკითხავი კაცი, საყოველთაო ავტორიტეტის მქონე კაცი (ჭინჭარაული 2005).

ხევსურულში **ბჟე** არის „რაიმე სადავო საქმის გადასაწყვეტად თავმეყრილი უფროსები, მერჯულე ხალხი“ (ჭინჭარაული 2005). **ბჟე** ფუძისგან ნაწარმოებია **სახჟო, ბჟობა**. როგორც ჩანს, **ბჟე** შინაარსობრივად იგივეა, რაც ჩეჩნურ-ინგუშურში **მეხე** **ჯაელ**.

მეხე **ჯაელ** ვაინახების ცხოვრებაში წარმოადგენდა მნიშვნელოვან ინსტიტუტს, რომელიც არეგულირებდა მოსახლეობის მრავალმხრივი ცხოვრების წესებს (საიდოვი 1962). ბაცბურში დასტურდება ქართულიდან ნასესხები მოძველებული **დიამზეგ** „დიამზეგ“ [ქადაგიძე 1984].

ადათ-წესების ერთ-ერთი ტრადიცია **ჭირ აქწაწ** უკავშირდება მკვლევლობას. „მკვლელი“ და „მოკლული“ ჩეჩნურში გამოხატულია მიმღეობით **გ-იანა** (მკვლევლობა: **გ-აეწ**), სადაც თავკიდური **გ-** ცვალებადი გრამატიკული კლასის ნიშანია. ზმნა გარდამავალია და კლასის ნიშანი გამოხატავს რეალურ ობიექტს სახელობითში, სუბიექტი ერგატივშია და სუბიექტის ბრუნვის ფორმის მეშვეობით გარჩეულია „მკვლელი“ და „მოკლული“.

დამნაშავეთა მხარე საქმეში რთავს სოფლის, ახლო-მახლო რეგიონის საზოგადოებისაგან დაფასებულ, ცნობილ ე. წ. **ხოთთუშ**

ნახ-ს „კითხულ ხალხს“, უზუცესებს... შუამავალთა რჩევით მკვლე-
ლი **სთაგ ვიანარგ** „კაცის (ადამიანის) მკვლელი“ იკეტება საკუთარ
ოჯახში, მას უფლება არა აქვს დატოვოს საკუთარი კარ-მიდამო, არ
უნდა ეჩვენოს დაზარალებულთა მხარის წარმომადგენელს. ამ ადა-
მიანს ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტში **მერ**, ინგუშურში მას **მარი**
„მოსისხლე, მკვლელი“ ჰქვია (იაკოვლევი; ქურქიევი). **მერ** სისხლის
აღებამდე ან საბოლოოდ შერიგებამდე საკუთარ ეზო-კარში ჩაკეტი-
ლი რჩება. მკვლელის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ სიკვდილი
არ უკავშირდება დაზარალებულ მხარეს, მის ადგილს იკავებს მისი-
ვე ოჯახის წევრი ან რომელიმე ახლობელი.

საინტერესოა, რომ **მეერ (მერ)** სიტყვა ჩეჩნურ სალიტ. ენასა და
დიალექტებში, არსებული ლექსიკონების მიხედვით, არ იძებნება.
არ არის იგი წარმოდგენილი ა. ვაგაპოვის „ჩეჩნური ენის ეტიმოლო-
გიურ ლექსიკონშიც“ (2011).

შუამავალთა მცდელობით თუ საქმე შერიგებით დამთავრდა,
დამნაშავის მხარე იხდის გადასახადს, რომელსაც ჩეჩნურსა და ინ-
გუშურში ჰქვია **ფჰა** „სისხლის საფასური“; ასე განმარტავს მას ჩეჩ-
ნურში პ. უსლარი, მოაქვს ფრაზაშიც: **ცუნნა ტეჰჰა ფჰა ზუ** „მასზე
არის სისხლი, ე. ი. მან ანგარიში უნდა გაასწოროს რაიმე (ჩადენილ)
დანაშაულზე (на нем есть кровь, т. е. он должен расплатиться за ка-
кое-либо убийство)“ [უსლარი 1888: 202].

ნახურ ენებში **ფჰა** სიტყვას (სხვა მნიშვნელობებთან ერთად)
აქვს „სისხლის, სისხლის საზღაურის“ მნიშვნელობაც, რომელიც
ეკისრება მკვლელს დაზარალებულის სასარგებლოდ.

ფრაზაში **ფჰა ბოლლუშ ხილა** სიტყვა **ფჰა** ნიშნავს „სისხლს“,
ფრაზის მნიშვნელობაა: მოსისხლედ ყოფნა.

ფჰა თაჯან „სისხლის საფასურის გადახდა“.

სთაგ ჰარჩან „კაცის მოკვლა, კაცის შემოკვდომა“. ჩეჩნურ-ინ-
გუშურში **ჰარჩან** სიტყვას აქვს „გაზვევის, შემოხვევის, შეფუთვის“
სემანტიკა. გადატანითი მნიშვნელობით სინტაგმაში **ახჩა ჰარჩან**
„ფულის (ვალის) დადებას, დაკისრებას, ვალში გახვევას“ ნიშნავს.
როგორც ჩანს, „დადება“ სიტყვის ეს მნიშვნელობა დაედო საფუძ-
ვლად კაცის, ადამიანის მკვლელობას.

სისხლის აღება, შურისძიება **წიი თაჯან** (ზედმიწევით: „სის-
ხლის გადახდა“) არის მკვლელობის ძირითადი საზღაური. ქისტურ
დიალექტში არსებობს ფრაზა: **წიი წირც/წრც თაჯ(ა) დემ(ა)** „სისხლი

სისხლით უნდა მოიბანოსო“ (ზედმიწვევით: სისხლი სისხლით (უნდა) გადახდილ იქნეს).

ჩეჩნური **დოჟ** / **დოგ** ნიშნავს „ჩხუბს, ცემა-ტყეპას“, აქვს სასამართლო განხილვის, გარჩევის სემანტიკაც [მაცივევი], ინგუშურში: „მტრობა, ჩხუბი, ცემა-ტყეპა, სკანდალი“ (ქურქიევი). წოვათუშურში გვაქვს **დავ** „დავა“. **დოვ** სიტყვისაგან ნაწარმოებია აღნიშნულ ენებში **დოვზურ** „მოწინააღმდეგე; მტერი“, მრ. რ. **დოვზურა** „მოდავე მხარეები; მტრები“. ეს იგივეა, რაც ხევსურულში **თავ-მეთავე(-ნ-ი)** „მოსისხლეები“, **თავმეთავე(ე)ობა // თავმესისხლეობა** „მოსისხლეობა“ (ჭინჭარაული).

დოვ მიჩნეულია, რომ მომდინარეობს არაბული ენიდან კავკასიურ ენებში, მათ შორის ქართულშიც, გავრცელების წყაროს წარმოადგენენ თურქული ენები.

მოდავე მხარე არის **დეჟნაჟ დან** (მრ. რ. **დეჟნაჟ დანა**) „დავის პატრონი“, პატრონში მხარე იგულისხმება. **დოჟ ყსათურ** „დავის გარჩევა“ ხდება, როგორც ითქვა, მსაჯულთა მიერ.

არის შემთხვევები, როცა დამნაშავე მხილებული არ არის, მაგრამ მასზე ეჭვი აქვთ, რომ მან დანაშაული ჩაიდინა. ეჭვიტანილმა ფიცით უნდა დაამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. დანაშაულის სიმძიმის კვალობაზე ეჭვიტანილი ან მარტო იფიცება, ან, მსაჯულების გადაწყვეტილებით, მასთან ერთად ეჭვიტანილის ახლობლებმაც უნდა დაიფიცონ. ფიცს ჩეჩნურში შეესატყვისება **დუჟ**, ინგუშურში – **დუჟ**, წოვათუშურში – **დობ**; დაფიცება ჩეჩნურში – **დუჟ ბაჟ**, ინგუშურში – **დუჟ ბაჟ** (ზედმიწვევით: ფიცის ჭამა), წოვათუშური – **დობ ბაჟ** „ფიცის დადება“, **დობ ხითაჟ** „დაფიცება, ფიცის დადებინება (დააფიცებს, ფიცს დაადებინებს)“. დაფიცების შემდეგ ეჭვიტანილი თავისუფლდება დანაშაულისაგან. თუ პირიქით მოხდა, ეჭვიტანილმა არ დაიფიცა და დაზარალებულმა ფიცით დაადასტურა მისი დანაშაული, ეჭვიტანილი ვალდებულია დაზარალებულს აუნაზღაუროს ზარალი.

ვინახები ფიცს ერიდებიან, ზოგს, უდანაშაულოც რომ იყოს, დაფიცებას ურჩევნია ზარალის გადახდა მოდავე მხარისათვის: ზარალის გადახდა – **მდჟ თავჯა** ქისტურში. სინტაგმაში **ზდჟ** სიტყვა ქართულიდან ნასესხები ჩანს. შდრ., **ზიანი**, რომელიც, თავის მხრივ, არაბულიდან არის ქართულში შემოსული.

ნ ა თ ი ა ფ ო ნ ი ა ვ ა

ჩვეულებით სამართალთან დაკავშირებული აფხაზური და ქართული კოლოკაციები¹

როგორც აფხაზური, ისე ქართული ჩვეულებითი სამართალი სათანადო ტერმინოლოგიასთან ერთად არაერთი მკვლევრის შესწავლის საგანი გამხდარა. მოხსენებაში წარმოდგენილია აფხაზური და ქართული ზოგიერთი კოლოკაციის (მყარი შესიტყვების) შედარებითი ანალიზი.

მასალის კვლევისას გამოყენებულ იქნა მ. ვლავაცკაიას მიერ ჩამოყალიბებული კომპლექსური კომბინატორულ-სემანტიკური ანალიზის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შესიტყვებათა სემემურ, სემანტიკურ, ფუნქციონალურ, სინტაგმატურ, კონტექსტუალურ, კომპონენტურ და კონტრასტულ ანალიზს.

საანალიზო მასალა მოპოვებულია ს. ბახია-ოქრუაშვილისა და ნ. ანთელავას შრომებიდან, ქართული ჩვეულებითი სამართლის კრებულებიდან, ენციკლოპედიური ხასიათის ქართული ეთნოლოგიური ლექსიკონებიდან, ასევე – ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან.

მასალის ანალიზისას გამოიკვეთა, რომ ზოგ შემთხვევაში საკვლევი ერთეულის შემადგენელი ლექსემები რამდენადმე განსხვავებულია, მაგრამ რეფერენტი იდენტურია: აფხ. **აშაურა** > **აშოურა** „შურისძიება“ („სისხლის ქმნა, სისხლის კეთება“). ამავე რეალიის ამსახველია ქართულ ენაში შესიტყვება **სისხლის აღება**.

ცნობილია, რომ ამა თუ იმ ჩვეულების ხშირი დარღვევისას ინდივიდს გვარს ჩამორთმევდნენ ან გვარიდან მოიკვეთდნენ: აფხ. **აქლა ახვზრა** „გვარის ჩამორთმევა“, **აქლა ალცარა** („გვარიდან გაგდება“). შესიტყვებები „გვარის ჩამორთმევა“ და „გვარიდან გაგდება“ არა, მაგრამ ქართულ ენაში არსებობს შესიტყვება **თემიდან მოკვეთა**.

კოლოკაციების ნაწილი მასში შემავალი ლექსემებისა და მნიშვნელობის თვალსაზრისითაც მსგავსია აფხაზურ და ქართულ ენებში:

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი FR-21-2100).

ავხ. აშაფსა „სისხლის ფასი“. XIX საუკუნის ცნობებით, შურისძიების შემთხვევაში აუცილებელი იყო მოკლულის სისხლის შეფასება. ადამიანის სისხლი თავდაპირველად ნატურალური გადასახადით, ე.ი. პირუტყვით (საქონლით) ფასდებოდა (ბახია 2020: 105). ქართულში **სისხლის ფასი** გამოიყენება შემდეგ ფრაზეოლოგიზმებში – **სისხლის ფასი ადევს / სისხლის ფასი დაადო, სისხლის ფასი ჯდება** „მვირია“ – რომელთაც დღეს თითქოს საერთო არაფერი აქვს მესისხლეობასთან, მაგრამ ისტორიულად სწორედ ამ ჩვეულებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

მასალის ანალიზი აჩვენებს, რომ აფხაზურში საკვლევ ერთეულთა დიდი ნაწილი კომპოზიტია, ქართულში კი – მეტწილად შესიტყვება, თუმცა ჩვეულებით სამართალთან დაკავშირებული ტერმინოლოგია შესიტყვებების სახით აფხაზურშიც დასტურდება.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება საანალიზო კოლოკაციების დეტალური სტრუქტურული განხილვა.